ნინო ძიძიგური

ბავშვთა
პომუნისტური აღზრდის
ზოგიერთი საკითხი

სახელმწიფო გამომცემლობა

ლენინი 1932

კორექტორი ვ. დოლიძე

გამომშვები პ. ხობელავა

სტამბა პოლიგრაფსკოლისა აკ. წერეთლის ქ. № 3

მთავლიტი 766 შეკვეთა № 1075 ტირაჟი 2.000

კომუნისტურ დისციპლინის განმტკიცებისათვის

ოქტომბრის რევოლიუციამ სრულიად შეცვალა, როგორც პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება, ისე კულტურული ყოფა.

პოლიტიკურ-ეკონომიურმა რევოლიუციამ წინ გაუსწრო მასების პროლეტარულ კულტურით შეიარაღებას. კულტურული შეგნება შედეგია ადამიანთა ფსიქიკის გარდაქმნისა. ოქტომბრის რევოლიუციამდე ჩვენი ფსიქიკა ასეულ წლების განმავლობაში სულ სხვა მიმართულებით ყალიბდებოდა და ცხადია, მისი ერთი ხელის დაკვრით გარდაქმნა არ შეიძლება. აქ მთავარია შესაფერი ხელის შეწყობა და დაუღალავი ენერგიით ძველის წინააღმდეგ ბრძოლა.

ბურჟუაზიულ საზოგადოებას, თავის კლასობრივ ინტერესებიდან გამომდინარეს, თავის საკუთარი მორალი აქვს. თვალთმაქცი ბურჟუაზია ახალგაზრდებს ბავშობიდანვე სწამლავს, და ცდილობს აღზარდოს ისე, რომ მათი მეოხებით ათეულმა და ასეულმა მუქთახორამ მრავალ-მილიონიანი მშრომელები ყვლიფოს. ისინი ბავშებში ახშობენ თავისუფალ აზროვნების, მსჯელობის და კრიტიკის ნიჭს და მათ აღზრდას სარწმუნოებას და მღვდლებს

უმორჩილებენ, რომ „შიშით შექმნან სიყვარული“. მაგალითისათვის: *) ავსტრიაში თითქმის მთელი სასკოლო ქსელი კათოლიკე ხუცების მეთვალყურეობით მუშაობს... საღვთო სჯული სასკოლო სიბრძნის თავი და ბოლოა... მშობლები, რომლებიც თავიანთ შვილებს „ღვთის“ სიტყვის შესწავლას უკრძალავენ ადმინისტრატიულ და სასამართლოს წესით დევნას განიცდიან... არა კათოლიკე მასწავლებელს არ შეუძლია სკოლის გამგე იყოს... მასწავლებელ ქალს არ შეუძლია გათხოვდეს, თუ გათხოვდა ადგილი უნდა დატოვოს. სახელმძღვანელოებს ხუცები და დიაკვნები ადგენენ. წკეპელი უსაზღვროდ თარეშობს. ინგლისში მაღალი წრის შვილები კოლლეჯებში იზრდებიან, სადაც მათ წრთვნიან, როგორც ცხოველებს და თავიანთი კლასის კეთილდღეობისათვის აუცილებელ წესებს ასწავლიან. ცემა-ტყეპა აქაც აღზრდის აუცილებელი ელემენტია. კოლლეჯში წლიური გადასახადი 300-3000 მანეთამდეა. „იტონ-კოლეჯში“, სადაც 1200 მოწაფეა, ყველა ადგილები უკვე გაყიდულია 1940 წლამდე. გამგე-მასწავლებლების (თვითეულის) ჯამაგირი წლიურად 4.000-55.000 მ. უდრის. ეს სკოლები კლასობრივ და კასტიურ აღზრდის ციხე-სიმაგრეა, ისინი მტკიცე, მრისხანე კოლონიზატორებს ამზადებენ და გულცივ, ანგარიშიან პოლიტიკოსებს ზრდიან, დამორჩილების საშუალებით ბრძანებლობას ასწავლიან ბავშობიდანვე. ახალგაზრდებს ზრდიან სხვადა-

*) როსტოვცევი: „ახალგაზრდობისათვის ბრძოლა კაპიტალისტურ ქვეყანაში“.

სხვა სახელწოდების, მაგრამ შინაარსით ერთგვარ ორგანიზაციებში. იტალიაში, სადაც აღვირახსნილი ფაშიზმი თარეშობს, 1928 წელს დაარსდა ნაციონალურ აღზრდის სამინისტრო, რომლის ხელშია ახალგაზრდობის „გადამუშავების“ ყველა საშუალებები. ამ ორგანიზაციებში აღზრდის საფუძველია ძველი ფორმულა. „ომი—ყველა მოვლენების მამაა“. ნორჩი ფაშისტების დევიზია: „ლიბრა ემოსკეტტო“, („წიგნი და თოფი“). იგივე ითქმის სკაუტებზე, რომელთაც კლასობრივ დროშის ქვეშ ზრდიან. „სკაუტები ეს საუცხოვო თადარიგია, არა მხოლოდ მომავალ ომებისათვის, არამედ კლასობრივ ბრძოლისათვის“.

დასახელებული ფაქტები ნათლად ამტკიცებენ, რომ ბურჟუაზია ახალგაზრდობას კლასობრივ ბრძოლისათვის ამზადებს და ცდილობს მრავალ მილიონიან მშრომელების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენოს.

კომუნისტურ საზოგადოებას თავისი საკუთარი მორალი აქვს, რომელიც მრავალმილიონიან მშრომელთა კლასობრივ ინტერესებიდან გამომდინარეობს. „ჩვენი ზნეობა სრულიად ემორჩილება პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის ინტერესებს. კლასობრივი ბრძოლა გრძელდება და ჩვენი ამოცანაა,—ყველა ინტერესები ამ ბრძოლას დავუმორჩილოთ და ჩვენც ჩვენს კომუნისტურ ზნეობას ამ ამოცანას ვუმორჩილებთ. ჩვენ ვლაპარაკობთ: ზნეობა — ეს ისაა, რაც ემსახურება ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების დანგრევას და პროლეტარიატის ირგვლივ ყველა მშრომელების შემოერთებას, პროლეტარიატის, რომელიც ქმნის ახალ კომუნისტურ საზოგადოებას.

კომუნისტური ზნეობა — ეს არის ის, რაც ემსახურება ამ ბრძოლას, რომელიც მშრომელებს აერთიანებს ყოველგვარი ექსპლოატაციისა და კერძო საკუთრების წინააღმდეგ, ვინაიდან კერძო საკუთრება აძლევს ერთ პირს იმას, რაც შექმნილია მთელი საზოგადოების შრომით", (ამხ. ლენინის სიტყვა კომკავშ. მე-3 ყრილობაზე). აქედან ცხადია, რომ ჩვენი მორალი უნდა გამომდინარეობდეს კლასობრივ ბრძოლის ინტერესებიდან, რისთვისაც აუცილებელია კლასობრივი დისციპლინა.

კომუნისტური დისციპლინის შექმნისათვის უეჭველად საჭიროა ხანგრძლივი და შეუჩერებელი ბრძოლა, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხოლოდ შეგნებას. ბურჟუაზიის სკოლების მსგავსად მათრახისა და ყაზარმული ცემა-ტყეპის დისციპლინა, ჩვენთვის მიუღებელია.

„საზოგადოებრივი შრომის ბატონყმური ორგანიზაცია დამყარებული იყო ჯოხის დისციპლინაზე, რასაც ხელს უწყობდა მშრომელთა უაღრესი სიბნელე და სიბეჩავე. საზოგადოებრივ შრომის კაპიტალისტური ორგანიზაცია დამყარებული იყო შიმშილის დისციპლინაზე. საზოგადოებრივ შრომის კომუნისტური ორგანიზაცია, რომლის პირველ ნაბიჯს სოციალიზმი წარმოადგენს, დამყარებულია და, რაც უფრო მეტი დრო გაივლის, მით უფრო მეტად იქნება დამყარებული თვით **მშრომელთა თავისუფალ და შეგნებულ დისციპლინაზე,** რადგან მათ მოიხსნეს როგორც მემამულეების, ისე კაპიტალისტების უღელი. ეს ახალი დისციპლინა არც ციდან ვარდება და არც კეთილი

სურვილებიდან იბადება“. (ლენინი, თხზ. ტ. 16), ის უნდა შეიქმნეს კომუნისტური აღზრდით.

ჩვენ სახელმწიფოს ჭირდება: შეგნებული, თავისუფლად მოაზროვნე, კრიტიკის მქონე მოქალაქეები, რომლებიც არავის არ მისცემენ უფლებას, რომ ერთ მუჭა მდიდრების ნეტარებისათვის, მილიონები ‘იმშილობდენ. საბჭოთა ქვეყანას არ ჭირდება ჩინოვნიკები, რომლებიც მათრახით აჩუმებენ გაყვლეფილებს. ჩვენ კავშირს არ უნდა სატრაპთა ინსტიტუტი, რომელიც კრიტიკის სურვილს ჩაუხშობს მშრომელებს. ჩვენთვის საჭიროა **თავისუფალი მშრომელი ადამიანი**, რომელიც კომუნიზმის გამარჯვებისათვის ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ დოვლათს ქმნის.

თუ ამ ამოცანებიდან გამოვალთ, ცხადი გახდება ჩვენი სკოლების მოთხოვნილება ყოველგვარ რეპრესიების გარეშე აღზარდოს ახალი თაობა, რომელიც შეგნებით და შრომის დისციპლინით მხურვალე მონაწილეობას მიიღებს სოციალიზმის მშენებლობაში.

ფიზიკურ სასჯელის წინაშე ბავში თრთის და იძულებულია იცრუოს, რომ უფროსის რისხვას თავი დააღწიოს. ნაცემი, შეურაცყოფილი და გაბოროტებული ბავში, ცდილობს მასზე უფრო სუსტს ისეთივე სასჯელი მიაყენოს, როგორც მას უფროსებმა მიაყენეს. იყო ასეთი, თუმცა იშვიათი, მაგრამ საგულისხმიერო ფაქტი: ტფილისის ერთ-ერთ სკოლაში მეოთხე ჯგუფში სწავლობდა ფიზიკურად სუსტი ბავში — მურავიოვი. უფროს და ღო-

ნიერ მოწაფეებს ის აჩემებული ჰყავდათ და ხშირად ატირებდენ კიდეც. რამოდენიმე ხნის შემდეგ, იმავე ჯგუფში შემოიყვანეს ახალი ბავში, რომელიც ფიზიკურად უფრო სუსტი იყო, ვიდრე მურავიოვი. ახალი ბავში გადაიქცა მურავიოვის—დაცინვის საგნად. როდესაც ამას ყურადღება მიექცა და მურავიოვს კითხეს თავისი საქციელის მიზეზი, მან ასე ახსნა: „აქამდე ყველაზე სუსტი მე ვიყავი და დამცინოდენ, ეხლა ჩემზე სუსტი ახალი მოწაფეა: მეც მას ვერევი და ვცემო“. ეს ძალიან დამაფიქრებელი და გაკვეთილად გამოსაყენებელი ფაქტია.

თუ ერთ შემთხვევაში რეპრესიები ბავშში გაბორბოტებას იწვევს და სამაგიეროს სხვას აზღვევინებს, მეორე შემთხვევაში ბავში სულით ეცემა, ნებისყოფა უსუსტდება და გონება უჩლუნგდება. ამ დროს ის ვერავითარ მახინჯ გავლენას ვერ წინააღუდგება და ბიწიერ და ქვენა მოთხოვნილებებს უხმოდ ემორჩილება.

საბჭოთა შრომის სკოლა ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეეგუება ასეთ პიროვნებების აღზრდას. საბჭოთა მოქალაქე უნდა იქნეს სოციალიზმის შეგნებული მშენებელი, მტკიცე ნებისყოფით, საღი კრიტიკული აზროვნებით და ნათელი ლოგიკით. ამიტომ ყოველგვარი რეპრესიები, სასჯელი, დაშინება და შეურაცყოფა სკოლის კედლებიდან უნდა გავაძევოთ და მათ მაგიერ გავამეფოთ ამხანაგური დამოკიდებულება, ბავშისადმი პატივისცემა და ყურადღებით მოპყრობა. ასეთია ჩვენი ამოცანა. მაგრამ ვახერხებთ თუ არა ამის სასურველად გადაჭრას?

ახალი სკოლა ძველს ძალიან დაშორდა.

ვინც სკოლაში ძველად მუშაობდა და ეხლაც მუშაობს, მან იცის, რომ შეგნებული დისციპლინა ძალიან გაიზარდა. თუ ძველად ლოთობა, დამალული სქესობრივი აღვირახსნილობა, ონანიზმი, აბორტები ხშირ და მასიურ მოვლენას წარმოადგენდა, დღეს ასეთებს ძლიერ იშვიათად ვხდებით. მიუხედავად ამისა, ზოგიერთები ჩვენი სკოლის არანორმალობაზე ახლაც ლაპარაკობენ. რა არის ამის მიზეზი? უბრალო რამ: ძველ სკოლაში ყველაფერი დამალული იყო. ვინ გაბედავდა და საჯაროდ იტყოდა, რომ ამა და ამ სკოლაში სქესობრივი არანორმალობაა, ონანიზმი გახშირებულია და სხვა. როგორ შეიძლებოდა ამის თქმა! ეს იყო „ღვთისა და კაცის რისხვის“.—მომასწავებელი უბედურება, რომლის გამომჟღავნება დიდ სასჯელს უქადდა მოწაფეს და სკოლას. ეხლა როგორ არის? ჩვენ ამ უბედურებას არ ვმალავთ, დამნაშავეს საჯაროდ ვამხელთ და მოვუწოდებთ მშრომელთა ფართო მასებს, რომ დაგვეხმარონ არანორმალურ მდგომარეობის დაძლევაში.

ვერ დავმალავთ, რომ ჩვენი სკოლა, ჯერ კიდევ, ძველი წყობილების ცოდვებისგან სავსებით არ განთავისუფლებულა. იმპერიალისტურმა ჟლეტამ, სამოქალაქო ომებმა და შიმშილმა, სკოლას თავისი მაგარი კვალი დააჩნია. ძველის ნგრევა და ახლის შენება, ისეთ მკაცრ პირობებს ქმნიდა, რომ გაძნელდა ხელმძღვანელობის გაწევა და რევოლიუციის პირველწლებში,—ძველი დისციპლინა არ ვარგოდა, ახალის გამტკიცება კი ერთბაშად არ შეიძლებოდა, ამი-

ტომ ენერგიის განსატვირთავად, ახალგაზრდობა, უმცირეს წინააღმდეგობებისაკენ დაქანდა.

მაგრამ, რაც დრო გადის, ეს არანორმალობანი თანდათან ისპობა და ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა სწორ გზაზე დადგა. უკანასკნელ ხანებში, ხულიგნობა, აღვირახსნილი ურთიერთობა და უწმაწური გამოსვლები მეტად იშვიათად გვხდება; მაგრამ რამდენათაც მას აქა-იქ მაინც აქვს ადგილი, იმდენად ჩვენი გულისყური მის მოსპობისაკენ უნდა იქნეს მიპყრობილი. პირველი, რასაც ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ, არის ქალვაჟთა შორის არანორმალური დამოკიდებულების მოსპობა და ახალგაზრდობის სწორი სქესობრივი აღზრდა. ობივატელები და მეშჩანები სქესობრივ დარღვევის შემთხვევებს ქალვაჟთა ერთად სწავლებას მიაწერენ და ისტერიულად გაიძახიან:

„სკოლა გაირყვნა, თქვენ გააფუჭეთ ჩვენი საქმე, ქალი და ვაჟი ერთად დასხით და როგორ გეგონათ, ცეცხლი და ნავთი ერთად მოთავსდებოდა?“ ეს უდიდესი შეცდომაა! ძველ სკოლაში ხომ ცალკე სწავლობდენ ქალვაჟები! მერე და ვის არ ახსოვს ქალთა გიმნაზიის ირგვლივ რკალად შემორტყმული ვაჟთა გიმნაზიის „რაზმები“? ვის არ ახსოვს მეცადინეობის შემდეგ დაწყვილებული ახალგაზრდები ბაღებში, ხეივნებში? ამ ლოღიკას რომ გავყვეთ, მაშინ სრული იზოლიაციისათვის ქალ-ვაჟებისათვის ცალკე ქალაქები უნდა ავაშენოთ, რადგან ისინი ერთმანეთს ქუჩაშიაც ხვდებიან. ეს დებულება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

პირიქით, კარგად ვიცით, რომ **პატარაობიდანვე შეზრდა, მუდამ ერთად ყოფნა, მოურიდებელი ამხანაგური დამოკიდებულება, ანელებს და ხშირად სულ აქრობს ერმანეთისადმი სქესობრივ ლტოლვას.** აქ სულ სხვა მხარეს უნდა მიექცეს ყურადღება. საუბედუროდ, ბავშს პატარაობიდანვე ესმის: „შენ ქალი ხარ, ბიჭებთან არ დაჯდე". სკოლაშიაც, ჩვენ — მასწავლებლები ზოგჯერ „ვცოდავთ". უბრალო ამხანაგურ დამოკიდებულებაში უბედურებას ვხედავთ. „როგორ მოკიდე ხელი?", „რატომ დაუჯექი გვერდშიო" და სხვა. ეს გამონაკლისებია, მაგრამ მაინც არის.

ერთად სწავლება, პირიქით დისციპლინის დამყარებას ხელს უწყობს, მაგრამ როდესაც უკვე მოზრდილ ასაკში ახალი მოწაფე გარედან შემოდის, აქ კი საქმე მთლად რიგიანად ვერ არის. უცხო პირი დამხდურ მოწაფეებში ერთგვარ ინტერესს იწვევს. სხვადასხვა სკოლის პირობებში აღზრდილი მოწაფეები ერთმანეთს სქესობრივ თვალებითაც ზომავენ და ხშირად აქ ისპობა თანშეზრდილობით გამოწვეული ნათესაური უბრალოება და ამხანაგური სიმტკიცე.

უნდა ვიცოდეთ, რომ ზედა ჯგუფებში, რაც შეიძლება იშვიათად უნდა იქნეს მიღებული გარეშე მოწაფე, რადგან ეს ძალიან სცვლის ჯგუფის ატმოსფერას. როგორმე უნდა შევძლოთ თანშეზრდის პრინციპის გატარება. ეს უკანასკნელი უსათუოდ შეანელებს სქესობრივ ლტოლვას. ამის დამტკიცება უამრავი ფაქტებით შეიძლება.

სქესობრივ აღზრდისთვის აგრეთვე ძალიან დიდი მნიშვნელობის საკითხია ქალ-ვაჟთა შორის **თანასწორობის შეგნების გამტკიცება.** საბჭოთა ქვეყანაში ქალი ისევე თავისუფალია როგორც მამაკაცი. ეს ასეა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ ჩვენგანში მაგრად ზის ქალისადმი ძველებური, არათანასწორი მოპყრობა, რაც დიდ გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზედაც: — „ქალს თავისი საქმე აქვს,— ვაჟს თავისი", ასეთია ოჯახის ადათი. ქალი კერავს, რეცხავს, ალაგებს; ზოგი მამაკაცი ყველაფერს ამას სრულიად ბუნებრივად უცქერის და სამსახურს ქალისაგან ისე ღებულობს, როგორც სავალდებულოს. ქალიც და კაციც ორთავე გარედ მუშაობს. ჯერ კიდევ ხშირად, შინ ქალი, მაინც ქალია ძველი გაგებით და მამაკაცის მოსამსახურე. ზოგ მამაკაცს საჭიროდ არ მიაჩნია ამხანაგ ქალს დაეხმაროს და ორთავემ გაინაწილოს შინაური საქმე, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს, საყოფაცხოვრებო დაწესებულებების საკმაო რაოდენობით უქონლობის გამო. ამას ხედავენ ბავშები და თავიდანვე იწყება მათ შორის უთანასწორობა. აბა დაავალეთ ბიჭს დაკერება, წმენდა, დაგვა, მაშინვე პასუხად მიიღებთ: „ეს რა ბიჭის საქმეა?" — ზოგჯერ თამაშობის დროსაც ასეთივე დაყოფაა. ბიჭი ჩაქუჩს, ხერხს ხმარობს, აშენებს, აჭედებს, გოგო დედოფალას უკერავს, ურეცხავს. **თამაშობა სოციალური ყოფის ანარეკლია** და მისი თანამედროვე შინაარსით შეცვლა, აუცილებელია. ან ავიღოთ ზოგი წიგნის შინაარსი, ვკითხულობთ, რომ დედა სადილს

აკეთებს, რეცხავს, კერავს, მამა მუშაობს და ფული მოაქვს. ქალი მამაკაცის მფარველობის ქვეშაა, მისგან დამოკიდებულია. ამას ეჩვევა, როგორც ქალი, ისე ვაჟი და ბოლოს ქალი ეძებს „მფარველს“, „ოჯახის პატრონს“, —ვაჟი კიდევ ოჯახის მომვლელს, მისგან დამოკიდებულს. ასეთ ურთიერთობის დროს, ცხადია, მათ შორის თანასწორობის გრძნობა და ადამიანური პატივისცემა არასოდეს არ დაიბადება. ქალი დარჩება მხოლოდ, როგორც სქესი, ვაჟი კიდევ მოპირდაპირე სქესი. ამხანაგს, მეგობარს, ნამდვილ ადამიანს ახალგაზრდა ვაჟი ქალში ვერ დაინახავს.

კომუნისტური აღზრდის პრინციპია, **რომ ქალი და ვაჟი ურთიერთ პატივისცემაში, ამხანაგურ საღ დამოკიდებულებაში და თანასწორ პირობებში იზრდებოდენ,** რომ მათ შორის სრულიად წაიშალოს არანორმალური სქესობრივი დამოკიდებულება და აღმოცენდეს თანამებრძოლ ამხანაგთა ურთიერთობა.

ახლო წარსულში იყო ისეთი სკოლებიც, სადაც პოლიტეხნიზმის პრინციპის გატარებისათვის, ქალ-ვაჟთათვის სხვადასხვაგვარი სამუშაოები იყო შემოღებული. ქალები სამკერვალოში კერავდენ, ვაჟები სადურგლოში ან საზეინკლოში მუშაობდენ. ეს არის სიმახინჯე და პოლიტეხნიზმის სრული უარყოფა. ცხადია, ასეთი ურთიერთობა კიდევ უფრო აღრმავებს ქალ-ვაჟთა შორის ძველიდანვე შექმნილ არანორმალურ ურთიერთობას. ეს უნდა აღმოიფხვრას.

სქესობრივ აღზრდისათვის აგრეთვე აუცილებელია ბავშები სრულიად ბუნებრივად და მარტივად ეცნობოდენ სქესობრივ საკითხებს. ჩვენში საზოგადოების ობივატელურ ფენებში ძველიდანვე მიღებულია, რომ სქესობრივ საკითხზე ლაპარაკი სირცხვილია; ეს ცრუ სირცხვილი ბურჟუაზიულ წყობილების ნაშთია. ამ წრის ბავში ჩვენს გარეშე ადრევე ეცნობა სქესობრივ საკითხებს და ეცნობა ისე დამახინჯებულად, რომ მასში იღვიძებს სექსუალობა. დაფარული, აკრძალული იწვევს მასში ცნობისმოყვარეობას, მით უმეტეს, როდესაც ამ საკითხებს ის ეცნობა ისეთ პირებისაგან, რომელთათვის სქესობრივი საკითხი გარყვნილებად გადაქცეულა. ასეთ შემთხვევაში ბავში ცუდი გავლენის ქვეშ არის. მისთვის მხოლოდ ერთი საკითხი რჩება: სქესობრივი ურთიერთობა, როგორც სიტკბოების მომტანი. არც მეტი, არც ნაკლები. თუ ამასთანავე ბავში მიჩვეულია ცემა-ტყეპას და ამის გამო გულჩათხრობას და სიცრუეს, ის სრულიად ეძლევა ფარულ სქესობრივ აღვირახსნილობას. აქ იწყება ონანიზმი და სხვა სქესობრივი არანორმალობა. ყველაფერი ეს რომ თავიდან ავიცილოთ, ბავში სკოლაშივე უნდა ეცნობოდეს სქესობრივ საკითხს, იმგვარივე ხერხებით და მეთოდებით, როგორც ბუნების მოვლენების ახსნას, მცენარეთა გამრავლების საკითხს და სხვა. მცენარეთა სქესოვან და უსქესო გამრავლების შესწავლა, მათ მისცემს საერთოდ გამრავლების კანონზე სწორ შეხედულებას; მათ უნდა იცოდენ, რომ ბავში არ ვარდება „ციდან“, როგორც ამას უვიცი ბაბუები უხსნიან, არამედ ჩნდება

ბუნებრივად, გაბრავლების ბუნებრივი წესით. ბავშმა უნდა იცოდეს არა ნორმალურ, სქესობრივ დამოკიდებულების სამწუხარო შედეგები. სქესობრივ საკითხის ასე დაყენება შედეგად მოგვცემს ბავშების მიერ სქესობრივ საკითხის სწორად გაგებას, რითაც დროულად ავაცილებთ მათ იმ სიმახინჯეებს, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში.

უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე დისციპლინის დარღვევის გამო დასჯილი მოწაფის ერთი სკოლიდან მეორეში გადაყვანა. ერთ სკოლაში ბავში დააშავებს, პედაგოგიური საბჭო ადგენს: გადაყვანილ იქნეს მეორე სკოლაში. ეს არ არის პედაგოგიური ღირებულების მქონე ზომა. იშვიათად, რომ აქედან ეფექტი მივიღოთ. სხვა სკოლიდან გადმოსული „გმირი", ახალ სკოლაში გადმოდის საკუთარ რეპუტაციით. დამხდურმა მოწაფეებმა მშვენივრად იციან, თუ რა მიზეზით „გამოაბრძანეს" ის სკოლიდან. ხშირად ადმინისტრაციას გადმოსულ მოწაფეზე ცნობებს დამხდური მოწაფეები აძლევენ. „გმირი" ახალ მდგომარეობაშიაც „გმირობს", ყოყოჩობს, ახალგაზრდებს იყოლიებს, და ბოლოს ვღებულობთ ერთის ადგილზე ათეულ დამნაშავეებს...

ახალგაზრდობაში წამბაძველობა დიდია, ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ და არამც და არამც, თუ განსაკუთრებულ შემთხვევებთან არ გვაქვს საქმე, ეს ხერხი არ უნდა ვიხმაროთ. უნდა აიკრძალოს განათლების ორგანოების გარეშე მოწაფის ერთი სკოლიდან მეორეში გადაყვანა.

გამონაკლისს შემთხვევაში, ეს უნდა ხდებოდეს მოწაფის სრული „კურიკულუმ ვიტეს“ მეორე სკოლაში წარდგენით. ამით მოწაფესთან მიდგომის ხერხებს გამოვნახავთ და მოსალოდნელია მდგომარეობის გამოსწორება...

სკოლის მუშაობაში უდიდესი ხელის შემშლელია აგრეთვე ძველი ტრადიციების მატარებელი ოჯახი. როდესაც ბურჟუაზიულ წესწყობილების დროს, სკოლა და ოჯახი ერთდაიმავე მსოფლმხედველობით და ზნეობრივ მოთხოვნილებით უდგებოდა ბავშის აღზრდას, მუშაობაც ადვილი იყო. მაგრამ დღეს ახალი ყოფის შესაქმნელად, ძველი ოჯახი სრულიად არ არის გამოსადეგი. ძველი ოჯახი წარსულ ადათ-წესებს ადვილად ვერ ივიწყებს. მის გარდასაქმნელად დიდი ბრძოლაა საჭირო. ახალი სკოლა კი ძველ შეხედულებას, მორალს და ეთიკას გააფთრებით ებრძვის. რევოლიუციის წიაღში წარმოშობილ პოლიტეხნიკურ სკოლისათვის, სრულიად გამოუდეგარია ძველი ტრადიციები. სკოლასა და ოჯახს შორის არსებული ეს განსხვავება აღზრდის საქმეში მეტად მძიმე დაბრკოლებებს ქმნის.

ოჯახიდან შემოსული ბავში, უკვე ტრადიციების, შეხედულებების და ზნე-ჩვეულებების მქონე პიროვნებაა. როგორიცაა ოჯახი, ისეთივეა ბავში. წრის გავლენა ჩვენთვის უდავოა. თუ ოჯახი გამოკეტილია, მშობლები სამუშაოზე არიან და ბავშები საალმზრდელო დაწესებულებებში არ არიან ჩაბმული, მაშინ ისინი ქუჩის ანაბარა რჩებიან. დღევანდელი ქუჩა აღზრდისათვის ჯერ კიდევ საშიშია. რასაც

ოჯახი თავისი ტრადიციებით და ზნე-ჩვეულებით ბავშს „აკლებს“—იმას ქუჩა ავსებს.

ჩვენ მოწმე ვართ, რომ საბავშო ბაღში ახლად შემოსული 4 წლის გოგონები ისხდენ და შემდეგ სიმღერას მღეროდენ:

„მატარებლის კარები,
დედას გავეპარები,
წავალ „ზაქსში“ ხელს მოვაწერ,
პატრონს ჩავებარები“.

სად და როდის გაიგონეს ეს 4 წლის გოგონებმა? ან ასეთი შემთხვევა: 4 წლის ბიჭი მასწავლებელს ეუბნება: „მასწავლებელო, ეს ჩემი ცოლია, უნდა ვაკოცო“. რა იცის 4 წლის ბიჭმა ვინ არის ცოლი და, რომ ცოლს უნდა აკოცოს? აქ აშკარაა ოჯახის და ქუჩის გავლენა. ზოგჯერ ოჯახის უფროსი წევრები ბავშისადმი დიდი უკულტურობას იჩენენ. ხშირია შემთხვევა, რომ ცოლქმარი უბინობის თუ უვიცობის გამო, პაწიას არ ერიდებიან და ინტიმიური ცხოვრების ზოგ ფაქტს მასთან ამჟღავნებენ. ამას გარდა, დედა, ბებია, რომლებიც პაწიებს ზრდიან, პირველი დღიდანვე ცდილობენ ბავშის „ტიტინი“ მხიარულ გასართობად გამოიყენონ. „ვინ არის შენი ცოლი?“ — კითხავენ 2-3 წლის ბავშს. თუ ბავში „ცოლს“ მიუთითებს, ეს დაუსრულებელი ხარხარის და სიხარულის საბაბი ხდება. ჩვენ მეტიც გვინახავს. დედა უფრო „რადიკალურად“ უსვამს კითხვას თავის „ვაჟკაცს“: „რას უზამ, შვილო, ცოლს, რას?“.—ბავში ცდილობს განმარტოს ცოლთან დამოკიდე-

ბულება. ერთხელ ბათომიდან მოვდიოდით. ვაგონში ერთი 2-3 წლის ლამაზ გოგონას ირგვლივ აუარება ცნობისმოყვარე ხალხს მოეყარა თავი.—„იმღერე, შვილო“,—ეუბნება დედა, რომელსაც სახეზე სიამაყის ღიმი უკრთის. გოგონა ბავშური ტიტინით მღერის შემდეგს:

„ალმასკომის თავმჯდომარე, შენ გენაცვალეო,
არც ეს ქმარი გამომადგა, გამომიცვალეო“.

ხა, ხა, ხა,—გაისმის ობივატელის ხარხარი და მეორდება სხვადასხვა პიკანტური და პორნოგრაფიული ნომრები. გინდა იყვირო, ხალხი გონს მოიყვანო, მაგრამ თავს იკავებ. ბავშს პატარაობიდანვე აწვეთებენ იმ შხამს, რომელსაც ჩვენი საზოგადოების დაავადება შეუძლია. ბავშის აზროვნებაში ალმასკომის თავმჯდომარე, მხოლოდ ქმრების გამომცვლელ პიროვნებად ისახება. რა გასაკვირველია, რომ ბავში ასეთი შეხედულებებით შემოდის სკოლაში და ჩვენს ცდას ახალგაზრდებს შევაგნებინოთ, რომ ვაჟი დ ქალი ერთია, რომ ვაჟთან დაჯდომა და მასთან მუშაობა ნორმალური მოვლენაა, წინ ეღობება ოჯახის უმსგავსო ტრადიციები. ამის შედეგია ის, რომ გოგოს ვაჟთან დასვამ და ის ჯიუტობს: „არ მინდა, ბიჭია, არ დავჯდები ბიჭთან“ ან პირიქით. მოდიან მშობლები და სასტიკი პროტესტით' გვიცხადებენ: — „რად დასვით ჩვენი შვილი ბიჭთან — ან გადასვით, ან ბავშს სახლში წავიყვანთ“. სკოლა იბრძვის. უნდა მეშჩანი--მშობლები წინააღმდეგში დაარწმუნოს, მაგრამ ამაოდ. ყველა ფაქტების მოყვანა შეუძლებელია. სად არის გამოსავალი? ერთად-ერთი და რადიკა-

ლური საშუალებაა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი აღზრდის დაწესებულებათა გახსნა. სახელმწიფომ ბავშები უნდა გამოგლიჯოს ოჯახს და ქუჩას. როდესაც ბავშები სავსებით სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში აღიზრდებიან, მაშინ სრულიად გაჯანსაღდება ოჯახიც, ქუჩაც და საზოგადოებაც, ეს ყველასათვის უდავოა, მაგრამ ამას ჩვენ ეხლავე ყველა ბავშებისათვის ვერ მოვაწყობთ უსახსრობის გამო. ნიშნავს ეს იმას, რომ ხელი უნდა ავიღოთ აღრზდისათვის ბრძოლაზე?

რასაკვირველია არა. როგორ უნდა მოვიქცეთ? სკოლასთან არსებობენ ეგრედწოდებული დამხმარე საბჭოები. ეს უკანასკნელნი ზოგ სკოლაში დღემდე ფულის შეგროვების ორგანიზაციად არის მიჩნეული. საბჭო სკოლაზე აღმზრდელობით გავლენას ვერ ახდენს და ვერც მოახდენს, რადგან მისი შემადგენლობის უმრავლესობა არ იცნობს თანამედროვე სკოლის მოთხოვნილებებს. **აუცილებელია დამხმარე საბჭოების გადამზადება და მოსახლეობიდან აქტივის შექმნა, რომელიც მოახერხებს სკოლასთან ერთად ახალი ყოფისათვის ბრძოლას.** მათ მომზადებაზე უნდა იზრუნონ, როგორც განათლების განყოფილებებმა, ისე სკოლებმა და მასწავლებლებმა.

სკოლამ უნდა მოახერხოს მოსახლეობაში შრომის სკოლის ამოცანების ფართო პოპულარიზაცია. სკოლის პრინციპებმა მშრომელებში მტკიცეთ უნდა გაიდგას ფეხი, რომ სკოლისა და ოჯახის შეერთებული მუშაობით მოხერხდეს ახალი ადამიანის აღზრდა. ამ საქმეში სკოლასთან ერთად

დიდი მუშაობა უნდა ჩაატაროს პოლიტ-განათლების ორგანიზაციებმა და ქალთა განყოფილებებმა, რომელთა შეერთებული ძალით უნდა შევძლოთ ბავშის აღზრდის მეთოდების მშრომელ მოსახლეობაში გადატანა. ამასთან ერთად ჩვენ უნდა გადავჭრათ ბავშთა დასვენების ორგანიზაციის საკითხი. ჯერ კიდევ ბავშების მოზრდილი ნაწილი ქუჩაში საკმაო დიდ დროს ატარებს. საღამო მის განკარგულებაშია. ზოგი მათგანი, რომელსაც ნებისყოფა ჯერ კიდევ განმტკიცებული არ აქვს და ქუჩის გავლენას ადვილად ემორჩილება, იწყებს სხვადასხვა ფარულ „საქმეებს". — რამოდენიმე წლის წინად, მოსკოვიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა ერთი დამაფიქრებელი ამბავი გადმოგვცეს: „ქუჩაში მივდიოდით. დავინახეთ მიწაში შეთხრილი კარავი. კარებს მივადექით, ბავშების ხმა მოგვესმა. დავაკაკუნეთ. კარები არ გაგვიღეს. ბოლოს გაგვიღეს, მაგრამ არ შეგვიშვეს. ჩვენ საჩუქარი დავპირდით. ამის შემდეგ შეგვიშვეს, მაგრამ ცოტა არ იყოს გვეშინოდა. კარავში 12-15 წლის ბავშები იყვენ. როდესაც შევეკითხეთ, თუ აქ რას აკეთებენ, გვიპასუხეს: „თავის გართობა გვინდა და საკუთარი კლუბი მოვაწყვეთ" შეკითხვაზე თუ ვინ რას აკეთებს, გვიპასუხეს, რომ ზოგი ბანქოს თამაშობს, ზოგი ჭადრაკს. ზოგი ხატავს. „ძალიან ხელს გვიშლიან დიდი ბიჭები, რ-მლებიც ძალად გვეჭრებიანო". გავეცანით სხდომების ოქმებს, სადაც იყო აღნიშნული საწევრო გადასახადი, ინვენტარის შეძენა, წევრების მიღება და სხვა. გვაჩვენეს ერთი რვეული, რომელიც სავსე იყო პორნოგრაფიული ლექ-

სებით. რას ლაპარაკობს ეს მჭერმეტყველური ფაქტი? იმას რომ, ჩვენ ჯერ კიდევ ზოგჯერ მოუწესრიგებელი გვაქვს ბავშთა დასვენების ორგანიზაცია. საჭიროა საღამოობით კლუბური მუშაობის მოწყობა: ჭადრაკის, რადიოს, სიმღერების, სამხატვრო, კინო, დრამატ. წრეები, ნებაყოფლობითი და თვითმოქმედებითი ორგანიზაციები და სხვა, გონიერი და სასიამოვნო გასართობი ბავშს ცუდ გავლენას ჩამოაცილებს. ბავშებს ოჯახში ზოგჯერ სამუშაო კუთხე არა აქვთ. სკოლამ აუცილებლად უნდა შემოიღოს გახანგრძლივებული სამუშაო დღე. სკოლაში, სადაც სითბო და სინათლეა და ჰაერიც საკმარისია, საღამოობით უნდა სწარმოებდეს მუშაობა. ზოგი გაკვეთილებს დაამზადებს, ზოგი გონიერ გასართობს მოკიდებს ხელს, ზოგი ფიზკულტურაში ივარჯიშებს. ჯანმრთელობისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს — ფიზიკურ ვარჯიშობას. მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშობის ყველა სახეები განურჩევლად ყველა ბავშისათვის არ არის მისაღები. აუცილებელია წინასწარ ექიმების მიერ ბავშის გასინჯვა და ფიზიკური ვარჯიშობის მცოდნე პირის მეთვალყურეობა! ამასთან ერთად არ უნდა დაივიწყოთ აღმზრდელობითი ზეგავლენისათვის დიდი ღირებულების მქონე — დისპუტი, ლიტერატურული და საზოგადოებრივი გასამართლება, მოხსენება და რეფერატი; თემები შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო, ანტირელიგიური, ინტერნაციონალური და სხვა. კამათი ისე უნდა წარიმართოს, რომ ბავშები არჩევდენ იდეოლოგიურად ჩვენთვის მისაღებსა და კლასობრივად სწორს. ასეთი

მუშაობა ბავშებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. უფრო დიდს, ვიდრე გრძელი ლიტონი დარიგებები. მასწავლებელი ბავშებთან ერთად ისე უნდა მუშაობდეს, რომ მეურვეობას, ზედმეტ ზრუნვას და თავისუფლების შეზღუდვას ადგილი არ ჰქონდეს. ბავშები თავისუფლად უნდა გრძნობდენ თავს და ამბობდენ იმას, რაც მათ სწორად მიაჩნიათ. თუ მათი აზრი არ იქნება სწორი, მასწავლებელი უნდა ჩაერიოს და მოხერხებული მიდგომით მსჯელობა სწორი ხაზით წარმართოს. კითხვა პასუხის საღამოების მოწყობაც მეტად კარგი ხერხია. ექსკურსიების მოწყობა, საზოგადოებრივი დავალების შესრულება ბავშის დროის რაციონალურად გამოყენების ხერხებია. ბავშის დრო ისე უნდა იყოს შემჭიდროებული დასვენება-მუშაობით, რომ მას საშუალება არ ჰქონდეს მავნე აზრები და ჩვევები შეითვისოს. ყველაფერ ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს **პოლიტეხნიკური აღზრდა.** პოლიტეხნიკური აღზრდის დროს თეორიისა და პრაქტიკის დასაკავშირებლად სკოლა აწარმოებს სახელოსნოებში, წარმოებაში და კოლმეურნეობაში მუშაობას. ბავში სახელოსნოში უნდა მუშაობდეს არა მარტო დილით, არამედ საღამოობითაც. თუ ჩვენ ერთი სახის მუშაობას მეორეთი შევცვლით, ეს იქნება ბავშის დროის ორგანიზაციულად მოწყობა და მისი სათანადო ინტერესით შევსება.

სკოლები იბრძვიან და ვერ მოუსპიათ ზოგჯერ ბავშების დაგვიანება, დროს გაცდენა, სკოლიდან გაპარვა. მიზეზს ეძებენ და ვერ პოულობენ. ხსნიან იმით, რომ ესა თუ ის ბავში ბუნებით აბეზარია, ზარმაცია. ეს არ არის მართალი! თუ ბავში ასეთია, ესეც სკოლის ბრალია. თუ ის

სკოლაში არ დადის, ცხადია, მან სხვაგან უფრო საინტერესო საქმე პოვა, ვიდრე სკოლაში.

თუ გაიპარა, ცხადია მას არ მოსწონს ის საქმე, რომელსაც გასაკეთებლად აძლევენ. სკოლამ უნდა გამოარკვიოს, თუ რატომ მიდის ბავში? რა არის ამის მიზეზი? როგორც კი შევატყობთ ბავშს ცუღლუტობას, მაშინვე ყოველი ღონით უნდა ვეცადოთ, რომ ბოროტება ძირშივე აღიკვეთოს. სკოლამ ბავშის ოჯახური პირობები, ინტერესი, მიდრეკილება უნდა შეისწავლოს და მოახერხოს მისი მუშაობით დაინტერესება. ბავშის გაპარვას, უმიზეზოდ არ მოსვლას დიდი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, არა რეპრესიებით, არამედ პედაგოგიური ხერხებით. სკოლიდან ბავშვის გამორიცხვა არა პედაგოგიური ზომაა და სკოლას ეს დიდ მინუსად უნდა ჩაეთვალოს.

სასტიკად უნდა ვებრძოლოთ ბავშების სკოლაში დაგვიანებას, რადგან ის აჩვევს უპასუხისმგებლობას. დაგვიანებით ის ხელს უშლის კოლექტივს. მან თავის საქციელისათვის პასუხი უნდა აგოს კოლექტივის წინაშე, რომელშიაც დისციპლინა ნაგარი უნდა იყოს. თუ ეს შეგნება განმტკიცდება ბავშებში, ცხადია, შემდეგ ადვილია შეცდომების გასწორება. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადრიდანვე **ბავშებში თვითკრიტიკის გაშლას.** ბავშები დაუფარავად, გულწრფელად, მეგობრულად ერთმანეთს უნდა უჩვენებდენ იმ ნაკლზე, რომლის მოსპობა აუცილებლად საჭიროა კოლექტივის მუშაობისათვის. თუ ბავშებს ამას თავიდანვე შევაჩვევთ, მაშინ, ცხადია, მათში კრი-

ტიკული აზროვნება განმტკიცდება და მეგობრული ურთიერთობით ხაზგასმული ნაკლის აღმოფხვრა ადვილი იქნება. უფრო მეტიც, ბავშებს საწარმოო თათბირზე უფლება უნდა ჰქონდეთ, რომ მასწავლებელს მიუთითონ იმ ნაკლზე, რომელიც მას მათი აზრით აქვს. ეს ოდნავადაც არ ამცირებს მასწავლებლის ავტორიტეტს, როგორც ბევრს გონია. პირიქით ამტკიცებს მოწაფე-მასწავლებელთა შორის მეგობრულ კავშირს. მოწაფე მასწავლებელს უეჭველად პატივს უნდა ცემდეს, თუ ასე არ არის, რაღაც მიზეზია და ამის გამორკვევა აუცილებელია. მასწავლებელს ბავშებში თავის ცოდნით და პირადი ცხოვრებით დიდი ავტორიტეტი უნდა ქონდეს. მოწაფე - მასწავლებელთა შორის ამხანაგური დამოკიდებულება კიდევ უფრო ამტკიცებს მასწავლებლის პრესტიჟს და მისდამი პატივისცემას.

ბავშთა დასვენების ორგანიზაციის საკითხში, უსათუოდ ხაზი უნდა გაესვას რადიოს, კინოს და მოზარდ მაყურებელთა თეატრს. ჩვენში რადიოს როლი და მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა. რადიოს საშუალებით შესაძლებელი ხდება მუშებისა და კოლმეურნეების დაახლოებისათვის ცოცხალი სიტყვის გამოყენება. ჩვენი ქვეყნის უშორესი ადგილებისა, კუთხეებისა და ცენტრის მშრომელები ერთსა და იმავე დროს ეცნობიან მთავრობისა და პარტიის დირექტივებსა და გადაწყვეტილებებს, მუშათა ცხოვრებას კოლმეურნეთა მიღწევებს, ღებულობენ რჩევა-დარიგებებს, სამეურნეო ცნობებს, უკანასკნელ ამბებს და სხვა.

ბავშთათვის რადიოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუმცა რადიო მათ ეხლაც აწვდის საგანმანეთლებლო და საალმზრდელო მასალას, მაგრამ სავსებით მისი გამოყენება მომავლის საქმეა. რადიოცენტრს მართებს შერჩეული ძალებით ბავშთა მოსახლეობის სამსახურის გაძლიერება; მოზრდილს სხვაგვარი მიდგომა ჭირდება, ბავშს სხვაგვარი. რადიო ცენტრმა მუშაობაში უნდა ჩააბას კომკავშირი და მასწავლებლობა.

რაც შეეხება კინოს, ეს უკანასკნელი ჯერ ძალიან მცირე სამსახურს უწევს მომავალ თაობას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე საბავშო ფილმს, გაკეთებული თითქმის არაფერია. ბავშებს კინო ძალიან უყვართ. ისინი ილტვიან მისკენ, მაგრამ სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში კინო დათვურ სამსახურს უწევს მათ, როდესაც იქიდან დაბრუნებული ბავში ამერიკული ტრიუკებით არის გატაცებული. ბოლო დროს ამ მხრივ მდგომარეობა გაუკეთესდა მაგრამ ჯერ-ჯერობით სასურველი ძალიან ბევრი რჩება. აქაც პედაგოგებისა, კომკავშირისა და პროლეტმწერლების ჩაბმა დიდ შედეგს მოგვიტანს.

უკეთეს პირობებში ვითარდება მოზარდ მაყურებელთა თეატრის საქმიანობა. **მისი მიზანი კომინისტური აღზრდისათვის ბრძოლაა.** მან უნდა მოახერხოს მოზარდ მაყურებლის აღზრდაში მნიშვნელოვანი საქმის შესრულება. ეს მაშინ შეიძლება, თუ თეატრი ყურადღებას მიაქცევს ასაკს. მოზარდი მოზარდია, მაგრამ 8 წლის და 14 წლის ბავშის ინტერესი სულ სხვადასხვაა. ასაკობრივი ნიშნით

მუშაობის გაშლა თეატრმა უეჭველად უნდა შესძლოს. ამას გარდა, მანვე უნდა მოახერხოს რაიონებში თავისი ფილიალების დაარსება. პირველ ხანებში ეს არც თუ ისე პატარა საქმეა, მაგრამ შეიძლება პრაქტიკაში შემოიღონ თეატრის მოგზაურობა, და ამით ბავშთა მომსახურეობა. მოზარდთა თეატრმა ნაწილობრივ შესძლო პედაგოგთა ჩაბმა, მაგრამ უეჭველად საჭირო იქნება მისი კიდევ უფრო გაღრმავება.

შესაფერ შედეგს მოგვცემს მაყურებელთა კონფერენციების მოწყობა და დისპუტები. რამდენადაც ვიცით, ეს ხერხი ჯერ კიდევ გამოუყენებელია.

დასასრულ უნდა შევჩერდეთ ბავშთა და ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციებზე. ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე წერილის თავში განზრახ არაფერი ვსთქვით, რადგან ზემოდ ნათქვამის შეჯამება და ხორცის შესხმა სწორედ ამ ორგანიზაციების დახმარებით უნდა შევსძლოთ.

ბავშთა კომორგანიზაციებში მუშაობამ ახალ თაობაში უნდა განამტკიცოს კლასობრივი ბრძოლის ალღო, პასუხისმგებლობა, შეგნება და, რევოლიუციონური დისციპლინა, ურომლისოდ პიროვნებას იმორჩილებს ძველი, კერძო საკუთრებაზე წარმოშობილი: მტრობა, შური მლიქვნელობა, ვიწრო ინდივიდუალიზმი, ყოყოჩობა, და სუსტი ნებისყოფა. მშრომელ საზოგადოებისათვის სასარგებლო მუშაობა და კოლექტივის წევრის მოვალეობის შესრულება, მხოლოდ ბავშთა ორგანიზაციების საშუალებით შეიძლება.

თუ სკოლაში არის კომკავშირის უჯრედი, ის როგორც ახალგაზრდობის ავანგარდი, უნდა იყოს სასკოლო ცხოვრების მოწყობის უშუალო მონაწილე. კომკავშირის უშუალო ხელმძღვანელობით უნდა მუშაობდენ, პიონერორგანიზაცია, ნებაყოფლობითი ორგანიზაციები და მოწაფეთა თვითმმართველობა. კომკავშირს სკოლაში დიდი მოვალეობა აწევს. ის არის მოწაფეთათვის მაგალითი და წაბაძვის საგანი. „კომკავშირის მიზანია — დააყენოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა ისე, რომ სწავლობდეს, იბრძოდეს, რიგებს ამჭიდროვებდეს და ზრდიდეს, რიგორც საკუთარ თავს, ისე იმათ, ვინც მასში ხედავს ბელადს, რომ ის ზრდის კომუნისტებს“. (ლენინი)..

მისი ხელმძღვანელობით სკოლაში სისტემატიურად უნდა **გამოდიოდეს კედლის გაზეთი,** რომელიც სკოლის ცხოვრების ყოველ ნაკლსა და მიღწევას სარკესავით ასახავდეს. კედლის გაზეთი უნდა გადაიქცეს თვითკრიტიკის ორგანოთ, სადაც ამხანაგურ კრიტიკასთან ერთად, ადგილი ექნება მოწაფეთა შემოქმედების გაშლას და ენტუზიასტების მაგალითით ჩამორჩენილების წახალისებას. კომკავშირისვე წინამძღოლობით სკოლის კედლებში და მის გარეშე ფართოდ უნდა გაიშალოს: **შრომის სოციალისტური ფორმები და მეთოდები სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის სახით. სოცშეჯიბრებამ ხელი უნდა შეუწყოს კლასობრივი დისციპლინის განმტკიცებას, მეშჩანურობივატელურ ყოფის ნაშთების ამოწვას, შრომის ნაყოფიერების გაზრდით აკადემიურ წარმატებას და პოლი-**

ტიკურ-სიზოგადოებრივ დონის ამაღლებას. საბოლოო ანგარიშში სწორედ გაგებული და წარმოებული სოცშეჯიბრება, დამკვრელობა უნდა გადაიქცეს კომუნისტური მორალის განმტკიცების მეთოდათ. ამიტომ, არც ერთი კომკავშირელი მოწაფე და პარტიული მასწავლებელი, თანახმათ მე-16-პარტყრილობის დადგენილებისა, სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გარეშე არ უნდა დარჩეს. მათი მაგალითი უნდა მოედვას სკოლის ყველა ორგანიზაციებს, მოწაფეებს, მასწავლებლებს, მშობლებს და შეერთებული ძალით სკოლა უნდა გადაიქცეს ახალი ადამიანის შემქმნელ ერთ-ერთ კერად.

არავითარი მუშაობა არ შეიძლება იყოს ნაყოფიერი, თუ მას თან არ ახლავს შესრულების შემოწმება და აღრიცხვა. ამ უკანასკნელთ ადგილი უნდა ჰქონდეს მუდამ, ყოველგვარი მუშაობის ჩატარების დროს. ანგარიში უნდა გაეწიოს არა მარტო იმას, რაც გაკეთდა, არამედ იმასაც, **თუ როგორ** გაკეთდა. ასეთი აღრიცხვა ბავშებში მოსპობს წყალ-წყალა დილეტანტობას, რომლითაც დაავადებული იყო ძველი სკოლა. სამაგიეროდ მოგვცემს სოციალიზმის ძვალ-მაგარ მშენებელს.

ჩვენ ვამბობთ, რომ კომკავშირის ორგანიზაციის უშუალო მონაწილეობით უნდა ხდებოდეს სკოლის რეკონსტრუქცია და ახალი ადამიანისათვის ბრძოლა, მაგრამ ეს არამც და არამც ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მასწავლებლები პასიური მაყურებელი უნდა იყვენ, თავიანთი საქმე—გაკვეთილების მიცემა—შეასრულონ და ამით ყველაფერი გაათავონ.

პირიქით, მასწავლებლები, რომელთაც აქვთ პედაგოგიური მომზადება, ცოდნა და გამოცდილება, კომკავშირთან ერთად სკოლის საერთო საქმეს უნდა აკეთებდენ. არაფრის გაკეთება არ შეიძლება იქ, სადაც არ არის თანხმობა, ერთმანეთის გაგება და ამხანაგური პატივის ცემა. კომკავშირი და საბჭოთა მასწავლებლობა ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ. მაშასადამე, მათ შორის უნდა იყოს კონტაქტი და შეერთებული ძალით მუშაობა.

არის ისეთი სკოლები, სადაც მოწაფეთა მცირე ასაკის გამო, კომკავშირის უჯრედი არ არსებობს. ასეთ სკოლებში ყურადღების ცენტრში პიონერორგანიზაცია უნდა მოექცეს. ცხადია, პიონერორგანიზაციას ყველა იმ მოვალეობას, რასაც კომკავშირს ვერ დავაკისრებთ, მაგრამ პიონერი უეჭველად დანარჩენებისათვის მაგალითი უნდა იყოს. პიონერ ორგანიზაციებში დიდი როლის შესრულება ეკისრება პიონერხელმძღვანელს. გამოცდილებით ვიცით, რომ პიონერხელმძღვანელი ძალიან უყვართ არა თუ პიონერებს, დანარჩენ მოწაფეებსაც. სამწუხაროთ პიონერხელმძღვანელი ჯერ კიდევ ზოგჯერ პედაგოგიურად მოუმზადებელია. საბჭოთა მასწავლებლის ვალია მას ამხანაგური დახმარება აღმოუჩინოს და საკითხების დაყენების თუ გადაწყვეტის დროს, პედაგოგიური რჩევა-დარიგება მისცეს. წინა წლებთან შედარებით, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ პიონერ ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები თვალსაჩინოთ გაიზარდენ, მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი. პიონერ ორგანიზაციების წარმატებით მუშაობა დიდათ არის დამოკი-

დებული მათი ხელმძღვანელებისაგან და ამიტომ, კატეგორიულად უნდა დაისვას საკითხი, რომ პიონერ ხელმძღვანელი იყოს პედაგოგიურ ტექნიკუმში ცოდნა მიღებული და მასწავლებელთა შტატში ჩარიცხული. ის სკოლის მუშაობაში უშუალო მონაწილეობას უნდა ღებულობდეს და ამიტომ დილიდანვე სკოლაში უნდა იყოს. ეხლა ზოგჯერ ასეა: პიონერხელმძღვანელი მოდის კვირაში ორჯერსამჯერ საღამოობით, ამუშავებს პიონერებს და მიდის. ის ვერც მასწავლებლებს ხვდება, ვერც დანარჩენ მოწაფეებს და არ იცის, თუ როგორ ცხოვრობს სკოლა. ამას ბოლო უნდა მოეღოს. პიონერხელმძღვანელი უნდა გადაიქცეს სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურად და სკოლის ყოველ მხარეს იცნობდეს. რაც შეეხება ბავშთა თვითორგანიზაციას ანუ თვით მართველობას, მის საქმიანობას უდიდესი ყურადღება სჭირდება. ჯერ კიდევ ზოგ სკოლაში თვითმართველობას ისე უცქერიან, როგორც დაუდევარ მოწაფეთა დამსჯელ ორგანიზაციას. ეს ყალბი გაგებაა! თვითმმართველობა მოწოდებულია „უპარტიო“ მოწაფეებში აწარმოოს დიდი აღმზრდელობითი მუშაობა.მისი სწორად დაყენებით უნდა მომზადდეს სოციალისტურ მშენებლობისათვის მებრძოლი კადრები, რომლებშიც მტკიცედ გაიჭედება კლასობრივი აღზრდის პრინციპები. მისივე საშუალებით მოწაფეებში უნდა გამომჟღავნდეს უნარი, შესაძლებლობანი, მიდრეკილებანი და მიეცეს მათ შესაფერი წარმართვა. თვითმართველობა უნდა იბრძოდეს მოწაფეთა აკადემიურ წარმატებისთვის.

თვითმართველობაში უნდა ჩაებას ყველა მოწაფეები. კომკავშირლების და პიონერების უშუალო მონაწილეობით უნდა ხდებოდეს თვითმართველობის ყოველდღიური მუშაობა. თვითმართველობის საშუალებით უნდა ხდებოდეს კომკავშირის რიგების შესავსებად ახალი, სოციალურად მისაღები ელემენტების მომზადება.

ბავშთა ორგანიზაციის მნიშვნელობა დიდია კომუნისტური მორალის განმტკიცების საქმეში. ეს უნდა ახსოვდეს საბჭოთა ყველა მოქალაქეს და მათ დასახმარებლად არ უნდა იქნეს დაშურებული არავითარი შესაძლებლობა.

პოლიტეხნიკური აღზრდით სოციალისტურ საზოგადოებისაკენ.

„სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპები ერთის მხრივ, ჩვენი ტექნიკური კადრების ჩამორჩენილობა და გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც თან მოყვა პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილის მიერ გააფთრებული ბრძოლის ახალი ფორმები—მეორე მხრივ, პარტიის წინაშე მთელი სიმწვავით აყენებს კადრების პრობლემას, და ეს საკითხი გადაჭრით იყო დასმული ამხ. სტალინის მიერ ცეკ-ს აპრილის პლენუმზე". (ამხ. კაგანოვიჩის სიტყვა მე 16-ე პარტყრილობაზე).

სოციალისტურ კადრების პრობლემის გადაწყვეტის გარეშე, შეუძლებელია სოციალისტურ საზოგადოების შენება. თუ რამდენად ძნელი სანდობია ბურჟუაზიულ

წრიდან გამოსულ ინტელიგენციის ნაწილი, ეს კარგად დაგვანახა წარსულში აღმოჩენილმა მავნებლურმა ორგანიზაციებმა, რომელთა ბელადნი ისხდენ ჩვენს აპარატში და პროლეტარიატის ნდობით აღჭურვილნი, მტრულად განაგებდენ ჩვენი მეურნეობის მნიშვნელოვან საქმეებს. პროლეტარიატმა თვითონ უნდა მართოს თავის სახელმწიფო. ამისათვის საჭიროა სოციალისტურ კადრების მომზადება. „ჩვენი ქვეყანა შევიდა განვითარების ისეთ ფაზაში, როცა მუშათა კლასმა უნდა შექმნას თავისი საკუთარი საწარმოო ტეხნიკური ინტელიგენცია, რომელსაც შეეძლება დაიცვას მისი, როგორც გაბატონებული კლასის ინტერესები წარმოებაში. **არ ყოფილა არც ერთი გაბატონებული კლასი, რომელსაც თავის საკუთარი ინტელიგენცია არ ყოლოდეს**“ (სტალინი).

როგორი თვისებებით უნდა იყვენ აღჭურვილნი ეს კადრები? კლასობრივ შეგნებასთან და პოლიტიკურ ღრმა მომზადებასთან ერთად აუცილებელია, მათ ქონდეთ მიღებული პოლიტეხნიკური აღზრდა, რომ „შეეგუონ მუდმივ ცვალებადობაში მყოფ ტეხნიკას“ (მარქსი).

ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულ კლასისათვის სრულიად არ არის ხელსაყრელი გათვითცნობიერებული და ყოველმხრივად მომზადებული მუშა ხელი, მშრომელი მთელი სიცოცხლის მანძილზე ასრულებს ერთ რომელიმე ვიწრო სპეციალობას, რომლის გარეშე მას არავითარი საქმის შესრულება არ შეუძლია. საკმარისია ტეხნიკის ოდნავ წინსვლა, რომ ვიწრო სპეციალობის მქო-

ნე მუშა ახალ´ ტეხნიკას ვერ შეეგუოს და ის, როგორც უვარგისი და ჯაბანი, ქუჩაში ულუკმაპუროდ დარჩეს. უცხოეთში მუშა მანქანის მონაა. ტეხნიკის გაუმჯობესება მისი უბედურებაა.

სოციალისტურ მეურნეობისათვის მუშა — მანქანის მონა მიუღებელია. ჩვენ გვჭირდება ისეთი კადრები, რომელნიც ტეხნიკის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობენ, რადგან მისი (ტეხნიკის) გაუმჯობესება მუშის კეთილდღეობის მომტანი იქნება. სოციალისტური მშენებლობა ყოველგვარ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ აღიზარდოს ყოველმხრივად განვითარებული პიროვნება. პოლიტეხნიკური სკოლა, რომელიც სოციალისტურ მშენებლობის წიაღში წარმოიშვა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პროლეტარულ კადრების აღზრდის საქმეში.

უცხოეთში, მარქსისტულ პოლიტეხნიკურ აღზრდაზე ლაპარაკი შეუძლებელია. „ანაზღაურებული საწარმოო შრომა, შეერთებული გონებრივ განვითარებასა, ფიზიკურ ვარჯიშობასა და პოლეხნიტიკურ მომზადებასთან, მუშათა კლასს აწევს გაცილებით უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე არის ეხლა, საზოგადოების უმაღლესი და საშუალო კლასები“. (მარქსი). მარქსს აღზრდა წარმოუდგებოდა გონებრივ, ფიზიკურ და პოლიტეხნიკურ მომზადების შეერთებით, **რომელიც წარმოიდგინება გონიერად მოწყობილ საზოგადოებრივ წესწყობილების დროს, (ანუ სოციალიხტურ საზოგადოებაში)**. მაშასადამე, კაპიტალისტურ წესწყობილებაში პოლიტეხნიკურ აღზრდაზე ლაპარაკი არის ფიქცია და თვალების ახვევა.

პოლიტეხნიკური აღზრდა უნდა იქნეს საძირკველი, რომელზედაც შემდგომ დაშენდეს ვიწრო სპეციალობა. ყოველ სპეციალიტს უნდა ექნეს პოლიტეხნიკური მომზადება რომელიც აფართოვებს ადამიანის გონებრივ ჰორიზონტს და აძლევს მას თავის ძალთა გამოყენების ფართო გასაქანს. ბავში ადრიდანვე (სასკოლო ასაკამდე დაწყებული), დიდაქტიურ და პედაგოგიურ მოთხოვნილებათა სრული დაცვით, სისტემატიურად და თანდათანობით უნდა ღებულობდეს პოლიტეხნიკურ აღზრდას. სახელოსნოებში და სამუშაო ოთახებში მუშაობით და ამასთან დაკავშირებით წარმოებების ახლო შესწავლით, მათ საშუალება მიეცემათ გაეცნონ: წარმოების პროცესებს, იარაღებს, მანქანების აღნაგობას და მოხმარებას. მასალის თვისებას, მუშაობის ხერხებს და მეთოდებს, სამოძრავო ძალას (ენერგეტიკას), ნედლეულის გადამუშავებას, სხვადასხვა წარმოებათა შორის არსებულ განსხვავებასა და მსგავსებას, ტეხნიკის განვითარების კანონებს, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, კოლექტიური შრომის უპირატესობას, ქარხნის ისტორიას, მუშათა ყოფა-ცხოვრებას, მათ კულტურულ მუშაობას და სხვას. როდესაც მოწაფე ადრიდანვე შეეთვისება წარმოებას, შეიგნებს შრომის პრინციპებს და მთავარ წარმოებათა შინაარსს, ეცოდინება, თუ როგორ ვითარდება საწარმოო ძალები და

---

1) პირველი ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესი.

ამასთანავე მიიღებს კლასობრივ პოლიტიკურ გამობრძ-
მედას, ცხადია, ამის შემდეგ, ვიწრო სპეციალობის შეს-
წავლა და შემდეგ ცხოვრებაში მისი გამოყენება, დიდათ
ნაყოფიერი იქნება სოციალისტურ საზოგადოებისათვის
მაგრამ არამც და არამც საკითხი ისე არ უნდა გავიგოთ,
რომ სკოლის პოლიტეხნიზაცია ნიშნავს მხოლოდ პრაქ-
ტიკულ საქმიანობას სახელოსნოსა და წარმოებაში. ცხა-
დია, სახელოსნოში და წარმოებაში მუშაობა პოლიტეხ-
ნიკურ აღზრდისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირო-
ბაა, მაგრამ ის არ უნდა ატარებდეს ვიწრო პრაქტიკულ
ხასიათს. უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერე-
ბათა სისტემატიურ და მტკიცე შეთვისებას. „ცენტრა-
ლური კომიტეტი ადასტურებს, რომ საბჭოთა სკოლა
ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს იმ უდიდეს მოთხოვნებს,
რომელსაც უყენებს მას სოციალისტური მშენებლობის თა-
ნამედროვე ეტაპი. ცენტრალური კომიტეტი მთავარ ნაკ-
ლად ეხლანდელ მომენტში სთვლის იმას, რომ სწავლება
სკოლებში, არ იძლევა საკმაო საერთო საგანმანათლებლო
ცოდნას, და არადამაკმაყოფილებლად სჭრის ტეხნიკუმე-
ბისა და უმაღლესი სკოლებისათვის ისეთი მცოდნე პირების
მომზადების ამოცანას, რომელთაც კარგათ აქვთ შეთვისე-
ბული მეცნიერებათა საფუძვლები, (ფიზიკა, ქიმია, მათე-
მატიკა, მშობლიური ენა, გეოგრაფია და სხვა). **ამის გა-
მო, სკოლის პოლიტეხნიზაცია მთელ რიგ შემთხვევებში
ფორმალურ ხასიათს ღებულობს და ვერ ამზადებს ბავ-
შვებს,** (ხაზი ჩვენია ნ. ძ.), როგორც სოციალიზმის ყოველ-

მხრივ განვითარებულ მშენებლებს, რომლებიც თეორიას უკავშირებენ პრაქტიკას, და რომელთაც შეთვისებული აქვთ ტეხნიკა.

სკოლის პოლიტეხნიზაციის იდეის უდიდეს დამახინჯებას წარმოადგენს ყოველგვარი ცდა,—მოსწყვიტონ სკოლის პოლიტეხნიზაცია მეცნიერების, გასაკუთრებით ფიზიკის, ქიმიის და მათემატიკის სისტემატიურად და მტკიცედ შეთვისებას“.. (ც. კ.-ის 5 სექტ. დადგენილებიდან).

აღნიშნული ამონაწერი სრულიად გარკვევით აყენებს საკითხს: არ შეიძლება პიროვნებას მისცე პოლიტეხნიკური აღზრდა ისე, თუ მას მტკიცედ არ ექნება შეთვისებული პროგრამით გათვალისწინებულ მეცნიერებათა მოცულობა. მარქსისტული გაგებით ყოველმხრივად განვითარებული პიროვნება არის ის, ვისაც კარგად აქვს შეთვისებული თეორიული ცოდნა და იმავე დროს, შეუძლია ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. **არ შეიძლება თეორიისა და პრაქტიკის გათიშვა** და თეორიის ჩრდილში დაყენება. პირიქით, „საჭიროა, რომ თეორიული მუშაობა არა თუ ჩამორჩეს პრაქტიკულ საქმიანობას, არამედ უსწრებდეს კიდეც ამ მუშაობას და აიარაღებდეს ჩვენს პრაქტიკოსებს მათ ბრძოლაში, სოციალიზმის გამარჯვებისათვის“. (სტალინი: მარქს. აგრარ. კონფერ.). ამიტომ აუცილებელია, რომ გარკვეულ მეცნიერულ-მარქსისტულად დამუშავებულ პროგრამების მიხედვით, მოწაფე სკოლაში ღებულობდეს მტკიცე და სისტემატიურ მეცნიერულ ცოდნას, ჩვევათა ჯამს და იმ მეთოდების მოხმარას, რომელიც მას გაუკა-

ფავს გზას დამოუკიდებელ მუშაობაში. თეორიულ ცოდ ნას ბავში უნდა ახორციელებდეს პრაქტიკულად, შეგნებულად და გაზომილად. მან უნდა იცოდეს, რას, რატომ აკეთებს, რა უნდა მიიღოს და როგორი იქნება მისი შემდეგი განვითარების გზები.

კომუნისტურმა პოლიტეხნიკურმა სწავლებამ მოწაფეებში უნდა განამტკიცოს „მეცნიერებათა საფუძვლები", გააცნ ს მათ თეორიულად და პრაქტიკულად წარმოების ყველა მთავარი დარგები, და დაამყაროს „სწავლების მჭიდრო კავშირი ნაყოფიერ შრომასთან", ამიტომ ც. კ-ის 5 სექტემბრის დადგენილების თანახმად, „ფართოდ უნდა გაიშალოს სკოლებთან სახელოსნოებისა და სამუშაო ოთახების ქსელი და ეს მუშაობა დაუკავშირონ სკოლების მიმაგრებას საწარმოებებზე, საბჭოთა მეურნეობებზე სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე და კოლმეურნეობებზე ხელშეკრულების მიხედვით".

პოლიტეხნიკური სწავლება, თუ ერთი მხრივ აუცილებლად უნდა გულისხმობდეს თეორიულ ცოდნის მტკიცე საფუძველზე დაყენებას და მოწაფეთა გონების საერთო-საგანმანათლებლო საგნებით გამდიდრებას, მეორეს მხრივ მოწაფეს უნდა აძლევდეს საწარმოო ძალთა განვითარების, წარმოების მთავარ დარგთა, იარაღების, მასალის, ენერგეტიკის და შრომის ორგანიზაციის გაცნობის საშუალებებს. ამ უკანასკნელის შესათვისებლად, **პირველ ყოვლისა საჭიროა სკოლის სახელოსნოებისა და შრომის ოთახების მოწყობა.** ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი

ჯურის ოპორტუნისტები, რომლებიც სახელოსნოებისა და შრომის ოთახების არსებობას ალმაცერად უცქერენ და, თუ მათ არსებობას „ითმენენ“, მხოლოდ, იმიტომ, რომ ჯერჯერობით არ არის ყველა სკოლების წარმოებებზე მიმაგრების შესაძლებლობა. ისეთი მაგალითებიც იყო, რომ ზოგან სახელოსნოებს სრულიად აუარეს გვერდი, თუმცა ასეთი არსებობდა და სკოლა პირდაპირ წარმოებაზე მიამაგრეს. ეს უდიდესი შეცდომაა. სკოლა უნდა ცდილობდეს, რომ თითონ მოაწყოს სახელოსნო და სასურველია უეჭველად მექანიზებული; ასეთ სახელოსნოში ბავში გაეცნობა იარაღების მოხმარებას, მასალის გადამუშავებას და ტექნოლოგიას, მამოძრავებელ ძალას და შრომის ორგანიზაციას. ამის შემდეგ მისი მისვლა წარმოებაში, არ იქნება უნაყოფო. მას შეუძლია უფრო ფართო მასშტაბით წარმოების ყოველმხრივად გაცნობა. ც. კ. დადგენილებით სახელოსნოებისა და სამუშაო ოთახების ქსელის გაშლა უნდა უკავშირდებოდეს საწარმოებზე მიმაგრებას, რაც გულისხმობს სახელოსნოებისა და სამუშაო ოთახების უეჭველ არსებობას.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ რადგან ამჟამად მექანიზებული სახელოსნოს გახსნა არ შეგვიძლია, ხელი უნდა ავიღოთ პოლიტეხნიკურ სწავლებაზე. მექანიზებულ სახელოსნოს მოწყობა მიზნად უნდა დავისახოთ და ვეცადოთ მისი მოწყობა, მაგრამ მანამ მოვიხმართ არამექანიზებულსაც. უფრო მეტიც, საჯაც სულ არ არის სახელოსნო, ჩვენ იქაც უკან არ დავიხევთ და დავისახავთ რა

მიზნად სახელოსნოს მოწყობას, ბავშებს გავაცნობთ, ცალ კეულ მანქანებს: ავტოს, წისქვილს და სხვას.

ც. კ-ს დადგენილებითვე, საწარმოებებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა და კოლმეურნეობებმა ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ სკოლებს, რომ სახელოსნოებისათვის და ლაბორატორიებისა თვის გამოყოფილი იქნეს მოწყობილობა, იარაღები, კვალიფიციური მუშები და სპეციალისტები, სკოლის მუშაობაში და პედაგოგების მიერ წარმოების შესწავლაში დასახმარებლად.

იმ ხელშეკრულებით, რომელიც დაიდება სკოლასა და წარმოებას შორის, გათვალისწინებული უნდა იყოს, თუ რა დახმარებას გაუწევენ ერთმანეთს ხელშეკრული ორგანიზაციები. სკოლის სახელოსნოებისა და სამუშაო ოთახების მოწყობა უნდა მოხდეს მიმაგრებულ წარმოების დახმარებით. მათივე დახმარებით უნდა ძოხერხდეს „მასწავლებელთათვის წარმოების საფუძვლების გაცნობა ქარხანაში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე და კოლმეურნეობებში, იმ ანგარიშით, რომ 1931-32 წლის მასწავლებელთა ყველა კადრები გაეცნონ წარმოების საფუძვლებს“. (ც. კ-ის 5 სექტემბრის დადგენილებიდან).

მასწავლებელი კარგად უნდა დაეუფლოს პოლიტეხნიკურ სკოლის პრინციპებს, მეთოდებს, შინაარსს, გაიცნოს წარმოება, რომ შესძლოს ახალი კადრების აღზრდა. პოლიტეხნიზმით აღჭურვას ვალა ჩვენ არა თუ მასწავლებ-

ლებს ვთხოვთ, არამედ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, აგრონომებს და ყველას, ვისაც საქმე აქვს სოციალისტურ მშენებლობასთან. „შემოღებულ იქნეს ყველა ინდუსტრიალურ და სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში პოლიტექნიკური სკოლის მეთოდების გაცნობა და საწარმოო ტექნიკური სწავლების დაყენება“ (ცკ კ-ის 5 სექტემბრ. დადგენილებიდან), რადგან მხოლოდ პოლიტექნიკურ საფუძვლებზე დაშენებული ვიწრო სპეციალიზაცია არის ღრმა გასაქანის მქონე. რომ ავიცილოთ პოლიტექნიზაციის დარგში დამახინჯებანი, როგორიც არის მრავალხელოსნობა, ისე ვიწრო ხელოსნობით გატაცება, აუცილებლად საჭიროა პოლიტექნიზაციის იდეის მასიური პოპულარიზაცია და მისი შინაარსის ფართოდ გაშუქება.

ხელოსნები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სასკოლო სახელოსნოების მუშაობას, ზოგჯერ სრულიად არ იცნობენ პოლიტექნიზმის პრინციპებს. ისინი ვიწრო ხელოსნებია. ბავშებს წვრთიან მხოლოდ ხელოსნურ ჩვევებში. ეს პოლიტექნიზმის დამახინჯებაა. ან ზოგჯერ, პოლიტექნიზმი გაგებულია, როგორც მრავალხელოსნობა. ასწავლიან დურგლობას, ზეინკლობას, მკინძაობას და წარმოდგენილი აქვთ, რომ ეს პოლიტექნიზმია. ესეც დამახინჯებაა. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, როგორც ნაადრევ სპეციალიზაციას, ისე მრავალ ხელოსნობას. საჭიროა ეხლავე გადამზადდენ როგორც ხელოსნები, ისე ყველა მასწავლებლები... სკოლაში შრომის საქმეს უნდა უძღვებოდენ პედაგოგები. ხელოსნების დაშვება შეიძლება, მხო-

ლოდ მათი სათანადო გადამზადების შემდეგ. ამ შემთხვევაშიაც, მასწავლებელი თითონ უნდა ახლდეს მოწაფეებს სახელოსნოში მუშაობის დროს და უთვალყურებდეს და ეხმარებოდეს ხელოსანს ბავშებთან სწორ მიდგომაში.

სათანადო სიმაღლეზე დაყენებული პოლიტეხნიკური სკოლა, არის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაცია და მისი სათანადო მოწყობით დაინტერესებული უნდა იყოს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი.

სოცშეჯიბრება სოციალისტური შრომის მეთოდია

ეხლა როდესაც ძალა-უფლება სოციალისტურ მთავრობის ხელშია, ჩვენი ამოცანაა მოვაწყოთ შეჯიბრება".

ლენინი

მე-16-ე პარტყრილობამ მუშათა ენტუზიაზმით წარმოშობილი სოციალისტური შეჯიბრება, მუშათა მასების კლასობრივ აღზრდის მეთოდად აღიარა და პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს დაავალა ხელმძღვანელობის გაღრმავება და უმაღლეს საფეხურებამდე აყვანა. „სოცშეჯიბრება არის სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი, რომელიც ეყრდნობა მშრომელ მასების მაქსიმალურ აქტივობას" (სტალინი).

დღეს, როდესაც ხდება ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა, მუშათა კლასმა ჯერ არნახულ უსწრაფესი ტემპებით ააშენა ,ბ გაამაგრა სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლები, რომ საბოლოოდ ააგოს აუღებელი ციხე სიმაგრე — სოციალიზმი. სოციალისტურმა მშენებლობამ შრომის სოციალისტური ფორმები მოითხოვა და მუშათა კლასის აღფრთოვანებამ და ენტუზიაზმმა წარმოშვა სოციალისტური შრომის მეთოდები — სოცშეჯიბრება, დამკვრე-

ლობა, საზოგადოებრივი ბუქსირი, მიმყოლი ბრიგადები, შემხვედრი გეგმები და სხვა. კულტურულ ფრონტზედაც გაიშალა მუშათა კლასის მიერ ნაცადი მეთოდი—სოცშეჯიბრება და ჩვენ ამ მხრივ თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს. „სოცშეჯიბრება უკვე გადაიქცა მშრომელთა აქტიურ, შემოქმედებით მშენებლობაში ჩაბმის გენერალურ მეთოდათ, მეთოდათ, რომელიც ამავე დროს არის მასების სოციალისტურად გარდაქმნის საშუალება".

„სოცშეჯიბრების პროცესში იქედება უდიდესი კოლექტივიზმი, რომელიც არის სოციალისტურ აღზრდის აუცილებელი პირობა...

მიზანშეწონილი შრომა გულისხმობს არა მარტო ხელებით, არამედ გონებით მუშაობასაც *)"

თავისუფალ ქვეყანაში, სადაც შრომა სასჯელი კი არ არის, არამედ საკუთარი ცხოვრების მოწყობა და შექმნაა, სადაც თავისუფალი შრომა წარმართულია მშრომელი მასების კეთილდღეობისაკენ, ვის უნდა ეკუთვნოდეს შრომის ინიციატივა, თუ არა იმავ მშრომელთა მასებს!

ყოველმა მშრომელმა იცის, რომ ის ქმნის ქვეყნის დოვლათს არა სხვისათვის, არამედ საკუთარ თავისათვის საკუთარ კოლექტივისათვის.

აქედან გამომდინარეობს ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს კონკურენციასა და სოციალისტურ შეჯიბრებას შორის. კონკურენცია კაპიტალისტურ ქვეყნების ღვიძლი შვილია, რომელიც წარმოიშვა წარმოებათა და მათ მეპატრონე კაპიტალისტთა შორის მეტოქო-

*) ს. კამენევი

ბის ნიადაგზე. ერთი ეპრძის მეორს, ერთს უნდა მეორეს წაგლიჯოს.— მოატყვილოს, გაანადგუროს, ოღონდ საკუთარი ჯიბე გაისქელოს. კონკურენციის დროს დასაშვებია ყოველგვარი ხერხი და საშუალება, რომელიც გამართლებულია მიზნით—კაპიტალისტის გამდიდრებით. კაპიტალისტურ ქვეყნებში დოვლათის შემქმნელი—მუშა, მყრალ სარდაფებში ცოლშვილიანად გამომწყვდეული, სრულიად არ არის დაინტერესებული წარმოების წინწაწევით. მან კარგად იცის, რომ კაპიტალისტის ეკონომიური სიძლიერე, მუშის ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობის გაუარესებას ნიშნავს.

სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ თავისუფალი ქვეყანაში შეიძლება გაიშალოს. „სოციალისტური შეჯიბრება ამბობს: ერთნი მუშაობენ ცუდათ, მეორენი—კარგად მესამენი—უკეთესად, დაეწიე უკეთესებს და შექმენი საერთო აღტყინება შრომაში მასების მონაწილეობით“— (სტალინი).

სოციალისტური შეჯიბრება უნდა გადაიქცეს, როგორც ეკონომიურ დოვლათის წყაროდ, ისე მშრომელების სოციალისტურ სკოლად, სადაც გამოიჭედება მათი ძლიერინებისყოფა და საკუთარი საქმეების გასაძღოლად აუცილებელი ღრმა შეგნება.

ის ენტუზიაზმი და აღტაცება, რომელითაც დღეს მრავალი წარმოება სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობს, უნდა გადაედოს ყველას, ვისაც ჩვენი ქვეყნის წინსვლა აინტერესებს.

სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სოციალისტური მშენებლობის საუკეთესო მეთოდათ არის მიჩნეული, პროფკავშირებისაგან დიდ ყურადღებას მოითხოვს. მის რიგიანად მოწყობაზეა დამოკიდებული ხუთწლიანი გეგმის ანხორციელება.

კერძოდ განათლების კავშირს ამ მიმართულებით ენერგიულ ნაბიჯების გადადგმა მართებს, რადგან ჩვენი მასა — კულტურული მუშაკები — ისე ძლიერად ვერ გრძნობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების აუცილებლობას, როგორც სხვა დარგის მუშაკები.

ნამდვილად კი კულტურული დარგი ეკონომიურ დარგზე ჩამორჩენილია და საჭიროა დიდი უნარის გამოჩენა, რომ ეს „მაკრატელი“ მოვსპოთ.

ეკონომიურ წინსვლისათვის აუცილებელია კულტურული დონის სიმაღლე და მშრომელთა შეგნება.

აქედან დასკვნა, ეკონომიურ ფრონტზე გამძაფრებულ მუშაობას არ უნდა ჩამორჩეს კულტურული წინსვლა, რომ შევქმნათ სოციალიზმის შენებისათვის შესაფერი კადრები.

კულტურულ მუშაკებში დიდი ცოდნა და გამოცდილებაა დაგროვილი. საჭიროა ნისი მასებში გადატანა, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, სიტყვის საქმედ ქცევა.

მშრომელი მასების გათვიცნობიერებას უნდა მოხმარდეს კაცობრიობის მეცნიერულ სალაროში დაგროვილი სიმდიდრე. თეორიული ცოდნა უნდა დავუკავშიროთ მშრომელთა პრაქტიკულ საქმიანობას.

ადამიანის აღზრდის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაცია სკოლაა. სკოლაში უნდა აღიზარდოს ახალი ადამიანი—ახალი ყოფით და მსოფლმხედველობით. სკოლის სამოქმედო ასპარეზი მეტად ფართო და რთულია. მას საქმე „ცოცხალ მასალასან“ აქვს და ეს „ცოცხალი მასალა“ ჩვენი მომავალი საზოგადოებაა. ყოველი შემცდარი ნაბიჯი მთელ საზოგადოებას ვნებს. ამიტომ სჭირდება სკოლას გამუდმებული სიფხიზლე და გამჭრიახობა თავის პროდუქციის გაუმჯობესებისათვის. სოციალისტური შეჯიბრება ფართო საშუალებას მისცემს მას ნაკისრი მოვალეობა საუკეთესოდ შეასრულოს.

თუ ამხ. **ლენინის** აზრით სოცშეჯიბრების გაშლაში „უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ გაშაბლონებას და ზევიდან ერთნაირი წესების დამყარების ცდებს“. ეს მით უმეტეს უნდა მოხდეს სკოლაში, სადაც ადგილობრივ პირობების მიხედვით სხვადასხვა მიდრეკილებისა და ზნეჩვეულების ბავშებთან გვაქვს საქმე; სკოლის მუშაობას უნდა ახასიათებდეს მრავალფეროვნება, მრავალსახიანობა და მოქნილობა.

ყოველმა ორგანიზაციამ უნდა შესძლოს საკუთარი შემოქმედებით მეტი და საუკეთესო პროდუქციის მოცემა. სკოლამ უნდა გამოამჟღავნოს მთელი თავისი შესაძლებლობანი, რომ ახალი ადამიანის აღრზდა შესძლოს.

თუ სოციალისტური შეჯიბრება შემოქმედებითი ძალების გამომჟღავნებაა, სკოლამ მასში უდიდესი მონაწილეობა უნდა მიიღოს.

ერთმა სკოლამ მეორესან შეთანხმებით უნდა აწარმოოს თავისი მუშაობა. ერთმა მეორეს უნდა გაუზიაროს თავისი მიღწევანი და ნაკლის გამოსასწორებლად მიიღოს რჩევა დარიგებანი.

საღმა შეჯიბრებამ უნდა გაამახვილოს მოწაფე-მასწავლებლის ყურადღება და სათანადო ინტერესის გამოწვევით აწიოს სკოლის ნაყოფიერება.

ამ მიზნით სოცშეჯიბრება იშლება თვით სკოლის კედლებში ანუ ეწყობა, ეგრედწოდებული შინა-შეჯიბრება ჯგუფებს შორის. ერთი ჯგუფი მეორეს იწვევს და ხელშეკრულების დადებით ურთიერთს პირობის შესრულებას აღუთქვამენ.

სკოლაში ეწყობა აგრედვე გარეშეჯიბრება ან სკოლებ შორის შეჯიბრება. სოციალისტურ შეჯიბრების ყურადღების საგნად შემდეგი საკითხები უნდა გადაიქცეს:

პირველი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, **არის ახალგაზრდობაში ცოდნის განმტკიცება.**

აკადემიური წლის დასაწყისშივე აუცილებელია სკოლებსა ტ ჯგუფებ შორის დაიდოს ხელშეკრულება, წლის ბოლოს ისეთი მოწაფეების გამოშვების შესახებ, რომლებსაც რიგიანად ექნებათ შეთვისებული, როგორც პროგრამის მაქსიმუმი, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აღზრდის მოთხოვნილებანი. ხელშეკრულების დამდები სკოლები, მთელი წლის განმავლობაში ერთმანეთის მუშაობას სისტემატიურად ამოწმებენ, მიღწევებს უზიარებენ, ნაკლს შეერთებული ძალით ასწორებენ და არკვევენ მოწაფეთა წარ-

მატებას. ხელშეკრულებაში გარკვეულად უნდა იყოს აღნიშნული, თუ სკოლები რამდენად მომზადებულ მოწაფეებს მისცემენ მომავალ წელს ზემდგომ სასწავლებელს. რამდენად მოსპობენ მეორე წლიანობას, რამდენს გადაიყვანენ შემდეგ ჯგუფებში და სხვ.

მეორე — საწარმოო გეგმისა და სამუშაო პროგრამების დამუშავება-შესრულება. საწარმოო გეგმა უნდა დგებოდეს რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით და არა ფიქტიურად, საჩვენებლად. სკოლებს უნდა მოეთხოვოს, რომ საწარმოო გეგმაში ჩათვალწინებული მუშაობა 100%-ით შესრულდეს. ამ მხრივ საწარმოო და სამუშაო გეგმის და პროგრამის შესრულება სკოლათა შორის შეჯიბრების საგნად უნდა გადაიქცეს. წლის ბოლოს მოხდება საბოლოო აღრიცხვა ხელშეკრულ სკოლათა წარმომადგენლების თანადასწრებით და გამოირკვევა, ვინ, როგორ შეასრულა დადებული პირობა.

მუშაობის რაციონალიზაციის საშუალებით მეორე წლიანობასან ბრძოლის საშუალებათა გამოძებნა, აქტიური მეთოდების შემოღება, პიონერ-კოლექტივის რიგიანად მოწყობა და მოწაფეთა მიზიდვა, თვითმართველობის ფართოდ გაშლა, უბნის და საშეფო სოფლის კეთილმოწყობა და აგრო დახმარება, წარმოებასან კავშირის გაბმის საუკეთესო სახეები და უწყვეტი საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაცია, პოლიტეხნიკური აღზრდის ორგანიზაცია, ახალი მეთოდების შეთვისება-გატარება, პედაგოგებისთვით კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. სახელმწიფო

რივ ხასიათის კამპანიების ჩატარების უკეთ მოწყობა, ანტირელიგიურ და ინტერნაციონალურ აღზრდის კლასობრივი შინაარსით გაშლა, რაიონული კლუბებსა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში მუშაობა, გასამხედროების საქმის რიგიანად დაყენება, დამხმარე საბჭოსთან და მშრომელთა წრეებში მუშაობა შესაფერი აქტივის შესაქმნელად, მასწავლებელ-მოწაფეთა შორის თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა და სხვა მრავალი საკითხები, რომელიც შეიძლება სკოლათა შორის სოციალისტურ შეჯიბრების საგნად ვაქციოთ.

სკოლებში დღემდე შეჯიბრების ობიექტებად მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მაჩვენებლებს იღებენ და სრულიად ივიწყებენ სასწავლო-მეთოდიურ საკითხებს, რაც ყოველი სკოლის პირად მოვალეობას შეადგენს. პირველ ყოვლისა სკოლამ მიზნად უნდა დაისახოს რაციონალურ ხერხებისა და ახალ ლონისძიებათა გამოყენებით საკუთარ წარმოების პროდუქციის რაოდენობითი და ხარისხობრივი აწევა. ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მუშაობაც, მაგრამ მარტო ამ უკანასკნელის გატარება სკოლას უსათუოდ მინუსად ჩაეთვლება და სოცშეჯიბრების მიზანი მიუღწეველი დარჩება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობენ ბავშთა ორგანიზაციები, ტეხნიკური პერსონალი, პედაგოგიური შემადგენლობა და დამხმარე საბჭო. მთელი სკოლა უნდა გრძნობდეს ნაკისრ პასუხისმგებლობას.

ყველა შეგნებით უნდა მუშაობდეს და საერთო საქმეში მონაწილეობდეს. თუ მოწაფეები ხელშეკრულების დადებაში მონაწილეობას არ მიიღებენ, ისე შეჯიბრებას მნიშვნელობა დაეკარგება. მოწაფეებმა უნდა იცოდენ, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან თავიანთ ამხ ნაგებისა და საზოგადოების წინაშე, რომ მათი მოქმედება შეფასდება საჯაროდ და გაშუქდება პრესაში. ხელშეკრულების დადების დროს მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საბჭოს, განათლების სექციის, კომკავშირის წარმომადგენლები და წარმოების მუშები. იგივე ორგანიზაციები თვალყურს ადევნებენ შეჯიბრების მსვლელობას და აღრიცხვაშიაც მონაწილეობენ.

ხელშეკრულების დადების დროს პირველ ყოვლისა აღრიცხულ უნდა იქნეს **არსებული მდგომარეობა**, რომელთან შეფარდებით დგება მაჩვენებლები. თუ გამოსავალი მომენტი აღრიცხული არ არის, ახალ ვალდებულებათა აღება სრული ფიქცია იქნება. მაგალითისათვის: სკოლას უნდა N %-ით ასწიოს აკადემიური წარმატება. თუ აქვე არ აღინიშნა ხელშეკრულების დადების დროს წარმატება რამდენ პროცენტს უდრიდა, შეჯიბრების ობიექტი ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იქნება.

ხელშეკრულება შეიძლება დაიდვას სხვადასხვა ტიპის სკოლებ შორის, კულტ-დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციებ შორის, სკოლებსა და წარმოებას, სკოლებსა და კოლმეურნეობთა შორის. ყოველ მათგანს უნდა ექნეს თავის საკუთარი ხელშეკრულება, საკუთარი მაჩვენებლე-

ბით და მიღწევათა მოსაპოებლად საკუთარ მეთოდებით. მაგალითად, ერთ სკოლას ჭირდება ლაბორატორიულ მუშაობაზე გადასვლა და ლაბორატორიების მოწყობა. მეორეს ეს უკვე შესრულებული აქვს, ის ისახავს სხვა მიზანს. ეს ოდნავადაც არ არღვევს სოცშეჯიბრების პრინციპს. პირიქით, ერთის გამოცდილება მეორეს გაუადვილებს მუშაობის გზებს და ნაცადი ხერხის გამოყენებით შეუმოკლებს შესრულების ვადას. სკოლის სინამდვილეში განსაკუთრებით უნდა გამოვიყენოთ მუშათა კლასის უდიდესი მიღწევა—სოციალისტური შრომის ახალი ფორმა—**საზოგადოებრივი ბუქსირი.** ხშირი სისტემატიური შემოწმება დროულად გამოამჟღავნებს ერთ-ერთი მხარის ჩამორჩენას. წინ წასული ორგანიზაცია თავის გამოცდილების გადაცემით და თუ ეს არ კმარა, უშუალო დახმარებით, შეაძლებინებს მეორე ორგანიზაციას თავის ჩამორჩენას ლიკვიდაცია უყოს. ეს ფორმა ერთ-ერთი თვალსაჩინო საშუალებაა იმისათვის, რომ დავამტკიცოთ თუ რაოდენ განუზომელი უფსკრულია ბურჟუაზიულ კაციჭამია კონკურენციასა და სოციალისტურ შეჯიბრებას ანუ ამხანაგურ დახმარებას შორის.

ორიოდე სიტყვა დამკვრელობაზე: სოციალისტურ შეჯიბრების მაჩვენებლები უნდა დგებოდეს საწარმოო გეგმის საფუძვლებზე, მის უკლებლივ შესრულებაზე და შეიძლება გადაჭარბებით შესრულებაზე. დამკვრელობა კი უეჭველად უნდა გულისხმობდეს საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. **დამკვრელია მხოლოდ ის, ვინც**

თავის სამაგალითო მუშაობით დანარჩენებს აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გეგმის, როგორც რაოდენობითი, ისე ხარისხობრივი გადაჭარბება. „დამკვრელი პირველ ყოვლისა არის რაციონალიზატორი, გამომგონებელი, საწარმოო და საზოგადებრივი ცხოვრების რევოლიუციონერი, მუშაობის ორგანიზატორი, რომელიც იძლევა საწარმოო პროცესებისადმი ახალ დამოკიდებულებას".*)

დამკვრელს აუცილებლად უნდა ექნეს წერილობითი ხელშეკრულება, რომლის შესრულებას თვალყურს ადევნებენ დანარჩენები და სწავლობენ. „მასწავლებელთა შორის წარმოებულ მთელ მუშაობაში, საჭიროა სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის ყოველნაირად განვითარება და დამკვრელ მასწავლებელთა წახალისება" (ც. კ-ის 5/IX დადგენილებიდან). ნამდვილ დამკვრელთა დაჯილდოების საკითხი ყველა დარგის მშრომელთა შორის მოგვარებულია და დამკვრელ მასწავლებელ-მოწაფეთა დაჯილდოება გადაუდებლად უნდა განვახორციელოთ.

ხელშეკრულების გარეშე არ არსებობს დამკვრელი. დამკვრელი ბრიგადის წევრები, საერთო ხელშეკრულების გარდა, სდებენ ურთიერთ შორის ინდივიდუალურ ხელშეკრულებას საერთო მიზნის განსახორციელებლად. მაგა-

---

*) ს. კამენევი. „სოციალისტური შეჯიბრება, როგორც აღრზდის მეთოდი.

ლითად, დამკვრელმა ბრიგადამ ხელშეკრულებით ლიკვიდაცია უნდა უყოს 50 უცოდინარს. ბრიგადის ცალკე წევრები ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ დავალების შესასრულებლად და გადაჭარბებით შესასრულებლად. ამას უაღრესად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და უამისოდ მოსალოდნელია ბრიგადის ცალკე წევრების ზედმეტად ან ნაკლებად დატვირთვა. დადებულ ხელშეკრულების შესრულების გარდა, დამკვრელი ყოველ დარგში უნდა იძლეოდეს ახალი ყოფის მაგალითს. თუ დამკრელი აღებულ ვალდებულებას სანიმუშოდ ასრულებს, მაგრამ პირად ცხოვრებაში, ყოფის საკითხებში მეშჩანია, იმას არ ეკუთვნის დამკვრელია საპატიო სახელწოდება. ეს კარგად უნდა ესმოდეს ყოველ დამკვრელს, რომელიც თავის თავზე აიღებს ახალ ადამიანის თუ კოლექტივის დავალების შესრულებას. სოცშეჯიბრება და დამკვრელობა არა თუ წარმოების არნახულ სიმაღლემდე აწევის საშუალებაა, არამედ ის არის ახალ ადამიანის და კოლექტივის აღმზრდელობითი სკოლა.

ვეგრძელოთ მეორე წლიანობას.

ძველ სკოლაში მეტად გავრცელებული იყო მოწაფეთა მეორე წელს დატოვება. სკოლა მაშინ ამ საკითხს ფორმალურად უდგებოდა და მოწაფის ჩამორჩენის მიზეზის გამორკვევისათვის, თავს არ იტკივებდა. მოწაფე, ღარი-

ბი იყო ის თუ ავადმყოფი, ზარმაცი თუ მძიმე ტემპით მომუშავე, ერთ და იმავე საზომით ფასდებოდა და რჩებოდა ყველა, ვინც ვერ ასწრებდა.

ასეთი მახინჯი მიდგომა ძველმა სკოლამ ჩვენც დაგვიტოვა და მიუხედავათ შრომის სკოლის მოთხოვნილებისა, მიღწევებისა, დღემდე ეს საკითხი კარკად მოგვარებული არა გვაქვს. სკოლების მიდგომა ჩამორჩენილ მოწაფეთა მიმართ, ზოგ შემთხვევაში, თითქმის იმგვარივეა, როგორც ძველ სკოლაში იყო. რასაკვირველია, საკითხის ასე დატოვება ჩვენ სრულიად ვერ დაგვაკმაყოფილებს და თუ წარსულში მას სხვადასხვა მიზეზის გამო, ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ეხლა თავის სიგრძე-სიგანით დღის წესრიგში დგას.

მოწაფეთა მეორე წლიანობა უდიდესი ბოროტებაა. დღეს როდესაც საბჭოთა კავშირში საყოველთაო სწავლების შემოღება რეალურ საქმედ იქცა და მატერიალური უზრუნველყოფიდან დიდათ არის დამოკიდებული მისი წარმატებით შესრულება, მოწაფეთა მეორე წლიანობა მძიმე ხარკათ აწვება სახელმწიფოს მატერიალურ რესურსებს. თვითეული მეორე წლიანი მოწაფე სახელმწიფოს რამდენიმე ათეული მანეთი უჯდება. მთელს საბჭოთა კავშირში მეორე წლიანთა რიცხვი ათეულ ათასებში გამოიხატება. აქედან ცხადია, თუ რამდენი თანხაა საჭირო, რომ მეორე წლიანები დავაკმაყოფილოთ.

მეორეწლიანობას არა მარტო მატერიალური ზიანი მოაქვს, არამედ ის აგვიანებს სოციალისტურ მეურნეობისათვის კადრების მომზადების საკითხს.

პროლეტარულ სახელმწიფოს თავის საკუთარი კადრები უნდა ყავდეს. კულტურულ რევოლიუციის ამოცანების დადებითად გადაჭრა მაშინ არის შესაძლებელი, თუ მილიონები და ათეულ მილიონი მშრომელები დაეწაფებიან კულტურას.

ამიტომ ჩვენმა სკოლამ კლასობრივი ხაზი მტკიცედ უნდა გაატაროს. განმეორებით დარჩენილ მოწაფეების დიდი ნაწილი ღარიბთა ანგარიშზე მიდის. მიუხედავათ იმისა, რომ ღარიბ მოსახლეობის ქონებრივ პირობების გაუმჯობესებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა და ამ მხრივ დიდი მიღწევებიც გვაქვს, **სავსებით** მათი უზრუნველყოფა ჯერ კიდევ შეუძლებელია. შეუფერებელ პირობებში მყოფი ღარიბი მოწაფე წარმატებას ვერ იჩენს და მეორე წელს რჩება.

მეორეწლიანობას განსაკუთრებით იმიტომაც უნდა ვებრძოლოთ, რომ ის მოწაფეთა წარმატებას ვერ სწევს. მთელ რიგ წლების პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ მეორეწლიანობა მეტად პალიატიური ზომაა. დარჩენილ მოწაფეთა 1-2% თუ სწორდება მეორეწლიანობით და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მოწაფე სკოლაში არ დადიოდა ავადმყოფობის თუ სხვა მიზეზების გამო; მოწაფე კი, რომელიც სკოლაში დადიოდა, მაგრამ მაინც ვერ ასწრებდა,

განმეორებითი კურსის გავლის დროსაც ვერ მუშაობს და ხშირად აპატიურობასაც იჩენს.

ჩვენი აზრით შესაძლებელია მოწაფის მეორე წელს დატოვება მხოლოდ ორ შემთხვევაში: ერთი, როდესაც მოწაფეს გამოტოვებული აქვს სამუშაო დღეების საგრძნობი რაოდენობა და მისთვის კურსის ხელახლა გავლა ინტერესს წარმოადგენს, და მეორე, თუ ასაკით მცირეწლოვანია ან ფიზიკურად სუსტი და სამუშაო მასალას ვერ ძლევს. ასეთთა რიცხვი სკოლაში შეტად მცირეა. დანარჩენ შემთხვევაში მეორეწლიანობა სრულიად უნდა აღიკვეთოს.

არც ერთი მოწაფე. რომელსაც ჯანმრთელობა ხელს უწყობს და ცოტად თუ ბევრად მუშაობა შეუძლია, მეორე წელს არ უნდა იქნეს დატოვებული, მით უმეტეს როგორც ზევით ვთქვით, ამას არავითარი ეფექტის მოცემა არ შეუძლია.

სკოლა მუშაობის პირველ დღიდანვე მოწაფეთა წარმატებას უდიდესი ყურადღებით უნდა მოეკიდოს და როგორც დაინახავს, რომ ესა თუ ის მოწაფე საერთოდ მუშაობას რჩება, მაშინვე ჩამორჩენის მიზეზი გამოარკვიოს და შესაფერი ღონისძიებებით შეეცადოს მის გამოსწორებას.

ერთი დიდი ნაკლი, რომელიც ძველი სკოლის დამახასიათებელი იყო და ჩვენც მემკვიდრეობით გადმოგვეცა, **არის საშუალო მოწაფესთან სწორება.** ზოგ სკოლებში ჯერ კიდევ გაკვეთილები და განაკვეთები ჯგუფს საშუალო მოწაფის ძალისა და ენერგიის მიხედვით ეძლევა. თუ

მოწაფე ძლიერია, ის უნდა ქვევით დაიწიოს და საშუალოს გაუსწორდეს. თუ მოწაფე სუსტია, ის უნდა ისე გაიჭიმოს, რომ საშუალომდე ავიდეს. არც მეტი, არც ნაკლები, ეს პროკრუსტოს სარეცელია და ყოვლად უმსგავსო ზომა... რას გვაძლევს ასეთი მახინჯი მიდგომა? მეტად სამწუხარო შედეგებს! ძლიერი მოწაფე, რომელსაც სამუშაო არ ყოფნის და უმეტეს შემთხვევაში უსაქმოდ რჩება, დროს მოსაკლავად ცელქობს, მრავალგვარ მიუღებელ გასართობებს მიმართავს, მუშაობა აღარ აინტერესებს და თავის აბეზარობით ამხანაგებს ხელს უშლის. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჯგუფში ხშირად ვხდებით ნიჭიერ, წარმატების მქონე მოწაფეს, რომელზედაც ყველა მიუთითებს, როგორც „აუტანელ“ ცელქზე.

სუსტი მოწაფე, რომელიც თავის ძალღონით საშუალოს ვერ უსწორდება, წელში წყდება, დაუძლეველ მასალას იზეპირებს, დღე და ღამეს ასწორებს, ბოლოს იმედგაწყვეტილი მუშაობას თავს ანებებებს და გულჩათხრობილი სკოლას სრულიად იძულებს.

საბჭოთა სკოლამ ასეთ „პედაგოგიურ“ ხერხებს თავის კედლებში უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს და საშუალო მოწაფესთან სწორებას თავი უნდა დაანებოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორეწლიანობასთან ბრძოლა სასურველ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანს. **შეძლებისდაგვარად ყველას უნდა მიეცეს შესაფერი სამუშაო განვითარებისა და ძალღონის მიხედვით.** ამისათვის სრულიად გამოუდეგარია ძველი გაკვეთილები. სკოლა უნდა გადა-

ვიდეს განაკვეთების სისტემაზე. განაკვეთი უნდა შედგეს მინიმუმ-მაქსიმუმის სახით. ვისაც რომელი განაკვეთის დაძლევა შეუძლია, იმას დაამუშავებს. თუ ერთ შემთხვევაში საშუალო მოწაფე მაქსიმუმს დაძლევს, მეორე შემთხვევაში დასძლევს, მხოლოდ მინიმუმს. კიდევ უკეთესი იქნება, თუ სამი სახის განაკვეთი დამუშავდება: მინიმუმი, მინიმუმი დამატებით სამუშაოებით და მაქსიმუმი.

ხშირად მუშაობის დროს მასწავლებელი ბავშებს რგოლებად თვით ყოფს და შემადგენლობას თვითონ არჩევს. ეს უვარგისია. რგოლებად დაყოფა საჭიროა, მაგრამ მოწაფეებს ნება უნდა მიეცეს, რომ რგოლები თვითონვე ჩამოაყალიბონ, რადგან თუ ერთ რგოლში თავი მოიყარეს სხვადასხვა წარმატების მოწაფეებმა, იქ ძლიერნი სუსტების ინიციატივას ჩაახშობენ და ეს უკანასკნელნი ისევ ჩრდილში დარჩებიან. რგოლში უნდა ჩაებან თანაბარ წარმატების მქონე მოწაფეები, რომ მუშაობა ხალისიანი იქნეს. ამ შემთხვევაში თვით მოწაფეები უკეთ არჩევენ ვის ვისთან შეუძლია მუშაობა და ამის ინიციატივა ბავშებს უნდა გადაეცეს. ის აზრი, რომ ვითომ სუსტები და ძლიერები ერთად უნდა მუშაობდენ, რომ მეორეებმა პირველები გამოასწორონ, ყალბი აზრია, როდესაც განაკვეთი ყველასათვის ახლად დასამუშავებელია, ძლიერები სუსტებს არა თუ ვერ ეხმარებიან, ხელსაც უშლიან, რადგან ისინი სწრაფად ითვისებენ და სუსტებს არ უცდიან.

რაც შეეხება ჩამორჩენილ მოწაფეებისადმი ძლიერების დახმარებას, როდესაც ამ უკანასკნელთ მასალა უკვე შეთვისებული აქვთ, ძალიან კარგი ხერხია და პრაკტიკიდანაც ვიცით, რომ მას მშვენიერი შედეგებიც მოაქვს. ამა თუ იმ საგანში ჩამორჩენილ მოწაფეს ამავე საგანში ძლიერად მომუშავე მოწაფე ეხმარება—საზოგადოებრივ ბუქსირის სახით. ამხანაგური დახმარება თვალსაჩინო შედეგებს იძლევა, ძლიერიც თავის ცოდნას აღრმავებს და სუსტიც მაგრდება. ეს ზომა ძალაში უნდა დარჩეს.

მეორე ზომა, რომელსაც ზოგიერთი სკოლა ატარებს. არის „ასისტენტთა" ინსტიტუტის შექმნა.

მოწაფეთა ნაწილს ოჯახში არა აქვთ სამუშაო კუთხე. ერთ ოთახში რამდენიმე კაცი ცხოვრობს: ასეთ პირობებში ძალიან კარგი საშუალებაა სკოლაში გახანგრძლივებული სამუშაო დღის შემოღება.

მოწაფეებისათვის სკოლაში ეწყობა სამუშაო ოთახები. (შეიძლება გამოვიყენოთ ლაბორატორიები და კლასები) ხელმძღვანელობას უწევენ ასისენტები ანუ ძლიერი მოწაფეები. აქ შეიძლება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფობრივი მუშაობა. ერთნაირი განვითარების და ასაკის მოწაფეები ადგენენ ჯგუფებს და მუშაობენ ძლიერი ამხანაგების დახმარებით. მუშაობას უსათუოდ მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს. რომ შრომა გავინაწილოთ და მუშაობაც რიგიანად წავიყვანოთ, უნდა შემოვიღოთ მასწავლებელთა მორიგეობა. რომელ სკოლასაც მასწავლებელთა შტატი დიდი ყავს, იქ თვითეულ მასწავლებელს

ორ-სამ კვირაში ერთი დღის მუშაობა მოუხდება. ეს საგრძნობ დატვირთვას არ გამოიწვევს და საქმეს კი დიდ სარგებლობას მოუტანს. მორიგი მ სწავლებელი მოწაფეებს გაუწევს საერთო დახმარებას, მუშაობას კი ასისტენტები ჩაატარებენ. დაბრკოლების დროს ასისტენტების მუშაობას მასწავლებლების გაძღოლა სჭირდება. ერთი მასწავლებელი შესძლებს რამოდენიმე ჯგუფის დახმარებას.

გახანგრძლივებულ დღის ორგანიზაციაში უნდა ჩავაბათ მოწაფეთა თვით ორგანიზაციები: პიონერები და თვითმართველობა. თუ სკოლა ერთ კომპლექტიანია და მასწავლებლებს ხშირად უხდებათ მორიგეობა, ამ შემთხვევაში უნდა გაერთიანდენ მეზობელ სკოლების მასწავლებლები და ჩამორჩენილ მოწაფეებს ერთი სკოლის შენობაში მოუყარონ თავი. კარგია აგრეთვე ზედა ჯგუფების მოწაფეთა უმცროს ჯგუფების მოწაფეებზე მიმაგრება. ამ შემთხვევაშიაც მორიგეობა უნდა შემოვიღოთ. ყოველდღიურად, რომ ერთმა და იმავე ასისტენტმა ქვედა ჯგუფებში იმუშაოს, ის თავის მუშაობას მოკდება. ამიტომ საჭიროა მათ შორის მუშაობის გეგმიანი განაწილება.

სკოლაში სამუშაო ოთახების შემოღება უსათუოდ დიდი მიღწევაა და ამ მაგალითს სკოლებმა უნდა წაბაძონ.

ქალაქებში და მსხვილ თემებში, სადაც სკოლას პარალელური ჯგუფები აქვს, მოწაფეთა ისეთი გადაჯგუფება უნდა მოხდეს, რომ ერთი და იმავე განვითარების, ასაკის და დაახლოებით ერთგვარი ტემპით მომუშავე

მოწაფეებმა ერთ ჯგუფში მოიყარონ თავი. ჩვენ ვაწარმოეთ ასეთი დაჯგუფება და წლის ბოლოს მეტად კარგი შედეგი მივიღეთ. ყველა ამასთან აუცილებლად საჭიროა ბავშვის წრისა და მდგომარეობის შესწავლა. ძალიან ხშირად ბავშვი ვერ ასწრებს იმიტომ, რომ ოჯახური პირობები, მძიმე აქვს. შინ ავადმყოფი ყავს მოსავლელი ან დედა საშუშაოდ არის და ოჯახს თვითონ უვლის, ან მარტოხელა ოჯახის შვილია და ოჯახური საქმეებითაა დატვირთული. სწავლის დაწყების პირველ დღიდანვე მასწავლებელი და მოწაფეთა წარმომადგენელნი ჩამოივლიან ოჯახებს და გაეცნობიან მოსწავლეთა პირობებს. თუ ბავშის მუშაობა ოჯახში აუცილებელია, იმ შემთხვევაში, ჯგუფი, შეერთებული ძალით, ამხანაგს უნდა დაეხმაროს, ოჯახის საქმე გაინაწილოს და ამხანაგს ნუ მოაცდენს. თუ ოჯახი თავის შეუგნებლობით ბავშს მეცადინეობაში ხელს უშლის და მის ექსპლოატაციას ეწევა, სკოლამ შესაფერი რჩევა-დარიგებით და ახსნა-განმარტებით უნდა შესძლოს ბავშის განთავისუფლება. თუ ესეც არ გასჭრის შემდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნით უნდა მოახერხოს შეუგნებელ მშობლებზე გავლენის მოხდენა. (მშობლებთა კრებაზე საკითხის დასმით და ჯიუტი მშობლების მოქმედების მსჯელობის საკითხად დასმა და სხვ.).

თუ ბავშვი სიღარიბის გამო მოკლებულია კარგ კვებას, სამოსს და სასწავლო წიგნებს, .სკოლამ დამხმარე ფონდიდან უნდა გაიღოს საჭირო თანხა, რომ ბავში შესაფერ პირობებში ჩააყენოს.

დღეს ჩვენში თითქმის არ მოიპოვება ისეთი სკოლა, რომელსაც ღარიბთა ფონდისათვის ხელისუფლება არ აძლევდეს თანხას. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ მრავალი სკოლა და მისი დამხმარე საბჭოები დიდ თვითმოქმედებას იჩენენ და ღარიბთა ფონდს საგრძნობლად ზრდიან, აშკარა იქნება, თუ სკოლას რა დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. სკოლამ აუცილებლად უნდა მოახერხოს, **რომ არც ერთი მოწაფე მატერიალური უსახსრობის გამო მეორე წელს არ რჩებოდეს** და **სკოლას თავს არ ანებებდეს.** საკუთარი ინიციატივით ბევრმა სკოლამ ეს მოახერხა და მათი მაგალითით ყველამ უნდა ისარგებლოს.

ჩვენ სკოლებს თვალსაჩინო მიღწევები აქვთ მეორეწლიანობასთან ბრძოლის საქმეში. **სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლით** მეორეწლიანობა ანუ **თვითღირებულების შემცირება** ზოგმა სკოლამ მინიმუმამდე დაიყვანა. სოცშეჯიბრება სწარმოებს, როგორც მასწავლებელთა, ისე მოწაფეთა შორის. პირველნი ცდილობენ, რაციონალური ხერხებით და მეთოდებით მუშაობის პროდუქცია ასწრონ და გააუმჯობესონ, მეორენი—განაკვეთები კარგად დაამზადონ, გაკვეთილები არ გააცდინონ და არ დაიგვიანონ. ურთიერთის კონტროლი, მუშაობის ხშირი აღრიცხვა, საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანით ჩამორჩენილის დახმარება, დამკვრელი ტემპემით მუშაობა და რაციონალური მეთოდების მოხმარა, შედეგად მოგვცემს მეორეწლიანობის სრულ მოსპობას. ყოველმა მასწავლე-

ბელმა და მოწაფემ უნდა გამოიყენოს მუშათა კლასის ეს ნაცადი ხერხი სოციალისტური შრომის არნახულ სიმაღლემდე აწევის საქმეში და მოახერხოს სრული შეგნებით უდიდეს ბოროტებასთან — მეორეწლიანობასთან ბრძოლა.

აქვე ისმება კითხვა: **არის თუ არა საჭირო ხელმეორე გამოცდების მიცემა.**

კატეგორიულად უნდა ვთქვათ, რომ, არა.

თუ ბავშვმა მთელი წლის განმავლობაში, ჯგუფში, მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით, სამუშაო ვერ დაძლია, ცხადია მარტო მუშაობით ან ახალი მასწავლებლის დახმარებით, ის ბევრს ვერ გააკეთებს. ძველ სკოლაში, სადაც ზეპირობას ჰქონდა ადგილი და მუშაობა სიტყვიერი მეთოდით სწარმოებდა, ხელმეორე გამოცდას კიდევ ჰქონდა აზრი, მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენი სკოლა არის თვითმოქმედების პოლიტეხნიკური სკოლა, სადაც ხდება თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო დაკავშირება, ცხადია, რომ განმეორებითი გამოცდა საქმეს ვერ უშველის.

თუ მუშაობა ისე წარიმართა, როგორც ზევით ვსთქვით: ბავშის დაინტერესებით, ხელის შემშლელი პირობების მოსპობით, დასაძლევი მასალის მიწოდებით, შრომის სოციალისტური ფორმების გამოყენებით, ცხადია, განმეორებითი გამოცდები არ დაგვჭირდება, თუ, რასაკვირველია, ბავში ნორმალურია, გონებრივად და ფიზიკურად. თუ ბავში არა ნორმალურია, მაშინ ვერც განმეორებითი გამოცდები უშველის საქმეს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი წლის

განმავლობაში ავადმყოფობის გამო გაკვეთილებს აცდენდა, მას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. თუ ნაწილობრივ მაინც ასწრებს და მომავალში მუშაობის იმედს იძლევა, უნდა გადაყვანილ იქნეს საზაფხულო დავალებების მიცემით. თუ უიმედოა, უნდა დატოვებულ იქნეს. მესამე გზა—განმეორებითი გამოცდებისა, არ არსებობს, რადგან თანამედროვე სკოლაში მას არავითარი დადებითი შედეგების მოცემა არ შეუძლია.

ოდნავ ჩამორჩენილ მოწაფის შემდეგ ჯგუფში გადაყვანა, არც თუ ისე სახიფათოა მაშინ, როდესაც ბავშვებს მინიმუმ-მაქსიმუმ მინაცემებს ვაძლევთ და ყველას შეუძლია საკუთარი ტემპით და ძალღონით მუშაობა. სულ ადვილად შესაძლებელია, რომ პირველად ჩამორჩენილი მოწაფე თანდათან ისე გაიმართოს წელში, რომ მალე დანაკლისი შეავსოს და საშუალო მოწაფეს გადააჭარბოს. ამის შეძთხვევები მრავალია, თუ სკოლა აქტიურ მეთოდებით მუშაობს.

როდესაც მეორეწლიანობაზე ვლაპარაკობთ, აქვე უნდა აღინიშნოთ ჯგუფების კომპლექტაციის დროს მეცნიერულ ხერხების გამოყენება. მაგრამ, რადგან ჩვენ მასიურ სკოლებს ვეხებით და მეცნიერულ ხერხებით სარგებლობა კი ჯერ ჩვენში მასიურ საქმედ არ გამხდარა, ამიტომ მხოლოდ ერთზე შევჩერდებით.

ჩვენში არსებობს მეცნიერულ საგამომკვლევი დაწესებულებანი. აუცილებლად საჭიროა, რომ მათ მიერ დამუშავებულ იქნეს სტანდარტული ტესტები ყოველ ჯგუფისა-

თვის ცალკე, რომ ერთსა და იმაკე ჯგუფში მოხდეს დაახლოვებით თანაბარი განვითარებისა და ცოდნის მოწაფე. დღემდე ჩვენი სკოლის საზომი იყო ასაკი. ეს საზომი ყოვლად უვარგისია, რადგან ასაკი სრულიად არ არის რაღაც სტაბილური და უეჭვო. ზოგი 7 წლის ბავშვი შეიძლება განვითარებით ემსგავსებოდეს 5 წლისას, ზოგი 8-სას და სხვ. აქ საჭიროა მეცნიერული მიდგომა. ამ მხრივ მასიურ სკოლას უნდა ემსახურებოდეს საგამოკვლევო დაწესებულებანი, რასაც ჩვენ დღემდე ვერ ვხედავთ. მეორეწლიანობასთან ბრძოლა საბჭოთა პოლიტეხნიკურ სკოლის ყურადღების ცენტრში უნდა დაისვას; გამონახულ და მოხმარებულ იქნეს ყოველგვარი საშუალება, რაც მოსპობს მას, როგორც სასკოლო პროდუქციის უდიდეს მტერს. ბავშთა თვითორგანიზაციები, მასწავლებელთა კორპორაცია, დამხმარე საბჭოები, სკოლასთან მიმაგრებული წარმოება და მშრომელი მოსახლეობის აქტივი შეერთებული ძალით მოწაფეთა მეორეწლიანობას სასტიკად უნდა ეკვეთონ და შრომის სოციალისტურ ფორმებით (სოცშეჯიბრებით და დამკვრელობით), და სასკოლო მუშაობის რაციონალიზაციით გაანთავისუფლონ სოციალისტური სკოლა ბურჟუაზიულ სკოლის ნაშთებიდან.

ინტერნაციონალურ აღზრდის გარეშე შეუძლებელია სოციალისტურ კადრების შექმნა.

მას შემდეგ, რაც ჩაისახა კლასთა წინააღმდეგობანი' არსებობდა ომიანობა, რომლის აზრს მყვლეფელთა კლასის ინტერესების დაცვა წარმოადგენდა. ომს აცხადებდენ ბატონები, ფეოდალები, ბურჟუები, მაგრამ ფიზიკურად აომებდენ ჯარისკაცებად გადაცმულ: ყმებს, გლეხებს და მუშებს. ბატონებს უნდოდათ მიწა-წყალი, სიმდიდრე — ნედლეულის სახით და ნამუქთახორალი ნადავლის გასასაღებელი ბაზრები. ვინც ძლიერი იყო, მოგებულიც ის იყო, გამარჯვებული გამოდიოდა ის, ვისაც რიცხვობრივად ბევრი ჯარი ყავდა და განვითარებული სამხედრო ტეხნიკა ჰქონდა. სიმართლეს ძალმომრეობა სწყვეტდა და ძალმომრეობის რისხვა კი მხოლოდ მშრომელებს ატყდებოდა. ვინ იგებდა? გაბატონებული კლასი — ფეოდალები, ბურჟუები. ნადავლი თვითონ მიჰქონდათ, მეომრებს — ჯარისკაცებს კი ამუშავებდენ ნადავლ მიწაზე, ან ნადავლ ნედლეულის გადასამუშავებელ ქარხანაში, რომ მიღებული პროდუქცია გაბატონებულს მოეხმარა და მშრომელებისათვის ნასუფრალიც კი დაემადლებინა. **ასეთი იყო ომის ნადვილი აზრი, ომის ლოლიკა.** მაგრამ, გარეგნულად, მშრომელი ხალხის მოსატყუებლად როგორი სარჩული ედვა ომიანობას? გაბატონებული კლასი ომის ნამდვილ მიზეზს არასოდეს არ ამჟღავნებდა. ის სცდილობდა ძმათა სისხლის ღვრისათვის ისეთი საბუთი მოენახა, რო-

მელიც კულტურულად ჩამორჩენილ მშრომელების თვალში ომიანობას გაამართლებდა. **ასეთი იყო ერის ფიზიკური არსებობის საკითხის დასმა, სამშობლო მიწის მტრისაგან დაცვა.**

„მეფისა და მამულისათვის!“ — გადმოისროდენ ფულით მოყიდული აგენტები ლოზუნგს და განუვითარებელ მშრომელს, რომელსაც მეფე და ბატონი „ღვთისაგან“ მოვლენილი ეგონა, თავისი სიცოცხლე სასაკლაოზე მიქონდა. თავდავიწყებამდე იბრძოდა ეროვნული შხამით მოწამლული მეომარი, რომ „საკუთარ, მშობლურ“ მიწაზე მტრის ვერაგი ფეხი არ დაენახა. ნაციონალურ „თავმოყვარეობას“ იცავდა მეომარი. ამ მათრობელა ბანგს მასში კიდევ უფრო აღვიძებდა სამღვდელოება, რომელიც ეკლესიის კედლებში და მის გარე მოუწოდებდა მშრომელებს დაეცვათ „ღვთისაგან მირონცხებული“ მეფე და „ძვირფასი სამშობლო“; მხედრობას, ჯარისკაცებს ციხის მგზავს ყაზარმებში თუთიყუშივით წვრთნიდენ, ამეორებინებდენ და ამღერებდენ მეფის ერთგულების და სამშობლოს სიყვარულის სიტყვებს, ამზადებდენ მათ ზარბაზნის ხორცად. ჯარისკაცი, სალდათი — ეს უენო, უაზრო პირუტყვი მუდამ სხვის თვალებში შ(მყურე და სხვისი ბრძანების შემსრულებელი, ადამიანის ყოველგვარ გონიერ თვისებებს მოკლებული იყო და სუნთქავდა მხოლოდ იმიტომ, რომ ყოფილიყო შონა. ასე იყო და არის ყველა ფეოდალურ და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. ნაცრისფერ ცარაჯაში გახვეული, მიჯნის აქეთ-იქეთ დარაზმული მშრომელები

ვერ მიმხვდარიყვენ, რომ ისინი იცავდენ მუქთასორებს, ერთ მუჭა უსაქმურთა ქონებრივ ინტერესებს და „სამშობლო“ მიწას, რომელიც ეკუთვნოდა გაბატონებულ კლასს და არა მშრომელებს. ვერ მიმხვდარიყვენ, რომ ისინი ძმებია, რომ მათ ხმარობენ, როგორც ზარბაზნის ხორცს თავისი ინტერესების დასაცავად, რომ იარაღი შეერთებულად უნდა მიმართონ თავიანთ ბატონების წინააღმდეგ, რომ ამით სამუდამოდ გაინთავისუფლონ თავი მონობისაგან. ვერ მიმხდარიყვენ, რადგან აკლდათ საამისო ცოდნა და შეგნება, აკლდათ კრიტიკული აზროვნება. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ სკოლაში მეფისა და მამულის სიყვარულში იზრდებოდა ინტელიგენცია, რომელიც, მოშხამული იყო ნაციონალისტურ სულისკვეთებით, რომელსაც შტერი ეხატებოდა მეზობელ ერის სახით.

შოვინისტურ სულისკვეთებით მოწამლულ ინტელიგენციასთან ერთად, „სოციალისტური“ პარტიებიც, მოკლებულნი ყოველგვარ პოლიტიკურ და კლასობრივ ალღოს, „სამშობლოს“ ფარგლების დაცვით ამართლებდენ ნამდვილ კლასობრივ ომს და „ლოცვითა და კურთხევით“ ამტკიცებდენ სამხედრო ბიუჯეტს.

1914 წლის უმაკალითო მსოფლიო ომის საშინელებანი, სწორედ მე-2 ინტერნაციონალში მოკალათებულ „სოციალისტურ“ პარტიების დასტურით გაჩაღდა. ეს ომის მეხანძრენი ახლაც ამზადებენ ახალ სასაკლაოს. ცხადია, სამშობლოს სიყვარულით არც ერთ ბურჟუას არ ესხმის რეტი და არც ერთი მათგანი არ გაიღებს არაკითარ სახ-

სარს, თუ მისი საკუთარი ინტერესები ამას არ მოითხოვენ. არ ყოფილა ისტორიაში ისეთი შემთხვევა, რომ ქართველ, სომეხ თუ ამერიკელ ბურჟუას, თუნდაც ერთი კაპიკი ზედმეტი მიეცეს თავის ერის მშრომელისათვის რმიტომ, რომ ის მისი ქვეყნის მვილია. ბურჟუასათვის სულ ერთია, მის მიერ დაქირავებული მუშა-ხელი რა ეროვნებისაა, ოღონდ ის იყოს იაფი და მეტი პროდუქციის მომცემი. ჩინელი და სხვა ეროვნების ბურჟუები ცდილობენ დაიქირაონ იაფად არა თუ თავის ეროვნების მამაკაცები, არამედ ქალები და ბავშვები, რომლებიც უფრო იაფია, ვიდრე მამაკაცები. წარბსაც არ შეიხრიან, როდესაც უცქერიან 14 — 16 საათს ფეხზე დგომით ჩამოყვითლებულ ბავშვებს, რომელთა შრომით უსინდისოთ სუქდებიან. ასევეა ამერიკელები, ფრანგები, გერმანელები და სხვები, ასეთივე იყვენ რუსი, ქართველი, სომეხი, თურქი ბურჟუები თავიანთ ბატონობის დროს — ოქტომბრის რევოლუციამდე.

სად გაგონილა და ვინ დაამტკიცებს, რომ ბურჟუაზია ოდნავ დათმობაზე წასულა მხოლოდ იმისათვის, რომ მას საქმე ქონდა თავის ქვეყნის მშრომელთან? პირიქით, ისტორიას ძალიან ბევრი მაგალითი აქვს ისეთი, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის მეფე და ბურჟუაზია იწვევდა მეორე ქვეყნის ბურჟუაზიას თავის ქვეყნის მშრომელთა დასამარცხებლად. ასე იყო 1871 წლის პარიზის კომუნის დროს, ასე იყო რუსეთში მეფეების დროს, ასე იყო საქართველოში მენშევიკების დროს და ასე იყო და არის ყველგან სადაც ბურჟუაზიას ჭირდებოდა და ჭირდება მშრომე-

ლებთან გამკლავება. თუ მართლა ამ ვაჟბატონებს მშობლიური მხარე და ხალხი ასე ძალიან უყვართ, როგორ უძლებდენ მათ დარბევას, განადგურებას და მოსპობას? სხვისი ძალღონით გასუქებული კაპიტალისტი, როგორ უცქერის თავისი ქვეყნის — უდროოდ ჩამოყვითლებულ, მძიმე შრომით წელში გატეხილ პაწიებს და მათ დედებს? არ არსებობს **არავითარ მშობლური და ეროვნული ინტერესი, არის მხოლოდ კლასობრივი:** „არის ორი ნაცია, თვითეულ თანამედროვე ნაციაში — მშრომელები და ექსპლოატატორები. აი ვისგან შედგებიან ნაციები“ (**ლენინ**).

კომუნისტურმა პარტიამ გააშიშვლა მუქთახორების ნაციონალისტური პოლიტიკა და მშრომელების თვალის ახელით ქვეყანა ორ მოპირდაპირე კლასად გაყო. ლენინმა კაპიტალისტების წამგლეჯი და მატყუარა ბუნება ასე დაახასიათა: „შეხედეთ კაპიტალისტებს, ისინი ცდილობენ გაამწვავონ ნაციონალური შუღლი განუვითარებელ ხალხში, რომ თვითონ შესანიშნავად მოაჭახრაკონ თავიანთი საქმეები. ერთსა და იმავე სააქციო საზოგადოებაში თავმოყრილია რუსებიც, უკრაინელებიც, პოლონელებიც, ებრაელებიც და გერმანელებიც. მუშების წინააღმდეგ შეკავშირებული არიან ყველა ნაციების და რელიგიის კაპიტალისტები და ცდილობენ ძუშები დააქუცმაცონ და შეასუტონ ნაციონალური შუღლით“.

მართლაც, ყველა მშრომელების გამოფხიზლება და ერთად დარაზმვა უსაშინელესი რისხვა იქნებოდა კაპიტალისტებისათვის. ამ რისხვის თავიდან ასაცილებლად

ურჟუები სხვადასხვა ქვეყნის მშრომელთა შორის ხელოვნურ საზღვარს დებენ—ნაციონალურ შუღლის სახით. მათ მიერ დათესილი ეროვნული სიძულვილი მრავალი ათეული წლების განმავლობაში ღრმად იჭრებოდა ხალხის გონება-გრძნობაში. მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მიერ ინტერნაციონალურ გაჯანსაღებისათვის მიღებულ ღონისძიებებისა, ზოგიერთ ფენებში სავსებით ჯერ კიდევ ვერ ამოიწყვა ეს საშინელი, კლასობრივი შუღლით დათესილი ბოროტება.

ეროვნული სიძულვილი უმეტეს შემთხვევაში ჩანერგილია ახლო მეზობელ ერთა შორის და ამის მიზეზი სწორედ ბურჟუაზიის მიერ მათ დაქსაქსვის სურვილში უნდა ვეძიოთ. ქართველ-სომეხთა, სომეხ-თათართა, რუს-ებრაელთა და სხვათა შორის საუკუნოებრივი სიძულვილი სწორედ ამ პოლიტიკით იყო გამოწვეული. რა ჰქონდა გასაყოფი ქართველ და სომეხ მშრომელს? განა ისინი თანაბარ მონობაში არ გმინავდენ? განა მათი ბატონები ერთნაირად არ ავიწროებდენ მონებად ქცეულ მშრომელებს? რატომ სძულდათ ერთმანეთი? ვინ თესდა ამ სიძულვილს? სწორედ ის, ერთი მუჭა მუქთახორა ბატონები, რომელთა ინტერესი სრულიად არ მოითხოვდა მშრომელების გაერთიანებას და მათ მძლავრ რისხვას. ეს სიძულვილი თაობიდან-თაობაში გადავიდა და ამისგან დღესაც არ არის თავისუფალი ზოგიერთი ჩვენი მშრომელი და განსაკუთრებით ინტელიგენცია.

სანამ მშრომელ ხალხის ძვალსა და რბილში მაგრად არ გაჯდება ინტერნაციონალური სულისკვეთება, **სანამ ეროვნული დაყოფის მაგიერ კლასობრივ დაყოფის აუცილებლობას არ შევიგნებთ,** მანამ კლასობრივ აღზრდისათვის და ახალი ადამიანის შექმნისათვის ბრძოლა შეუნელებლად უნდა ვაწარმოვოთ. **ამ დიდი და საპატიო როლის შესრულება დაკისრებული აქვს საბჭოთა სკოლას და მის ხელმძღვანელ მასწავლებელს.** ეს კარგად უნდა იცოდეს სკოლის ყოველმა მომუშავემ. არ·ც ერთი მასწავლებელი, რომელიც არ იზიარებს ინტერნაციონალურ აღზრდის აუცილებლობას, არ გამოდგება ჩვენი სკოლის ხელმძღვანელად, ახალი თაობის აღმზრდელად. **მასწავლებელი უნდა იყოს მტკიცე ინტერნაციონალისტი;** მას ეს გულწფრელად უნდა სწამდეს და არ ორპირობდეს.

არის ასე თუ არა? უსათუოდ არის, მაგრამ მასწავლებელთა ზოგი ჯგუფი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი ამ სენისაგან.

სკოლაში ვხვდებით ნაციონალისტურად განწყობილ ბავშებს, ეს განწყობილება მარტო სკოლის დანაშაულად ვერ ჩაითვლება. ოჯახებიდან, უმრავლეს შემთხვევაში, არ არის გამოდევნილი წვრილ-ბურჟუაზიული, ვიწრო შოვინისტური სულისკვეთება, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას ასნეულებს. ახალგაზრდას ოჯახის სნეულებანი გადმოაქვს სკოლაში. მაგრამ დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ თუ სკოლის მუშაობა შესაფერ სიმაღლეზე დგას, ის ახერხებს ახალგაზრდობის სწორ გზაზე დაყენებას.

სკოლის მოვალეობაა — **მოწაფეთა საშუალებით თითონ მოახდინოს მშრომელ მოსახლეობაზე გავლენა.** ამ მხრივ ჩვენი სკოლების ერთი ნაწილი ორივე ფეხებით კოჭლობს, ან სრულიად არ აწარმოებს ინტერნაციონალურ აღზრდას, ან თუ აწარმოებს, ძალიან ზერელედ.

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ჩვენს სკოლაში ნაციონალისტურ შეხლა-შემოხლას ადგილი არა აქვს. ყველაფერი რიგზე მიმდინარეობს. რა საჭიროა ბავშებს მივუთითოთ ზედმეტად იმაზე, რასაც ისინი არ გრძნობენ და ამით მათ მოვაგონოთ (!), რომ არსებობს ნაციონალური შუღლი და სიძულვილი. ასეთი მსჯელობა არის მეტად მავნე და პედაგოგიურად და პოლიტიკურად გაუმართლებელი. სამწუხაროდ, ამასვე ამტკიცებდა სკოლების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ამასწინად გამართულ მასწავლებელთა ფართო კრებაზე. საკითხის ასე დასმა ძალიან მოგვაგონებს იმ ოპორტუნისტთა მტკიცებას, რომლებიც გაიძახოდენ, რომ ბავშებმა არ იციან „ღმერთი“ რა არის და სრულებითაც საჭირო არ არის ვუმტკიცოთ მათ ის, რაც თავისთავად დამტკიცებულია (!), **ისინი** იცავდენ ურელიგიო აღზრდას, რაც თავის დროზე შესაფერისად იქნა შეფასებული. **ისინი** იცავენ „უნაციონალურო“ აღზრდას, რასაც მწვავედ უნდა დავარტყაო. ამ „ხელმძღვანელის“ აზრით, ინტერნაციონალური აღზრდა არ არის საჭირო, რადგან ბავშებში ნაციონალური შუღლი არ არსებობს. თურმე ინტერნაციონალური აღზრდა უნდა იწყებოდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ადგილი ექნება ნაციათა შორის

სიძულვილის ფაქტს. ამაზე მავნე აზრის გამოთქმა შეუძლებელია და ასეთი აზრები ძირშივე უნდა აღიკვეთოს.

ამხ. სტალინმა მე-16 პარტყრილობაზე ნაციონალურ საკითხს დიდი ყურადღება მიაქცია და აღნიშნა, რომ პარტიაში არსებობს გადახრები ნაციონალურ საკითხში: „მე მაქვს მხედველობაში, პირველად, „ველიკოდერჟავული“ შოვინიზმისა და, მეორედ, ადგილობრივი ნაციონალიზმისადმი გადახრა. ეს გადახრები ისე არ გვეცემა თვალში როგორც „მემარცხენე“ და მემარჯვენე გადახრები. მათ შეგვიძლია დავარქვათ მხოხავი გადახრები. **მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ*) არა, არსებობენ და რაც მთავარია, ისინი იზრდებიან“.** დიახ, ისინი იზრდებიან და ვინც ამ ზრდას და მისგან გამომდინარე მძიმე შედეგებს არ ხედავს, ის ბეცია, მას არ შეუძლია ახალგაზრდობის აღზრდას ხელი მოკიდოს.

ჩვენ ვთქვით, რომ ზოგ სკოლაში ინტერნაციონალურ აღზრდას მეტად ზერელე ხასიათი აქვს. როდესაც ამ სკოლების წინაშე აყენებენ საკითხს ატარებთ თუ არა ინტერნაციონალურ აღზრდას და რა სახით, მაშინვე გიპასუხებენ: — ჩვენთან ეს საქმე კარგად არის დაყენებული. გვაქვს კავშირი სხვა ეროვნების სკოლასთან, ვდგამთ წარმოდგენებს, ერთად ვაწყობთ ექსკურსიებს, ბავშები ერთად დაგვყავს თეატრში, კინოში, ერთმანეთს ზეიმზე ვიწვევთ და სხვა. რასაკვირველია, ამის წინააღმდეგნი ჩვენ ვერ

---

*) ხაზი ყველგან ჩვენია. ნ. ძ.

ვიქნებით. ასეთ მუშაობას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს ინტერნაციონალურ აღზრდისთვის საკმარისად. თუ ამას წინ არ წარვუმძღვარეთ **ნაციონალური შულლის კლასობრივი შინაარსის ანალიზი,** თუ ბავშები შეგნებულად ვერ ჩაწვდენ მშრომელთა ინტერესებს, მაშინ ყოველგვარი ერთად მოწყობილი სპექტაკლები და ექსკურსიები იქნება მექანიკურად წარმოებული და მისგან ვერავითარ შედეგებს ვერ მივიღებთ. ასეთნაირ ინტერნაციონალურ მუშაობას ატარებენ ყველა თეატრები და კინოები, რომელთა წარმოდგენებს ესწრება სხვადასხვა ეროვნების ხალხი, მაგრამ იქიდან გამოდიან ამგვარივე ნაციონალური სულისკვეთებით, როგორითაც რამოდენიმე საათის წინ შევიდენ.

სკოლამ ასაკისა და ინტერესის მიხედვით უნდა აწარმოოს დიდი აღმზრდელობითი მუშაობა. ბავშის გრძნობაში და გონებაში მაგრად უნდა გაჯდეს კლასთა ბრძოლის შინაარსი და შედეგი. **ინტერნაციონლურ აღზრდას ადგილი უნდა ეთმობოდეს ყოველდღიურად, ყოველ საათს, როგორც საპროგრამო მუშაობის წარმოების დროს, ისე თამაშობის და დასვენების დროსაც.** მეტად მავნეა აგრეთვე ის აზრიც, რომ თითქო ბავშებმა არ იციან რა არის ეროვნული შუღლი, მაგრამ თუ ერთმანეთს ეძახიან „ურიას“, „არმიაშკას“ და ყვებიან გულუბრყვილო მხიარულ „ანეგდოტებს“ ებრაელების, სომხების და ქართველების შესახებ, ეს არის ბავშის ცელქობა და სხვა არაფერი.

მასწავლებელთა მიერ საკითხისადმი ამ გვარი მიდგომა კლასობრივი მტრის წისქვილზე წყლის დასხმაა!

ტფილისის ერთერთ სკოლაში, მეხუთე ჯგუფის ბავშვებმა აითვალისწუნეს ერთი ებრაელის ბავში და თითქმის მუდამ ხელსაყრელ დროს, დაცინოდენ, ჩქმეტდენ, სცემდენ. იყო შემთხვევა, როდესაც მას მოუნდომეს შარვლის ჩახდა, ეძახდენ „ჟიდს“ (ურია) ი ხშირად ატირებდენ. როდესაც ამ სტრიქონების დამწერს მოუხდა სკოლაში საკითხის გამოსარკვევად მისვლა, მეტად უცნაური სურათი გადაგვეშალა: მასწავლებელთა ერთი ნაწილი იცავდა ის აზრს, რომ ებრაელ ბავშს ამხანაგები „მეგობრულად“ ეპყრობოდენ და მათ შორის მხოლოდ ბავშურ ცელქობას და გულუბრყვილობას ჰქონდა ადგილი.

ზოგიერთები იმასაც ამტკიცებენ, რომ საქართველოში ანტისემიტიზმს სრულიად არა აქვს ადგილი. არც ეს არის მართალი. საქართველოში ძველიდანვე ძალიან გავრცელებულია ის აზრი, რომ ებრაელებმა „აწამეს ქრისტე“ და ამის შემდეგ მათ ჩვეულებად აქვთ თავიანთ ღვინოში უეჭველად ქრისტიანის სისხლი გაურიონ. ამის გამო ისინი ხშირად იპარავენ ბავშებს, ჩხვლეტენ, სისხლს ართმევენ, რომ თავიანთ ღვინოში გაურიონ და ამის შემდეგ მკვდარ, დაჩხვლეტილ ბავშვს მხეცების დასაგლეჯად მიუვალ ადგილს აგდებენ. ჩვენდა სავალალოდ სამი წლის წინ შემთხვევა გვქონდა გვებაასა ერთ კომკავშირელთან. რომელიც ამ აზრს სერიოზულად ამტკიცებდა. განა ეს არ არის ანტისემიტიზმის ძალიან ბაგარი და მახინჯი მოვლენა? ან

და, ვის არ გაუგონია წარსულში: „ამ ოხერ ურიებს რაღაც სპეციფიური მყრალი სუნი უდით“. ყველაფერი ეს არც ისე შორეულ წარსულში იყო, რომ დღეს მათი გავლენა სრულიად მოსპობილად ჩავთვალოთ. ჩვენს სინამდვილეში ანტისემიტიზმის მიჩქმალვა უსათუოდ პოლიტიკურ დაბრმავებას ნიშნავს. მტკიცება იმისა, რომ ჩვენ ში ანტისემიტიზმის საფრთხე არ არსებობს და გული უნდა დავიმშვიდოთ, არის ნიღაბ აფარებული კლასობრივი მტრის შემოტევა.

ძალიან დიდი ბრძოლა გვმართებს აგრეთვე სხვა სახის ნაციონალურ შუღლის აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებით მშრომელ სომეხთა მიმართ და პირიქით, საუკუნოებრივ სიძულვილის მოსასპობად. აქა იქ ეხლაც გვესმის ბურჟუაზიის წრიდან გამოსულ ქართველებში და სომხებში ერთმანეთით უკმაყოფილება. „შეგვჭამეს, გაგვანადგურეს, წაგვართვეს, გასაქანს არ გვაძლევენ, საუკეთესო ადგილები მათ უჭირავთ“ და სხვა. აქ უსათუოდ ადგილი აქვს ძველისა და ახლო წარსულის გავლენას. სომხის ბურჟუაზიას და თავად-აზნაურულ საქართველოს სძულდათ ერთმანეთი. მათ შორის შუღლი და ქიშპობა უფრო ამწვავებდა იმ ანტაგონიზმს, რომელიც ჩათესილი იყო კიდევ ძველიდანვე ფეოდალებისა და კათალიკოზ-ეპისკოპოზების მიერ. იბრძოდენ „თავები“ და სწამლავდენ მშრომელებს. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის ძლევა-მოსილებას ვერავითარი სიმახინჯე ვერ გადაურჩება; მასწავლებელთა უნარიანობაზე ბევრია დამოკიდებული. სკოლამ უნდა შესძლოს ამ დიდი

ხარვეზის საკუთარი ძალღონით, გამოცდილებით და გზებით ამოვსება, თუ ასეთს ექნება ადგილი.

ყოველგვარ ნაციონალურ მახინჯ გავლენას მთელი სისასტიკით უნდა შევებრძოლოთ, იქნება ეს დიდმპყრობელური, თუ ადგილობრივი შოვინიზმი. ამბ. **სტალინი** ასე ახასიათებს დიდმპყრობელურ შოვინიზმის შინაარსს: „დიდმპყრობელური შოვინიზმისაკენ გადახრის შინაარსი შემდეგია: გვერდი აუხვიოს ენის, კულტურის — ყოფის ნაციონალურ განსხვავებას, მოამზადოს ნაციონალურ რესპუბლიკათა და ოლქების ლიკვიდაცია; შელახოს ნაციონალური თანასწორობის პრინციპი და ხელი შეუშალოს პარტიის პოლიტიკას აპარატის, პრესის, სკოლის და სხვა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების ნაციონალიზაციის საქმეში. კომუნისტური პარტია ებრძვის ყოველგვარ ჯურის ნაციონალურ სიმახინჯეს. დიდმპყრობელური შოვინიზმი დიდი საფრთხეა. ის ანთებს ერთა შორის ხანძარს და ანგრევს წინსვლის საქმეს. ჩვენი ვალია ამ სენს მთელი ძალღონით შევებრძოლოთ. მისი გავლენა უსათუოდ არა იშვიათია.

საბჭოთა კავშირში ყველას უფლება აქვს ილაპარაკოს იმ ენაზე, რომელზედაც ეხერხება. „პროლეტარიატის დიქტატურის და ს.ს.რ.კ.-ში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი არის პერიოდი ნაციონალურ კულტურათა აყვავებისა, რომლებიც შინაარსით სოციალისტური არიან და ფორმით ნაციონალური. დიდმპყრობელებს არ ესმით, რომ ახალი ძალით უნდა გაიშალოს ნაციათა კულ-

ტურა საყოველთაო სწავლების დედა-ენაზე შემოღებით. იმათ არ ესმით, რომ მხოლოდ ნაციონალურ კულტურათა განვითარების პირობებს შეუძლია ჩამორჩენილი ნაციების სოციალისტურ მშენებლობის საქმეში ჩაბმა. იმათ არ ესმით, რომ სწორედ აი იმაში მდგომარეობს ლენინის ნაციონალური პოლიტიკის საფუძველი — ს. ს. რ. კ-ის ხალხების ნაციონალურ კულტურათა განვითარების საქმეში დახმარების და მხარის დაჭერის შესახებ.“ (სტალინის სიტყვიდან მე-16 პარტყრილობაზე).

მოყვანილი ციტატი აშკარად გამოხატავს კომუნისტურ პარტიის ხაზს ნაციონალურ კულტურათა განვითარების საქმეში. ვინც ამ ხაზის წინააღმდეგ ცდილობს თავის შოვინისტური სული ინტერნაციონალურად გაასაღოს და უპატივცემულოდ მოეკიდოს სხვის კულტურას, ცხადია, ეს პროვოკაციით ფიქრობს ხალხთა შორის ნაციონალური შუღლის დათესვას.

როგორ უნდა შევხვდეთ ჩვენ დიდმპყრობელურ გამოსვლებს? ყოველი ასეთი გამოსვლა ჩვენ უნდა ვამხილოთ, რომ საღი თვითკრიტიკით ძირშივე ჩავკლათ. ასეთი გამოსვლა ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილში იწვევს გულჩათხრობას, ჰორიკანობას და ბნელ შოვინისტური ძალების ამოძრავებას. „აი შეხედეთ როგორ დაგვაჯდენ თავზე! ჩვენს სახლში არ გვაყენებენ“ და სხვა. ეს არის წმინდა წყლის ადგილობრივი შოვინიზმი. „დიდმპყრობელურ შოვინიზმისაგან თავის დაცვის მიზნით, ადგილობრივი ნაციონალისტები სცილდებიან სოციალისტური მშენებ-

ლობის საქმეს, იკეტებიან ნაციონალურ ნაშუქის ჩარჩოებში, არ ხედავენ იმას, რაც აახლოვებს, აერთიანებს ს. ს. რ. კ-ის მშრომელთა მასებს, არამედ – იმას, რაც აშორებს და თიშავს მათ" (სტალინი).

თუ დიდპყრობელურ შოვინიზმს გააფთრებული ბრძოლა უნდა გამოეუცხადოთ, არა ნაკლებ უნდა ვებრძოლოთ ადგილობრივ შოვინიზმს, რომელიც პანიკიოა და გულჩათხრობილი სისინით ცდილობს ზოგიერთი პროვოკატორული გამოსვლა კომუნისტურ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ გამოიყენოს. ახალგაზრდობაში ადრიდანვე უნდა ჩაითესოს, როგორც კლასობრივი ბრძოლის აზრი და სიყვარული, ისე დიდმპყრობელურ და ადგილობრივ შოვინიზმისადმი უსასტიკესი სიძულვილი. ახალმა თაობამ გულით უნდა მიიღოს ყოველი ქვეყნის და ერის მშრომელი ძმად, ამხანაგად, ყოველი ქვეყნის ბურჟუა—მტრად, ორგულად, რომლის მოსასპობად ის მუდამ მზად უნდა იყოს. ასაკისა და ინტერესის მიხედვით ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს პარტიის ნაციონალური პოლიტიკა და ამ ხაზიდან ყოველგვარ გადახრას სასტიკად უნდა ებრძოდეს. სკოლაში ეს დიდი საქმე პედაგოგებისა და კომკავშირის ხელმძღვანელობით უნდა კეთდებოდეს. მისი მეთვალყურობით უნდა მუშაობდეს, როგორც პიონერ-ორგანიზაცია, ისე ბავშთა თვითორგანიზაცია. არცეთი შესაფერი შემთხვევა არ უნდა გავუშვათ ინტერნაციონალურ სულისკვეთების განმტკიცების ცდის გარეშე, მაგრამ შემთხვევას ვერ დავუცდით. ინ-

ტერნაციონალური აღზრდა სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს.

აქვე მოკლედ მოგვყავს რამოდენიმე ნაცადი მეთოდიური საშუალება ინტერნაციონალურ აღზრდის საქმეში.

1. ინტერნაციონალურ აღზრდის ადგილი უნდა ექნეს არა მარტო მოზრდილ ბავშებში, არამედ სასკოლო ასაკამდე აღსაზრდელებშიაც. ქვედა ჯგუფებში — უმეტესად ჩვენ უნდა ვაწვებოდეთ მხატვრულ ხერხებით შესაფერ გრძნობების გამოწვევას. ამ შემთხვევაში ყველაზე უკეთესი ხერხია მხატვრული **თხრობა და კითხვა.**

2. ზევით ჯგუფებში მხატვრული თხრობა და კითხვა თანდათან უნდა გადადიოდეს მსჯელობაში, კითხვა-პასუხის ლიტერატურული გასამართლების, სათანადო შინაარსის პიესების გათამაშების, კინოს, ინტერნაციონალური შინაარსის ლოტოსა და ვიქტორინას საშაულებით უნდა შევძლოთ ჩვენთვის საჭირო რეზულტატების მიღება.

3. საპატიო ადგილი უნდა დაეთმ ოს პოლიტიკურ ინფორმაციას გაზეთების და ჟურნალების კითხვით.

4. მჭიდრო კავშირი უნდა გაიბას სხვადასხვა ეროვნების ბავშებთან. დაახლოვება უნდა გამოიხატოს ერთად მუშაობაში (სახელოსნოებში, ბაღში, ლაბორატორიებში), ერთად დასვენება—გართობაში, მოწაფეების ძალებით ურთი-ერთ ენის შესწავლაში, ინტრენაციონალურ თვითმომქმედ საღამოების გამართვაში, ერთმანეთის გაცნობა ყოფის, ადათების და წარსულის მოგონებათა მოყოლით. ამ შემთხვევაში შერჩეულ უნდა იქნეს ისეთი მოგონებები,

რომლებიც ნათლად დაანახვებს ბავშებს, რომ, მიუხედავად ნაციონალური განსხვავებისა, ერთიდაიმავე კლასის ადამიანებს საერთო ძალიან ბევრი აქვთ.

5. სასურველია, თუ სკოლა მოახერხებს უცხოეთის ბავშებთან წერილობით კავშირს და ერთმანეთის ცხოვრების გაცნობას.

6. საერთაშორისო ზეიმების ერთად ჩატარება. ამ დღეების შინაარსის საფუძვლიანი ანალიზი. მაგალ: 1 მაისი როგორც საერთაშორისო მშრომელთა კლასის სოლიდარობის დღე, 8 მარტი—საერთაშორისო ქალთა განთავისუფლების დღე, 18 მარტი, როგორც ოქტომბრის რევოლუციის წინამორბედი, ოქტომბრის რევოლუცია, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის განთავისუფლების დღე და სხვა. ამ დღეებს უნდა ჩამოვაცილოთ ყოველგვარი სიმშრალე, ფორმალობა და გადავაქციოთ ნამდვილი პროლეტარულ ზეიმის და ბრძოლის ენტუზიაზმის ჩამნერგველ დღეებათ.

7. სკოლასთან უნდა დაარსდეს „რემედასის“ და „ოსოავიაქიმის“ უჯრედები, პირველი—პროლეტარიატის და მისი კლასობრივი მტრის შორის ბრძოლების შესასწავლად და ამ ბრძოლებში დახმარების მიზნით, მეორე—უცხოეთის ბურჟუაზიისა და შინაური კლასობრივი მტრის ჩვენ წინააღმდეგ შეტევის სურვილისა და ცდების გამომჟღავნებასთან დაკავშირებით ჩვენი თავდაცვის ამოცანების გადაჭრაში მონაწილეობის მისაღებად.

8. სკოლაში უნდა მოეწყოს ინტერნაციონალური კუთხე, სადაც თავს მოიყრის შესაფერი ილუსტრაციები, ნაწერები, კლასთა ბრძოლის ისტორიიდან დამუშავებული მასალები, ნახაზები, დიაგრამები, კედლის გაზეთები, ჟურნალები და სხვა.

9. ამგვარივე სახის მუშაობა უნდა იქნეს ჩატარებული ბავშის გარემოცულ წრეში, მშობლებთან. სკოლამ უნდა მოახერხოს, რომ საქმე, რომელსაც ის აკეთებს, არ დაანგრიოს ოჯახმა. ამიტომ ბავშის საშუალებით სკოლა უნდა ატარებდეს ინტერნაციონალურ აღმრზდელობითი მუშაობას მოსახლეობაშიაც.

10. როდესაც ბავშებში მაგრად გაჯდება ინტერნაციონალური სულისკვეთება, მაშინ შეიძლება კონტრასტის მეთოდიც მოვიხმაროთ და ისეთი შინაარსის კითხვები განავამარტებინოთ, რომლებიც მათგან მოითხოვს იდეოლოგიური სისწორით საკითხის გადაჭრას.

აქ დასახელებული ღონისძიებანი არ შეიძლება ამომწურავად ჩაითვალოს. მას სჭირდება დამატება და შევსება. მაგრამ მთავარია მაინც თვით სკოლისა და მისი ხელმძღვანელის მიერ სწორად აღებული და გაგებული არსი ინტერნაციონალური აღრზდისა — კლასობრივი ბრძოლის შინაარსის გაშლა. ყოველგვარ გადახრებს, როგორც დიდპყრობელურ, ისე ადგილობრივ შოვინიზმს ჩვენ უნდა შევებრძოლოთ მთელი ენერგიით და მოვახერხოთ მისი ძირფესვიანად ამოგლეჯა. სკოლების ინტერნაციონალურ მუშაობაში, როგორც ზევით ვთქვით, უდიდესი როლი ახალ-

გაზრდობის კომუნისტურმა ორგანზიაციებმა უნდა ითამაშონ. კომკავშირმა და პიონერ-ორგანიზაციამ უნდა მოახერხონ ახალგაზრდობის ორგანიზაციულად დარაზმვა და სკოლასთან ერთად სათანადო მუშაობის წარმოებით, ინტერნაციონალურ თვისებათა განმტკიცება, მთლიანად სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს ინტერნაციონალურ აღზრდას, რადგან „მუშები მთელ ქვეყანაზე ქმნიან ინტერნაციონალურ კულტურას, რომელსაც დიდიხანია ამზადებენ თავისუფლების მღაღადებელნი და მონობის მტრები. ძველ ქვეყანას, ნაციონალურ დამცირების ქვეყანას, ნაციონალური კაციჭამიობის და ნაციონალური გათიშვის ქვეყანას, მუშები უპირისპირებენ ახალ ქვეყანას, ყველა ნაციათა მშრომელების თანასწორობას, რომელშიაც არა აქვს ადგილი არც ერთ პრივილეგიას და კაცისაგან სულ მცირე დამცირება-დამონებას“. (ლენინი).

ბოლო მოვუღოთ ტეხნიკურ ჩამორჩენილობას მასწავლებელთა რიგებში.

„რეკონსტრუქტიულ პერიოდში ტეხნიკა სწყვეტს ყველაფერს... ამბობენ, რომ ძნელია ტეხნიკის დაუფლება. უმართებულია ეს აზრი; **არ არის ისეთი ციხე სიმაგრე, რომელიც ბოლშევიკებს აუღებელი დარჩეს.** გლეხი ჩვენ მოვაბრუნეთ სოციალიზმისაკენ. მშენებლობის თვალსაზრისით ჩვენ ძთავარი გავაკეთეთ. ეხლა ცოტაღა დაგვრჩა. შევისწავლოთ ტეხნიკა და დავეუფლოთ მეცნიერებას. როდესაც ჩვენ ამას გავაკეთებთ, მაშინ გვექნება ისეთი ტემპები, რომლებზედაც ამ ჟამად ოცნებაც ვერ გაგვი-

ბედნია. და ჩვენ ამას გავაკეთებთ, თუ მოვინდომებთ ნამდვილად". (ამხ. სტალინის სიტყვიდან მრეწველობის მუშაკთა 1 კონფერენციაზე).

როდესაც ამხ. სტალინი ამ სიტყვებს ამბობდა, მას მხედველობაში არ ყავდა მხოლოდ მრეწველობის მუშაკნი და სამეურნეო ორგანიზაციები. მისი სიტყვა ეხებოდა როგორც მრეწველობის მესვეურებს, ისე სოციალისტურ მშენებლობის სხვა დარგის მომუშავეებს და, კერძოდ, განათლების მუშაკებსაც.

იმ დიად პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირის მშრომელები სოციალიზმს აშენებენ და სოციალისტურ დოვლათის შექმნასთან ერთად, ხდება მშრომელთა მასების სოციალისტურად გარდაქმნა, საბჭოთა სკოლას და მის ხელმძღვანელ—მასწავლებელს მეტად რთული და საპატიო როლი აქვს დაკისრებული:—ახალი ადამიანის შექმნა. სოციალისტურ მშენებლობისათვის საჭიროა კადრების მომზადება. ცხადია, ამ დიდი ამოცანის შესრულება ფუჭი ოცნება იქნება, თუ ყოველი ჩვენგანი არ განიმსჭვალება იმ დიადი ამოცანებით, რომელსაც თანამედროვე მდგომარეობა გვაკისრებს.

რაც არ გაქვს, იმას ვერც მიცემ. ეს მარტივი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება, კარგად უნდა შეიგნოს ყოველმა გულწფელმა მუშაკმა. ჩვენ ვიცით, რომ ძველ სკოლაში აღზრდილი კადრები, გადაუმზადებლად ახალი მშენებლებისათვის არ გამოდგებიან. მაგრამ არც იმდენი დრო გვაქვს, რომ გადამზადებამდე, მათ მუ-

შაობაზე ხელი ავაღებინოთ. **ვისაც სოციალისტური მშენებლობა სწამს, მან უნდა მოახერხოს თითონაც ისწავლოს და სხვასაც ასწავლოს.** გადამზადება უნდა შევძლოთ გზადაგზა, შეუჩერებლად. ასეთ ელვის სისწრაფის ხანაში ჩვენთვის საჭიროა ენტუზიასტები, შეუდრეკელნი და სულმაგარი ხალხი. ყოველი სულმოკლე და პირადი, ვიწრო მეშჩანები, პირადი ბედნიერების მოტრფიალე კაცუნები ჩვენ მშენებლობას კბილების ღრჭენით ეგებებიან და უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი მავნებლური ორგანიზაციები კარგად გვიმტკიცებენ, თუ რაოდენ დიდი სიფრთხილე გვმართებს კადრების შერჩევის საქმეში.

სოციალისტურ მშენებლობას სჭირდება ახალი პროლეტარული კადრები, ურომლისოდაც ძალიან გაძნელდება, სოციალისტური მეურნეობის ძლევამოსილი გაშლა. აი ამ კადრების აღრზდას ხელს უწყობს საბჭოთა პოლიტეხნიკური სკოლა, რომელიც შენდება მარქსისტულ-ლენინურ საძირკველზე.

ჩვენი მასწავლებლობის დიდი ნაწილი, რომელსაც დაკისრებული აქვს პოლიტეხნიკურ სკოლის ხელმძღვანელობა, ძველ სკოლაში აღზრდილია და, მაშასადამე, მას უეჭველად დაჭირდება გაათკეცებული ენერგიით თითონაც ისწავლოს და სხვასაც ასწავლოს.

პოლიტეხნიზმით უნდა გაიჟღინთოს განათლების მთელი სისტემა. უფრო მეტიც, პოლიტეხნიზმი უნდა შეიჭრას ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში და ყოველი სახის წარმოებებში. სოციალისტურ მშენებლობას სჭირ-

დება ისეთი მუშა ხელი, რომელიც, „შეეგუება მუდამ ცვალებადობაში მყოფ ტეხნიკას". ერთსა და იმავე მუშას დღეს მოუხდება სხვადასხვა სახის წარმოებაში ბუშაობა და მრავალგვარი სამუშაოს შესრულება. ძველ მუშას ეს არ შეეძლო. ის მანქანის, უენო დამატება იყო, მუდამ ასრულებდა ერთსა და იმავე წვრილმან საქმეს და საკმარისი იყო წარმოების ოდნავი გაუმჯობესება, რომ ის უმუშევრად დარჩენილიყო. ჩვენ გვჭირია ისეთი მუშა, რომელიც კარგად უნდა ერკვეოდეს წარმოებათა შორის მსგავსება-განსხვავებაში, შეეძლოს მოიხმაროს ყოველგვარი ხელსაწყო იარაღები, იცნობდეს ნედლეულს, და მის ტეხნოლოგიას, მამოძრავებელ ძალას, სწამდეს, რომ „ორგანიზებული, კოლექტიური და მექანიზებული შრომა, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული, არის ცხოვრების უდიდესი არსი" და „ესმოდეს, თუ რა როლს ასრულებს ეს შრომა და როგორ უნდა იქნეს ის ორგანიზაციულად მოწყობილი".

ცხადია, ამგვარად მომზადებული მუშა ტეხნიკის გაუმჯობესებით არ დაიბნევა და ის კარგად მოახერხებს თავისი შრომა შეუფარდოს ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას. **პოლიტეხნიზმი უნდა გადაიქცეს ვიწრო სპეციალობის საფუძველად.** სპეციალისტი, რომელსაც პოლიტეხნიკური აღზრდა მიუღია, საჭიროების დროს ადვილად მოახერხებს მეორე სპეციალობაში გარკვევას. მაგალითისათვის: აგრონომი, რომელსაც პოლიტეხნიკური საფუძვლები შეთვისებული აქვს, სატრაქტორო სადგურში მუშაობისას

დიდ სარგებლობას მოუტანს მანქანის მოხმარეპას და მიწის მახქანით დამუშავებას. მანქანა მისთვის უცნობი რამ არ იქნება.

დღეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნა მკვიდრდება და მტკიცდება ინდუსტრიის განვითარების საფუძველზე. ჩვენ სინამდვილეში ფართო გზა აქვს გახსნილი გამოგონებებს და საერთოთდ ტექნიკის განვითარებას. ეს იწვევს მოხრდილ და ბავშთა მოსახლეობის ტექნიკით დაინტერესებას. სკოლამ ამით უნდა ისარგებლოს და თავის კედლებში ტექნიკური მუშაობა გააფართოვოს.

მასწავლებელს, როგორც ხელმძღვანელს, ჭირდება ტექნიკური ცოდნით აღჭურვა. დღეს როგორი მდგომარეობაა? მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა ტექნიკის საკითხებში სრულებით ვეო ერკვევა. მოწაფეები ხშირად ფაცი-ფუცობენ, აკეთებენ ელექტრონის ზარს, გაყავთ ელექტროშუქი, დგამენ რადიოს. მასწავლებელი, უკეთეს შემთხვევაში, მუნჯურად თვალყურს ადევნებს მათ მუშაობას, მაგრამ არავითარი შესწორების შეტანა და დახმარების გაწევა არ შეუძლია. უარეს შემთხვევაში, არც თვალყურს ადევნებს. სრულიად აპატურად გვერდს აუვლის პაწია „ტექნიკოსს“ და დამშვიდებით შევა სამასწავლებლოში. მოწაფეებმა კარგად იციან, რომ მასწავლებელს არაფერი გაეგება ტექნიკისა და არც ,,აწუხებენ'' მას შეკითხვებით. არც მასწავლებელს სცხვენია თავისი უვიცობის. ,,უმანიტარულ'' საგნების მასწავლებელს, აბა რა პასუხი უნდა მოეთხოვოს ტექნიკურ უვიცობაში! აი

როგორ ესმის ეს საკითხი ჩვენი მასწავლებლობის დიდ უმრავლესობას.

ამ დიდი საკითხისადმი, ასეთი მიდგომა ყოვლად გ - უმართლებელია. ყოველი მასწავლებელი, რომელიც სოციალისტურ კადრების აღზრდაში მონაწილეობას ღებულობს, უნდა იცნობდეს აღზრდის ყოველ კუნჭულს. ტეხნიკის საფუძვლების ცოდნა ყველა მასწავლებლისათვის სავალდებულოა.

„დროა ვისწავლოთ საშუალებათა გამოყენება. დროა ბოლო მოვუღოთ მყაყე მტკიცებას წარმოებაში ჩაურევლობის შესახებ. დროა შევითვისოთ მეორე, ახალი, თანამედროვე პერიოდის შესაფერი გაგება: ყველაფერში მონაწილეობა. „თუ შენ ქარხნის დირექტორი ხარ, ჩაერიე ყოველგვარ საქმეში, შეითვისე ყველაფერი, არ გაუშვა არაფერი, ისწავლე და კიდევ ისწავლე“ (სტალინის სიტყვიდან მრეწველობის მუშაკთა I კონფერენციაზე). თუ ეს ითქმის ქარხნის დირექტორზე, რომელსაც საქმე აქვს თუმცა მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ მაისც მკვდარ მასალასთან, რაღა შეიძლება ითქვას იმ ,,ქარხნის'' ხელმძღვანელებზე, რომლებიც მუშაობენ ცოცხალ ,,მასალაზე“? სხვაზე მეტად ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს ტეხნიკური უვიცობის, რადგან სოციალისტურ მშენებლობას სწორედ ჩვენ ვუზრდით პოლიტეხნიკურ საფუძვლებზე ახალ სპეციალისტებს. თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, ჩვენ ეხლავე უნდა მოვკიდოთ ხელი ტეხნიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციას, როგორც საზოვადოდ, ისე საკუთარი წარმოების დარგში.

რა გზები და საშუალებები არსებობს იმისათვის, რომ მასწავლებლები ტექნიკური ცოდნით აღიჭურვონ?

ერთ-ერთი, უეჭველად ნაცადი საშუალებაა—თვით მასწავლებელთა ამ საკითხით დაინტერესება. ამის უდიდესი ხელის შემწყობია სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა. უამრავი მაგალითებია იმისი, თუ ჩვენი ზრდით გამოწვეული რამდენი სიძნელენი გვეღობება წინ და მშრომელთა მასების თვითმოქმედება და ენტუზიაზმი როგორ ლახავს ყოველგვარ დაბრკოლებას. პოლიტიკურმა შეგნებამ და კლასობრივმა ალღომ მუშათა კლასის შემოქმედებითი უნარიანობა უმაღლეს წერტილამდე აიყვანა და ჩვენ მოწმენი ვხდებით, თუ როგორ იშლება ყოველდღიურად მშრომელთა ტალანტი სოციალისტურ შრომის ახალი მეთოდებისა და ხერხების გამოგონების საქმეში.

სოციალისტური შეჯიბრება, ამბ. ლენინის სწორი განმარტებით, არის საშუალება, რომელიც „მშრომელთა უმრავლესობას აბამს ისეთ მუშაობაში, სადაც მას შეუძლია გამოამჟღავნოს თავისი ნიჭი და ტალანტი, რომლის დაუშრეტელი წყაროა ხალხში და რომელსაც კაპიტალიზმი აღრჩობდა, სწეწდა და წიხლავდა“. ამბ. ლენინის ეს თქმა, ისე როგორც ყოველივე დანარჩენი, სრულიად გამართლდა და მუშათა კლასმა გამოიჩინა თავისი ნიჭი, ტალანტი, დაფარული ძალები, რომელსაც აღრჩობდა კაპიტალიზმი და რომელიც გაიფუჩქნა თავისუფალი შრომის დროს; მუშა გამომგონებელი, რაციონალიზატორი, წარ-

მოების კარგი მცოდნე ჩვენში იშვიათი არ არის. **მუშა უნდა დაეუფლოს ტეხნიკას.** ეს არის პარტიის მტკიცე დირექტივა.

სოციალისტური შეჯიბრება მუშაობის პროცესში ქმნის ახალ ძალებს—წარმოების საკითხებით დაინტერესებულს. სოციალისტური შეჯიბრება უკვე ის გენერალური მეთოდია, რომელიც მშრომელებს აბამს სოციალიზმის აქტიურ და შემოქმედებით მუშაობაში. სოცშეჯიბრება, როგორც ადამიანთა სოციალისტურ გადაკეთების და აღზრდის მეთოდი, უკვე თვალსაჩინო შედეგებს იძლევა და **მის გარეშე არ შეიძლება გადაწყდეს კულტურული რევოლუციის ამოცანები.** ახალი კადრების აღმზრდელი მასწავლებელი და სკოლა მთლიანად უნდა ჩაებას სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელმაც უნდა გამოამჟღავნოს სკოლაში მომუშავე ადამიანების ტალანტი და ნიჭი ახალი ადამიანის—ტეხნიკის მბრძანებელის—შექმნის საქმეში. ჩვენ უნდა გადმოვიღოთ ფაბრიკა-ქარხნების სოციალისტური შრომის ახალი მეთოდები: დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი, წუნის სარჩელი (браковый иск) და სხვა. მაგრამ აქ არ უნდა შევჩერდეთ. ჩვენი მხრივ უნდა შევქმნათ **სკოლის სპეციფიურობის** დაცვით ახალი სახეები, რომლებიც კულტურული მმენებლობის დარგში მოგვცემს უდიდეს ეფექტს. მასწავლებელი უნდა გადაიქცეს თავისი წარმოების ტეხნიკის მცოდნეთ, გამომგონებლად, რაციონალიზატორად და სოციალისტური შრომის ენტუზიაზისტად. მან უნდა შეისწავლოს პედაგოგიური

ტეხნიკის „საიდუმლოებანი“ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით. წრეები, კურსები, წარმოებაში უშუალო მუშაობა, ცდების წარმოება, ტეხნიკური ლიტერატურის კითხვა, ლაბორატორიებში მუშაობა, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული. არც ეს კმარა. საწარმოო თათბირებზე მასწავლებლებმა ფართოდ უნდა დააყენონ საკითხი და ახალი საშუალებების გამოყენებით მოახერხონ პედაგოგიური ტეხნიკის დაუფლება. განათლების ორგანოშბმა და კავშირმა უნდა შესძლონ ახალ გამომგონებელთა დაინტერესება დაჯილდოებით, წითელ დაფაზე მოთავსებით და სხვა.

მუშებს ტეხნიკის დაუფლებაში უკვე საგრძნობი მიღწევები აქვთ. სანიმუშოდ აქვე მოგვყავს ქარხანა »ელექტროზავოდის“ მაგალითი, რომელიც მეტად საინტერესოა, როგორც წამოწყება და რომლითაც ჩვენც უნდა ვისარგებლოთ. ქარხნის საწარმოო სექტორმა გამოსცა **ტეხნიკური ცოდნის სესხი მუშებისა და ინჟინერ-ტეხნიკოსებისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და ახალი ცოდნის შესაძენად.** სესხი გამოდის ობლიგაციების სახით 25, 50 და 100 საათის რაოდენობით. ვინც რამდენ საათიან ობლიგაციას შეიძენს, იმდენი უნდა გაანაღდოს. ხელის მოწერის დროს ეძლევათ მიმაგრებითი ქვითრები. იმის შემდეგ, როდესაც დამტკიცდება სამუშაო გეგმა, გამოირკვევა ხელის მომწერთა და მასწავლებელთა რაოდენობა, დგება მუშაობის კალენდარული გეგმა. ობლიგაციები მიეცემა ხელისმომწერთ და მათი თანდათანობითი განაღდება მოხდება

კუპონების მოჭრით. 25-საათიანი ობლიგაციის შემძენნი ემზადებიან მხოლოდ თავიანთ სპეციალობაში, 50-საათიანებისა კი — სპეციალურ საგნებს გარდა, სწავლობენ როგორც სავალდებულოს, ტეხნოლოგიას და ხაზვას, მათემატიკას და ფიზიკის საფუძვლებს. ვინც ობლიგაციას გაანაღდებს, მას ეძლევა ჯილდო. ამ მეტად საგულისხმიერო წამოწყებებს დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდოს განათლების კავშირის და განაოლების კომისარიატის ყველა ორგანიზაციები და თავის მხრივ დაამუშავოს ანალოგიური ლონისძიებანი.

ადგილებზე ამხანაგებს შეუძლიათ, ამ ლონისძიების გამოყენების გარდა, გამოყონ ტეხნიკური ბიუროები, რომლებიც დაამუშავებენ სათანადო ლონისძიებებს და ტეხნიკის ცოდნას ფართოდ შეიტანენ როგორც მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის, ისე მშრომელ მოსახლეობაში.

არც ერთი საბჭოთა მასწავლებელი ტეხნიკის გარეშე!

ანტირელიგიური აღზრდით ვებრძოლოთ კლასობრივ მტერს

„ჩვენი პროპაგანდა წარმოუდგენელია ისე, თუ ათეიზმის პროპაგანდაც არ გავწიეთ“. ლენინი.

საბჭოთა შრომის სკოლა კლასობრივია ისე, როგორც ყოველი სკოლა არსებული ჩვენში და უცხოეთში. უცხოეთის სკოლა ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება, ჩვენი კი პროლეტარიატის ინტერესებს. სკოლა მმართველი კლასის ხელში მჭრელი იარაღია, რომლის საშუალებით ის ებრძვის მოწინააღმდეგე კლასს და მის შეხედულებებს.

ბურჟუაზია ფარისევლურად ცდილობს სკოლა პოლიტიკის გარეშე გამოაცხადოს და ამით თვალები აუხვიოს მშრომელებს, მაგრამ მისი პოლიტიკა ამ მხრივ აშკარაა. ბურჟუაზიისათვის — მშრომელთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის საშუალებას — რელიგიას დიდი მნიშვნელობა აქვს. რელიგია ასწავლის მორწმუნეთ, რომ ამ ქვეყნიური ნეტარება და ბედნიერება წუთიერია.—სამაგიეროდ, ვინც აქ იშიმშილებს, იწვალებს, და ბოროტებას მოთმინებით შეხვდება, „იქ“ სამოთხის სახით დაიმკვიდრებს სამუდამო

ბედნიერებას. ქრისტიანიზმის ერთ-ერთი დებულება, რომ „აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი სამოთხეში შევაო“ სწორედ ამ აზრის განსამტკიცებლად იყო მოგონილი და მას იმეორებდენ ყველა-რელიგიის მსახურნი. „საიქიო“ ბედნიერების მოლოდინში, მშრომელი სააქაო ტანჯვას ითმენდა და რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მშრომელთა უმრაკლესობას აკლდა ცოდნა, აკლდა კრიტიკის უნარი და ბრძოლისათვის სითამამე, ვერ ასკვნიდა, რომ: თუ მართლაც აქ, წუთისოფელში, სიმდიდრე და ნეტარება ნიშნავს „იქ“ სამუდამო მწუხარებას და ტანჯვას, რატომ ბურჟუაზია წუთიერ ბედნიერებაზე არ იღებს ხელს და არ შეუდგება მუდმივ ნეტარებისათვის მზადებას? ბურჟუაზია ურცხვათ ატყუებს მშრომელებს, პატარაობიდანვე მათ გონებას ათრობს რელიგიის ბანგით, უშხამავს აზროვნებას მისტიციზმით, ყველაფერს ღვთის განგებით ხსნის და ყვლეფს თავის სასარგებლოდ.

რელიგია არ არის უვნებელი რამ, როგორც ბევრსა ჰგონია. ის არის ექსპლოატაციის უდიდესი იარაღი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში სამღვდელოების მეთაურები „სამოთხის“ და „ჯოჯოხეთის“ საქმეებს კი არ აწესრიგებენ, არამედ აშკარა სააქაო პოლიტიკურ საქმეებს სათავეში უდგანან და მუშათა კლასის დასაპყრობად და გასაყვლეფად კანონებს სწერენ. ასეა ფაშისტურ იტალიაში, სადაც რომის პაპი უგვირგვინო მეფის როლში გამოდის, ასეა „დემოკრატიულ“ ინგლისში

სადაც კენტერბერიის ეპისკოპოსი დაპყრობილ ახალშენების გაძვალტყავებულ მშრომელებს ჩემბერლენთან ერთად „შეწევნითა ღვთისათა“ აწიოკებს და სულს ართმევს. ასევეა სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ასევე იყო ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე ოქტომბრის რევოლუციამდე მაგრამ ასე არ არის საბედნიეროდ ეხლა.

რომ რელიგია ბურჟუაზიისათვის კლასობრივი ბრძოლის იარაღია, ამის დამტკიცება მრავალი მაგალითებით შეიძლება. კათოლიკე ხაქერის საღვთო სჯულში სწერია: „რაც შეეხება კომუნისტურ პარტიის შემადგენლობას, ყურადღებას იმსახურებს რუსი ბოლშევიკი მეფის (!) ლენინის გამოთქმა, ვითომ მის მიერ გაკეთებული. ის ანგარიშობს 100 კომუნისტზე 1 იდეალისტს, 39 დამნაშავეს და 60 სულელს“.*) აი რა აბდა-უბდით უვსებენ თავს, ახალგაზრდებს, რომ ისინი ბოლშევიკების წინააღმდეგ აამხედრონ.

კომუნისტებზე არც გერმანული სახელმძღვანელოები კვებავენ ახალგაზრდებს უკეთესი მასალით მაშინ, როდესაც ყოფილ მეფის ვილჰელმის მიმართ დიდის ქებით და მოწიწებით სწერენ. მაგალითად გერმანულ ისტორიის სახელმძღვანელოში (კარლოს ლონგის შედგ. ბადენი 1927 წ.) ვილჰელმის ასეთი სურათია: „რელიგიურობა, მოვალეობის გრძნობა და თავის დანიშნულებაზე უმაღლესი წარმოდგენა, როგორც მმართველზე, ახასიათებდა კაიზერს. — სამაგი-

[1]) როსტოვცევი: ახალგაზრდებისათვის ბრძოლა კაპიტალისტების ქვეყნებში.

ეროდ 1918 წლის გერმანიის რევოლიუციაზე გერსტენ-ბერგის ისტორიიდან ბავშვები გებულობენ, რომ „სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებელმა მარცხენა ფრთამ მოამ-ზადა რევოლიუცია რუსეთის ფულებით.“ „აი როგორ ამა-ხინჯებენ ფაშისტები რევოლიუციონერ სინამდვილეს, რომ გული გაუტეხონ ახალგაზრდებს რევოლიუციაზე. გერმა-ნელ სახელმძღვანელოში გვხვდება შემდეგი: „თუ ღმერთს არ მოსწონს ჩვენი სურვილები, ტყუილია ყოველგვარი ცდა“. „სახლის მორთულობა — სისუფთავე, ბედნიერებაა, **მცირეთი დაკმაყოფილება** (რომ ბურჟუაზიას შემოსავალი არ შეუმცირდეს ნ. ძ.) კურთხევაა და ღვთის მოსავობა. მომეცი და დაივიწყე, რაც მომეცი, ღმერთი არ დაივიწ-ყებს. ის ყველაფერს ხედავს. ცათა მამა სხვა ქვეყანაში მოგიზღავს“. რას ნიშნავს ეს სიტყვები თუ არა იმას, რომ იმუშავე, წელებზე ფეხი დაიდგი და ნამუშევარი სხვას მიეცი; შენ მცირეთი დაკმაყოფილდი, სამაგიეროდ იმ ქვეყანას ღმერთი, რომელიც ყველაფერს ხედავს, და-გამკვიდრებს სამოთხეში. აი როგორი ზეამით კვებავდენ და ეხლაც კვებავენ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მდიდრების ლაქია—ხუცები მშრომელებს, რომ დაიმორჩილონ ისინი.

მასწავლებელი ვებერი ოფენბახის სკოლიდან გააძე-ვეს ხუცეს შნაიდერის დაბეზღებით შემდეკი „ბრალდე-ბის“ გამო 1) ის გაკვეთილზე ლაპარაკობდა, რომ ეშმაკი არ არსებობს. 2) ხაზს უსვამდა ადამიანისა და მაიმუნის ნათესაობას 3)მან განაცხადა, რომ ძაღლიც ისეთივე ძუ-ძუმწოვარია, როგორც ადამიანი და 4) მან დასწერა და-

ფაზე: „ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე. იმიტომ, რომ ვიყვეთ კარგი ამხანაგები“, უნდა დაეწერა კი: „რომ ვემსახუროთ და ვასიამოვნოთ ღმერთს“ აი მაგალითი იმისა, თუ როგორ ებრძვის ბურჟუაზია და მისი დამქაშები — ხუცები კომუნისტურ გავლენას: კაპუცინის ბერი პ. კაზემირი სწერს: „ქრისტიანებო, სადაც არ უნდა იყოთ, ისმინეთ! სოციალისტები, კომუნისტები იბრძვიან საბჭოთა სკოლისათვის... ისინი ცდილობენ იქონიონ გავლენა და გაგაზრდევინონ თქვენი შვილები ურელიგიოთ. და თქვენ კათოლიკე — მშობლები აიტანთ ამ ძალდატანებას? ნუ თუ თქვენ შეუმსუბუქებთ ამოცანის გადაჭრას ამ ვაჟბატონებს, გაიღები საკუთარ თანხებს იმათთვის ვინც თქვენს შვილებს გადააქცევს ავაზაკებად, მკვლელებად დამნაშავეებად და ჯოჯოხეთის და ცეცხლის კანდიდატებად“? არ არის ძნელი წარმოსადგენი, თუ რა დიდ და შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას დასტოვებს ასეთი თავაწყვეტილი სიცრუე და უბსგავსო ჩმახვა განუვითარებელ და უცოდინარ მოსახლეობაში. რელიგიას ებრძვის მუშათა კლასი, ებრძვიან მშრომელები კომუნისტურ პარტიის წინამძღოლობით, მაგრამ სანამ ხელისუფლება ბურჟუაზიის ხელშია, მანამ რელიგიის მატყუარების გამომჟღავნება არ არის ადვილი საქმე.

რელიგია უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია და ყალბი პათოსით გამოთქმული სიტყვები, რომელიც ჩვენ ხშირად გვესმის: „რელიგია სინდისის საკითხია და ამიტომ ხელუხლებელი უნდა იყოსო“, ნიღაბ

აფარებულ კლასობრივ მტრის შემოტევაა ლენინი წერდა: „ანტირელიგიური პროპაგანდა მის ძირითად ამოცანას უნდა დაექვემდებაროს; ექსპლოატატორების წინააღმდეგ ექსპლოტაციაქმნილი მასების კლასობრივ ბძოლის გაფართოებას“.

დაინგრა ჩვენში ფეოდალების, ბურჟუების და ეპისკოპოსების მიერ ნაშენი ხუხულა იერარია, განთავისუფლდა მუშათა კლასი და მან სამართლიანად მიმართა თავისი რისხვა-რელიგიის წინააღმდეგ. მაგრამ, საუკუნოებით ნაწვეთი შხამი გუბეებად გადაიქცა. საზოგადოების ქვედა ფენებში ფესვებ-გადგმული სარწმუნოებას ერთი დაკვრით, თუნდაც ძალიან მაგარით, ნიკოლოზ მეორესავით ტახტიდან ვერ გადავისვრით. მყვლეფელებმა კარგად იცოდენ, რასაც შვრებოდენ: ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდენ სარწმუნოებას; გლეხობას უვიცობაში, ტალახსა და ჭუჭყში აღრჩობდენ, რომ ცოდნას და სწავლას შხამის საწინააღმდეგო შრატი არ დაემზადებინა და „საიქიოს“ მაგიერ მშრომელს პირი სააქაოსაკენ არ ექნა. სხვა მაგალითი რაღად გვინდა: საეპარქიო და საზოგადოთ სასულიერო სასწავლებლებში ბუნებისმეტყველებას სრულიად არ ასწავლიდენ მაშინ, როდესაც საღვთო სჯულსა და ღვთის მსახურებას უნდებოდა მუშაობის სამი მეოთხედი. ადვილი არ არის ქრისტიანულ ფანატიზმით მოწამლული ხალხის „მორჯულება“. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, დიდ ენერგიას, მაგრამ ეს ერთი წუთითაც არ ნიშნავს იმას, თითქო

ჩვენ ამიტომ ამაზე ხელი უნდა ავიღოთ ან ბრძოლის ტემპი შევანელოთ.

პროლეტარიატისათვის რელიგია არა თუ საჭირო არ არის, არამედ მისთვის ის მეტად მავნეა, როგორც მონობისა და ყვლეფის მაგარი იარაღი. ამიტომაა, რომ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა მაგრად ებრძვის მისტიციზმს, ზებუნებრივ გაგებას და ცრუმორწმუნეობას.

სკოლა უნდა ემსახურებოდეს მმართველი კლასის — პროლეტარიატის ინტერესებს. პროლეტარიატს თავისი საკუთარი მსოფლმხედველობა აქვს და, ცხადია, მას სურს თანამედროვე ახალგაზრდობა აღზარდოს ამ მსოფლმხედველობისათვის მებრძოლ ადამიანად.

რა არის საჭირო, რომ ბრძოლა პროლეტარიატის საკარგებლოდ წარიმართოს და მატყუარა მტერი დავამარცხოთ? **უეჭველია, ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა.** ამგვარ ცოდნას უნდა იძლეოდეს ჩვენი სკოლა, დაწყებული პირველი საფეხურიდან — უმაღლეს სასწავლებლამდე. არ არის საკმარისი ვთქვათ დეკლარატიულად: „ღმერთი არ არის“ ან ხატები დავწვათ, ბავშვებს ჯვრები ჩამოვგლიჯოთ, საჭიროა, მეცნიერული მუშაობა, დასაბუთებული მსჯელობა და ფაქტებით რელიგიის წინაშღდეგ გამოსვლა. სკოლაში მუშაობის დროს საკმაო საშვალება და მასალა გვაქვს იმისათვის, რომ დავამტკიცოთ რელიგიის უნიადაგობა.

როგორ არის საქმე ამ მხრივ ჩვენს სკოლაში. ცხადია, მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელი არ არის. ჩვენ ხშირად ვმუშაობთ „შემთხვევიდან შემთხვევამდე“

მივადექით ქრონოლოგიურად „შობას“, ავტეხთ განგაშს, „აბა დაიწყეთ ანტირელიგიური პროპაგანდა!“. რაღაცას შევაკოწიწებთ, სწრაფად გამოვუშვებთ გაზეთს, ჩავატა-- რებთ ინსცენირობას, გავმართავთ დისპუტს და მორჩა, „აღდგომამდე“ თავისუფალი ვართ.

ეს ყოვლად გაუმართლებელი მუშაობაა. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა ანტირელიგიურ აღზრდასთან, არამედ სახელდახელო პროპაგანდასთან. როგორ შეიძლება სკოლაში აღზრდის საკითხებში კამპანიებით დაკმაყოფილება? ზოგი არც კამპანიებით იწუხებს თავს, რადგან მისი აზრით — რა საჭიროა ანტირელიგიური პროპაგანდა, როდესაც ბავშებმა „ღმერთზე“ არაფერი იციან. საკვირველი მსჯელობაა! გამოდის, რომ ბავშებმა არაფერი იციან „ღმერთზე“, თითქო ისინი არ ხედავენ „შობა“-„აღდგომისთვის“ სამზადისს, თითქო ბავში არ დადიოდეს ქუჩებში და არ ხედავდეს, თუმცა იშვიათად, მიცვალებულის გასვენებას მლვდლით ან სასაფლაოზე ჯვრებს და სხვას. ასეთი მსჯელობა თვალების ახვევაა... ჩვენს სინამდვილეში ბავშებს არ შეუძლია არ იცოდეს „ღმერთი“, — რადგან ეს „ღმერთი“ ჯერ კიდევ საკმაოდ „არსებობს“, — ჩვენი მიზანია არა ურელიგიო აღზრდა, არამედ ანტირელიგიური, რადგან ყალბია ის აზრი, რომ ჩვენი ბავშები ყოველგვარ რელიგიის გარეშე იზრდებიან.

ერთმა მასწავლებელმა, რომ დაემტკიცებია თითქოს ბავშებს არავითარი წარმოდგენა არ აქვთ ღმერთზე, მითხრა: — დღეს ერთი მოწაფე მომვარდა და მეუბნება:

„მასწავლებელო, მე დღეს ღმერთი ვნახეო. გამოირკვა
რომ ბავშს შემოსილი ეპისკოპოსი უნახავს“. — ასეთმა
„საბუთმა“ გამაკვირვა. მასწავლებელს უხაროდა, რომ
ბავშვი „ღმერთს“ ვერ „იცნობს“ და ეპისკოპოსში აურია,
თითქოს ჩვენთვის სულ ერთი არ იყოს, ბავშვი ღმერთს
კაცად წარმოიდგენს, მხეცად თუ სხვა ცხოველად. მთავა-
რი ის არის, რომ ბავშმა იცის — „ღმერთის“ — არსებობა
და მის წარმოდგენაში ის როგორ გადატყდება, ეს ნაკ-
ლებ საინტერესოა. ჩვენ ყოველგვარ „ღმერთს – ვუცხადებთ
ბრძოლას იქნება ის ებრაელების იეგოვა, მუსულმანების
ალაჰი, თუ ქრისტიანების „მამა ღმერთი ერთი, მაგრამ
ამპიროვანი“. თავის მოტყვიღებას თავი დავანებოთ და
აშკარად ვსთქვათ, რომ ბავშვი „ღმერთს“ „იცნობს“ —,
კოლიდან თუ არა, ოჯახიდან, ქუჩიდან მაინც.

კრუპსკაია ამბობს: „სკოლა გავლენას ახდენს ბავშვე-
ის მსოფლმხედველობაზე, მაგრამ უფრო მეტ ზეგავლენას
ახდენს გარემოცული წრე“ — მანამ სანამ საზოგადოება არ
დაივიწყებს „ღმერთებს“ — ჩვენ დაზღვეული არა ვართ,
რომ ჩვენი ბავშვები „ღმერთების“ გარეშე გაიზრდებიან
და ჩვენც მზად უნდა ვიყოთ „ღმერთებთან“ — საბრძოლ-
ველად.

სკოლამ არა თუ მხოლოდ ბავშვი უნდა აღზარდოს,
რამედ თავისი მუშაობა მოსახლეობაშიც უნდა გადაიტა-
ოს და ლექციებით, კინოებით და სხვა მხატვრული ხერ-
ებით აღმზრდელობითი ზეგავლენა მოახდინოს რაიონის
ოსახლეობაზე. მთავარი სამუშაო კი უნდა დაეკისროს

ომ ახალგაზრდობას, რომელიც სკოლაში ღრმად ითვისებს ანტირელიგიურ ცოდნას, რომ შემდეგ შეთვისებული ოჯახში გადაიტანოს.

ასრულებს თუ არა ჩვენი სკოლა ამ დიდ ამოცანას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ასრულებს, ან უკეთეს შემთხვევაში, ცუდათ ასრულებს. ჯერ ერთი როგორც ზევით ვთქვით, ანტირელეგიურ აღზრდას აქვს კამპანიური ხასიათი და არა სისტემატიური. პროგრამები ჯერ კიდევ ათეისტს ვერ ზრდის. **ამხ. კრუპსკაიას** თქმას ჩვენც გავიმეორებთ, რომ ძალიან დიდი მუშაობა ჩატარდა სახელმძღვანელობიდან რელიგიური სულით გაჟღენთილი ლექსების, მოთხრობების განდევნისათვის, მაგრამ ცუდად არის დაყენებული კლასს გარეშე კითხვის საკითხი. ბავშვებს ხშირად უვარდებათ ხელში რელიგიითა და მისტიციზმით გაჟღენთილი წიგნები. ამ მხრივ სკოლასთან ერთად დიდ მუშაობის ჩატარება მართებს საბავშვო ბიბლოთეკებს. საბავშო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი უეჭველად კარგად დახელოვნებული პედაგოგი უნდა იყოს და მარქსისტული მსოფლმხედველობით აღჭურვილი პიროვნება. ბიბლიოთეკის საშუალებით ის უნდა აწარმოებდეს დიდ აღმზრდელობით მუშაობას სათანადო წიგნების შერჩევით და ახალგაზრდობისათვის მიწოდებით. ანტირელიგიურ აღზრდის ნიშნის ქვეშ მკითხველთა კონფერენციების მოწყობა და წაკითხული წიგნების გარჩევა დიდ აღმზრდელობით გავლენას იქონიებს ბავშებზე.

მესამე და მთავარი არის თვით მასწავლებლის საკითხი.

შეუძლებელია ადამიანს მოსთხოვო ის, რაც არა აქვს· თუ მასწავლებელი მორწმუნეა, ცხადია, მას ათეისტის აღზრდა არ შეუძლია. მასწავლებელი უეჭველად მარქსისტი, ათეისტი, უნდა იყოს; ამ მხრივ ჩვენ საქმე გვაქს მასწავლებელთა სამ კატეგორიასთან: პირველი—მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილი, მარქსისტული მსოფლმხედველობით აღჭურვილი, მეორე—რელიგიური, იდეალისტი და, მაშასადამე, მარქსიზმის უეჭველი მტერი და მესამე — მერყევი,—რომელსაც მტკიცე და გარკვეული მსოფლმხედველობა არ გააჩნია. პირველი აშკარაა სოციალისტური სკოლის საიმედო საყრდენია და ჩვენ მათი საშუალებით ვზრდით ახალ კადრებს. მეორენი ჩვენ სკოლაში ვერ იმუშავებენ და, თუ მაინც მუშაობენ მატერიალური მოსაზრებით, ისინი ხელს უშლიან შრომის სკოლის წინსვლას. მათი გასწორების იმედი დაკარგულია. ისინი ჩვენს სკოლას უნდა მოშორდენ. მესამენი უნდა გარდაიქნან და სათანადო ხელმძღვანელობის გაწევით მარქსისტულ მსოფლმხედველობით აღიჭურვონ. ლენინი სწერდა „ცოტა რამ რიდი კეთდება იმისთვის, რომ ძველი მასწავლებლობა დავძრათ თავისი ადგილიდან, ახალი ამოცანების შესრულებაში ჩავაბათ, დავაინტერესოთ ისეთი საკითხით. როგორიც არის სარწმუნეობის საკითხი“. ეს იწერებრდა რამდენიმე წლის წინედ; საბედნიეროდ, ჩვენში მორწმუნე მასწავდებელთა რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ, თუ დღემდე ამ მხრივ, ზოგიერთი მასწავლებელი არ თუ არ გამოსწორებულა, არამედ გამოსწორების იმედსა(

არ იძლევა უეჭველია, რომ ის ახალგაზრდობის აღზრდას, ზიანს მოუტანს.

სკოლაში დისციპლინების (საგნების) მუშაობა ისე უნდა იყოს წარმართული, რომ ყველგან და ყოველთვის აშკარად ჩანდეს მსოფლმხედველობის საკითხი. რასაკვირველია სწორია ის შეხედულება, რომ საზოგადოებათ მეცნიერების მასწავლებელი მსოფლმხედველობით უეჭველად მარქსისტ-ლენინელი უნდა იყოს. მაგრამ ეს არ კმარა. არც ერთ მასწავლებელს უფლება არა აქვს გულდამშვიდებით განაცხადოს, რომ მე ვასწავლი მათემათიკას ან ფიზიკას და ჩემი საქმე არ არის მსოფლმხედველობის საკითხებზე თავის მტვრევაო. ეს იქნებოდა მეტად მავნე „ნეიტრალური" პოზიცია, რომელიც ჩვენი აღზრდის საქმეს დიდ ზიანს მოუტანდა. მარქსისტული მსოფლმხედველობით შეიარაღება საჭიროა ყოველი მასწავლებლისათვის.

საბუნებისმეტყველო დისციპლინები, რომელთაც ევალებათ გამოამჟღავნონ რელიგიის მატყუარობა და ურყევი კანონებით დაამტკიცონ მისი სიყალბე, მთლიანად უნდა ემსახურებოდენ კარგათ შეიარაღებულ, მეცნიერულად წელგამართულ ათეისტის შექმნას. ზოოლოგიის, ბოტანიკის და ანატომიის ცოდნა და მისი მსოფლმხედველობის საკითხთან დაუკავშირებლობა, ყოვლად მიუღებელია. რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ბავშვებს დისციპლინების ცოდნა არ მივცეთ; პირიქით, ცოდნას, ჩვევებს, დისციპლინების შეთვისებას უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ, მაგრამ არა განყე-

ნებულად, არა „საგანი საგნისთვის“, არამედ იმ მოვლენათა ასახსნელად და მსოფლმხედველობის გამოსამუშავებლად, ურომლისოდაც პიროვნება მისტიციზმის და რელიგიური რუტინის მონად იქცევა. დისციპლინები, საგნები საშუალებაა მიზნის მისაღწევად. მიზანი კი ცხოვრების შესწავლაა იმ გაგებით და შემეცნებით, როგორც ამას ჭეშმარიტი მსოფლმხედველობა — მარქსიზმი მოითხოვს. კომკავშირის მე-8ე საკავშირო ყრილობაზე კრუბსკაიამ სამართლიანად განაცხადა: „ცხადია, ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სკოლა ბავშვებს ცოდნას აძლევდეს. სწორეთ ამიტომაც დადიან ისინი სკოლაში. მაგრამ, ამხანაგებო, შეუძლებელია, არ დავინახოთ, რომ სწავლების ლოზუნგი ხშირად ისე არის გამოყენებული, რომ იფიტება იმის შინაარსი, რასაც ასწავლიან. მაგალითად, შეუმჩნევლად იწყება ჩვენს სკოლაში რელიგიასთან ბრძოლის შენელება. მუშათა კლასის ბრძოლის გაშუქების საკითხები თანდათან ქრება, და სწორი ლოზუნგს: „მეტი ყურადღება სწავლას“, იყენებენ, როგორც ლოზუნგს: »მოდი ვისწავლოთ მხოლოდ გრამატიკა, მხოლოდ არითმეტიკა... შინაარსი კი კომუნისტური შინაარსი — ეს გარეშე საქმეა“.

ერთ წუთს არ უნდა დავიიწყოთ, რომ ჩვენში დიდი ასპარეზი აქვს რელიგიურ იარაღით მებრძოლ მტერს. გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე დიდი სიმკაცრით სწარმოებს და ბარიკადებს იქით დარაზმული მტერი ახალგაზრდობის გადაბირებას რელიგიის საშვალებით ფიქრობს.

ჩვენში ეს საკითხი ჯერ კიდევ კარგად არ არის დამუშავებული. არ ვიცით, თუ რა მდგომარეობაა სკოლებში რელიგიურ განწყობილების სფეროში. არ ვიცით, რადგან არ ჩაგვიტარებია არც მასიური ანკეტური დაკითხვა, არც პერსონალური შესწავლა და არც სხვა სახის მეცნიერული მუშაობა. საჭიროა მეტად ღრმა და სისტემატიური მუშაობა, რომ ახალი თაობა რელიგიურ ხიფათისაგან ვიხსნათ. საკითხს ოპორტუნისტულ თვითდინებით წარმართვა და ობივატელური გულდამშვიდება მიგვიყვანს მეტად არა სასურველ შედეგამდე. ორი წლის წინ, როდესაც „აღდგომის“ წინ ანტირელიგიურ სამხადისში ვიყავით, მოგვიტანეს ამბავი, რომ მე-3 ჯგუფის ოთხი მოწაფე ეკლესიაში იყო. გამოკითხვამ გამოარკვია, რომ ბავშვები დადიოდენ ეკლესიაში, რადგან მათ ხუცესი ტკბილეულობით უმასპინძლდებოდა: გამოირკვა ისიც, რომ მღვდელი ბავშვებს ეუბნებოდა „ეკლესიაში იარეთ, შვილებო. თქვენ მასწავლებელს ნუ უჯერებთ, იმათაც უნდათ ეკლესიაში იარონ, მაგრამ უფროსების ეშინიათ, საბსახურიდან დაითხოვენ, თქვენ კი რისა გეშინიათ. კამფეტებს და თხილს ყოველდღე მოგცემო“ ჩვენ წინ კლასობრივ მტრის იერიშები იმდენად ნათელი იყო, რომ ურელიგიო აღზრდის მომხრე მასწავლებლებიც კი დიდ უხერხულობაში ჩავარდენ. ასეთი მაგალითები ყველა სკოლებში ბევრი მოიპოვება და ამიტომ გადამჭრელი ზომებით უნდა ვიბრძოლოთ ახალი თაობის დასაცავად. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია:

1. სკოლაში წარმოებდეს სისტემატიური პროგრამულად დამუშავებული ანტირელიგიური აღზრდა, რომლითაც გაჟღენთილი იქნება არა ერთი რომელიმე საგანი, არამედ ყველა უკლებლივ.

2. სრულიად მოისპოს რაიმე იმედების დამყარება **ურელიგიო აღზრდაზე**, რადგან ბავში ტრიალებს და იზრდება ისეთ წრეში, სადაც რელიგია ჯერ კიდევ საკმოდ ძლიერია. ბავშებმა უნდა იცოდენ რაზე ემყარება რელიგიური ცრუნორწმუნოება და შეგნებით ბივიდეს რელიგიის უარყოფამდე.

3. სკოლამ უნდა შეძლოს ანტირელიგიური აზროვნების შეტანა მოსახლეობაში, რომ ამით საყრდენი გამოაცალოს რელიგიურ განწყობილებას მასაში.

4. ეხლავე შევუდგეთ ჩვენი სკოლების რელიგიურ სახის გამორკვევას ანონიმური ანკეტებით, კითხვა-პასუხებით, დისპუტით და საკვლევო მეცნიერულ დაწესებულებათა დახმარებით.

5. ყველა დასახულ ამოცანის გადაჭრა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა მასწავლებელს. მას უნდა მოეთხოვოს არა თუ ყოველგვარი რელიგიის გარეშე დგომა, არამედ რელიგიის საწინააღმდეგოდ აქტიური ბრძოლა. ჩვენი ღრმა რწმენით. საქართველოს მასწავლებელთა დიდი ნაწილი ყოველგვარი რელიგიის გარეშე დგას და მათი საშუალებით უნდა მოხდეს მასწავლებელთ რიგების რელიგიურად განწყობილ წევრებისაგან გაწმენდა.

რადგან მორწმუნე მასწავლებელი უდიდესი საფრთხე ჩვენი სკოლისათვის.

6. ახალგაზრდათა ორგანიზაციებს, პიონერებს და კომკავშირს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ მათ რიგებში არ იყონ რელიგიურად განწყობილი წევრები. საბჭოთა მასწავლებლებთან ერთად მათ უნდა შესძლონ კლასობრივ მტრის დამარცხება -- ახალგაზრდობის მათგან სრული ჩამოცილებით.

7. სკოლებში უნდა ჩამოყალიბდეს უღმერთოთა საზოგადოების უჯრედები, სადაც მასწავლებლებთან და მოწაფეებთან ერთად იმუშავებენ მოწაფეთა მშობლები და მოსახლეობა.

რევოლუციონური დღეების საკითხი სკოლაში

თანამედროვე შრომის სკოლამ რევოლუციონურ დღეებს აღმზრდელობითი როლი მიაკუთვნა და ამიტომ მათ მოწყობა-ჩატარებას დიდ მნიშვნელობას აძლევს.

უკანასკნელ ხანებში რუსეთის პრესა რევოლუციონურ დღეების საკითხს ფართოდ გამოეხმაურა. ეს გასაგებიც არის, რადგან, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა რევოლუციონურ დღეების რიგიანად მოწყობას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია.

ყველა ჩვენგანს გაუტარებია ნეტარი ყმაწვილობა და სიამოვნებით გვაგონდება დღესასწაულებით გამოწვეული სიხარული და დროს ტარება. ცხადია, რომ ქრისტიანული დღესასწაულის შინაარსი ბავშვებს სრულიად არ გაეგებოდათ, რადგან საეკლესიო სარწმუნოება თავის მძი-

ჰე დოგმებით და მისტიურ-ზღაპრული სასწაულებით, ბავშის გონებისათვის დაუძლეველი იყო, მაგრამ გარეგანი ფორმით, დღესასწაულები ისე სასიამვნოდ ეწყობოდა, რომ ბავშებს იტაცებდა და სიხარულს აღუძრავდა. ბავშს უყვარს სანახაობანი, გართობა, მრავალფეროვანობა.

შრომის სკოლა მარტო ფორმით ვერ დაკმაყოფილდება. მისი მიზანია არა ზერელე, წყალწყალა გონების ადამიანთა აღრზდა, რომელთაც ძველი სკოლის მეოხებით ჩახშული ჰქონდათ კრიტიკის და განსჯის უნარი, არამედ ისეთი მოქალაქის, — რომელმაც იცის—რას, რატომ, როგორ აკეთებს და რა გამართლება აქვს მის საქმიანობას. შრომის სკოლაში ბოლოშავე ზოგი პედაგოგი ფიქრობს, რომ ძველი რელიგიური მიდრეკილების აღმოფხვრა შეიძლება მაშინ, თუ ჩვენ სრულიად გავჩუმდებით და რელიგიის საკითხებს გვერდს ავუვლით. ეს დიდი შეცდომაა! ჩვენი სკოლა ვერც ერთს საკითხს უხმოდ ვერ შეხვდება. ბავშვის წინაშე ჩვენ უნდა გადავშალოდ კარგი და ავი, თეთრი და შავი, მაგრამ ისე კი, რომ ბავში ჩვენთვის იდეოლოგიურად გამართლებულ დებულებას იღებდეს. ამაშია პედაგოგის დიდი როლი! ბავშმა უნდა იცოდეს, თუ როგორი იყო და რაზე შენდებოდა ძველი რელიგია. მან უნდა გაიგოს რა მიზანი ამოძრავებდა ეკლესიას და როგორ იყო ის დაინტერესებული ხალხის დაბრმავებაში. ეს იქნება ანტირელიგიური აღრზდა (და არა ურელიგიო!), რომელიც ჩვენმა სკოლამ მთელი სიგრძე-სიგანით წამოაყენა. რევოლუციონურ დღეებთან ერთად ჯერჯერობით კიდევ

საეკლესიო დღესასწაულებიც არსებობს. ამ ფაქტის გამო ყენება სკოლას შეუძლია რეოლუციონურ დღეების სასარგებლოდ. ყოველი საეკლესიო დღესასწაულის დროს უნდა ვცდილობდეთ მისი ყალბი შინაარსის გახსნას და ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ქიმიის და საზოგადოებათმეცნიერების საშვალებით, მათი დოგმების დამსხვრევას. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ღმერთი ადამიანმა გააჩინა და არა პირუკუ, რომ ჯოჯოხეთი, სამოთხე და „იმქვეყნიური“ ცხოვრება გამოგონილია იმ კლასის მიერ, რომელიც თავის საკეთილდღეოთ, მონებს მოთმინებას და თვინიერებას აჩვევდა.

ჩვენთვის კი ყოვლად მიუღებელია მოთმენა და თვინიერება! სასტიკი ბრძოლა და გამარჯვებამდე ომი შყვლეფელებს! ეს ქვეყანა მშრომელებისაა! ვინც შრომობს, ის კმაყოფილი უნდა იყოს. დაჩაგრულმა კლასმა ბევრი ბრძოლა გადაიხადა და დედამიწის $^1/_6$-ზე გამარჯვება მოიპოვა. პროლეტარიატმა უკუაგდო მატყუარათა დღესასწაულები და ბრძოლებში გამარჯვების დღეები ზეიმად აღიარა. ცხადია, შრომის სკოლა, რომელიც მშრომელთა გამარჯვების პირმშო შვილია, საეკლესიო დღესასწაულებს უკუაგდებს და რევოლუციონურ დღეებს აღირებს. ამ საეკლესიო დღესასწაულებს ჩვენ რევოლუციონური დღეები უნდა დავუპირდაპიროთ და მათი შინაარსის ჯეროვანი განმარტებით, ბავშების შემეცნებაში რევ. დღეების სიყვარული უნდა ჩავუნერგოთ.

წლის განმავლობაში ჩვენ მრავალ რევოლ. დღეებთან გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანს თავისი შინაარსი აქვს გაფორმების მხრივ, სკოლა ვერ ახერხებს შაბლონს ასცდეს და ცალკე შემთხვევაში ყოველი მათგანი ახალ ყალიბში ჩამოასხას.

ყველა რევ. დღის ერთნაირად ჩატარება ბავშებს თავს აბეზრებს და შედეგად სასურველ ეფექტს ვერ ვღებულობთ.

ჩვენი ფიქრით. რევ. დღეები შეიძლება 4 ნაწილად დავყოთ:

I. გადახდილ ბრძოლებში მშრომელთა გამარჯვების დღეები. ოქტომბრის რევოლიუცია, 25 თებერვალი და 1 მაისი.

II. ხსოვნის დღეები: 21 და 22 იანვარი, 26 კომუნარის დახვრეტის დღე, ლენის მუშების დახვრეტის დღე და. სხვა.

III. ძალთა გადახედვის ანუ სააგიტაციო დღეები: 8 მარტი, ახალგაზრდობის კვირეული, წითელი არმიის დღე *) და სხვა.

IV. სხვადასხვა კამპანიები: თესვის, სესხის, არჩევნების და სხვა.

---

*) წითელი არმიის დღე 25 თებერვალს იმიტომ დავაცილეთ, რომ ამ ორი დღის შეერთებით ერთი რომელიმე მათგანი ყოველთვის ყურადღებით რჩება წითელი არმიის დღე შეიძლება პირველ 1-კატეგორიაშიაც მოვაქციოთ.

ოთხივე კატეგორიის დღეები მეტად მნიშნელოვანია, მაგრამ დახარისხება გამოწვეულია, ყოველი მათგანის მოწყობისას საჭირო თავისებურობის დაცვისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის დღეები არა თუ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის განთავისუფლების დღეა, არამედ მსოფლიო რევოლიუციის წინამორბედი! განა ყველა დაჩაგრული ერი საკუთარ „ოქტომბერზე" არ ოცნებობს? „ოქტომბერმა" კაცობრიობის მოწინავე და საღ მოაზროვნე ნაწილისათვის გარკვეული ერა შექმნა და მათ ჩვენ სხვა დღეებს ვერ გავუთანასწორებთ.

1 მაისი-საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის დღეა. თუმცა ჩვენი მუშათა კლასი მყვლეფელებისაგან თავისუფალია, მაგრამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მშრომელები ჯერ კიდევ მონობაში გმინავენ. ჩვენ ვზეიმობთ რა საკუთარ გამარჯვებას, ძმურ ხელს ვუწოდებთ ჩაგრულებს. თავისი მნიშნელობით 1 მაისი ღირსია, რომ „ოქტომბერს" გვერდს უმშვენებდეს, როგორც მშრომელთა მასების საზეიმო დღე.

25 თებერვალი საქართველოს მშრომელებისათვის დიდი პოლიტიკური აქტია და გამარჯვების დღეებში მას თავისი საპატიო ადგილი უნდა ექნეს.

თუ როგორ უნდა ჩავატაროთ ზემოაღნიშნული დღეები ამაზე ქვევით. ჯერ შევეხებით მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორ. დღეებს. რევოლუციის დღეები ჩვენს პროგრამაში მასალად უნდა შევიდენ და მათი შესწავლა

ქრონოლოგიური თანამიმდევრობით უნდა ხდებოდეს. ესეც არა კმარა. ბავში მათდა გასამტკიცებლად საჭიროა ემოციანალური შეგრძნებაც. მაგალითად:..

მეორე კატეგორიის დღეების აღნიშვნა შეიძლება შემდეგნაირად: გაიმართოს მოგონებათა დილები ან საღამოები, სადაც ჩატარდება მხატვრული თხრობა, მხატვრული კითხვა, მელოდეკლამაცია, გუნდური სამგლოვიარო სიმღერები. დაიდგმება შესაფერი კინო-სურათი, პატარა სცენები და სხვა.

ა) **მესამე კატეგორიის დღეები.** ქალთა დღეს მოეწყოს: მიტინგი, სადაც სიტყვებით გამოვლენ მოწაფეები, მასწავლებლები, მოწვეული მშრომელი ქალები და გააშუქებენ ქალთა საკითხს ძველად და ეხლა. ქალთა თანასწორობის საკითხის გასაცნობად დისკუსია, კითხვა-პასუხის საღამოები, რევოლიუციონურ ქალთა შესახებ ბრძოლის ამბების თხრობა, რომელიმე ქარხანაში მშრომელ ქალებთან მისვლა და საჩუქრად საკუთარი ნახელავის მიტანა, მთელი დღით ტეხნიკურ მომუშავე ქალთა განთავისუფლება და მათი სამუშაოს ბავშების მიერ შესრულება, ქალთა განთავისუფლების შესახებ აგიტაციის ოჯახებში გადატანა, მშრომელი და ნათესავი ქალების სკოლაში მოწვევა და საღამოს გამართვა. სადაც დაიდგმება პატარა სცენები ქალთა ცხოვრებიდან და სხვა.

ბ) **წითელი არმიის დღე.** რომელიმე ნაწილთან კავშირის გამბა. მათთან ერთად ან მათთვის კედლის გაზეთის სპეციალური ნომრის გამოშვება, არმიელების სკოლაში

მიპატიჟება და მათთვის სკოლის ცხოვრების გაცნობა. რევოლიუციაში და სამოქალაქო ომებში მონაწილე წითელარმიელებისაგან გადახდილი ბრძოლების შესახებ ამბების გამოკითხვა. ვარჯიშობა და სამხედრო თამაშობის გამართვა.

გ) ბავშთა კვირეული. აღნიშნულ დღეებში მოწაფეები უნდა გაეცნონ უცხოეთის ბავშთა ცხოვრებას; გაიგონ, თუ რა პირობებში უხდებათ მცირეწლოვანებს ქვანახშირში მუშაობა, როგორ დევნიან უცხოეთში პიონერებს და კომკავშირლებს, რა პირობებში იზრდებიან მუშის შვილები, როგორია გაფიცული მუშის შვილების მდგომარეობა, შეისწავლონ ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორია, მოუსმინონ დავაჟკაცებულ თაობას, თუ როგორ და პირობებში უხდებოდათ სწავლა, ქარხანაში მუშაობა, ბრძოლა. მოეწყოს მიტინგები, დემონსტრაცია და სხვა.

მე-IV კატეგორიის დღეები ანუ კამპანიები სკოლებმა უნდა ჩაატარონ წინასწარ დასახული გეგმით და მისცენ მას საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის ხასიათი. კამპანიის ჩატარება უნდა ხდებოდეს სკოლის რაიონში, საშეფო სოფელში, მიმაგრებულ წარმოებაში, წითელი კუთხეების ნაწილებში და სხვა. ბავშებს უნდა გადაქონდეს სკოლაში შეძენილი ცოდნა და ცნობები ოჯახში, იწვევდენ მშობლებს სკოლაში და მართავდენ საუბრებს, მოხსენებებს და დილა-საღამოებს. ეს იმის მიხედვით, თუ რა სახის კამპანიაა ჩასატარებელი. ყოველგვარი კამპანია უნდა

დაუკავშირდეს საპროგრამო მასალას, რომ მისი მნიშვნელობა კარგად იქნეს გაგებული.

ეხლა გადავიდეთ პირველ კათეგორიის დღეების მოწყობაზე. მასიური ხასიათის რევ. ღეების ჩატარებას, მასების იდეოლოგიურად შემჭიდროების მნიშვნელობა აქვს.

კაცობრიობის კულტურის ისტორიაში არ არის არც ერთი ხალხის კულტურა, რომელსაც არ ჰქონდეს თავისი საკუთარი დღესასწაულები. ბურჟუაზიულ ქვეყნებში მმართველი კლასები დღესასწაულობს მუდამ ემოციონალურ ზეგავლენის იარაღად ხმარობენ და მათი საშუალებით ხალხში გამოწვეულ ენტუზიაზმს თავის სასარგებლოდ იყენებენ. მუშათა კლასი კი, დღესასწაულებით იგონებს რა საკუთარ ბრძოლებს, სიყვარულით და პატივის ცემით მოიხსენიებს საერთო საქმისათვის თავდადებულთ, უხარია განვლილი ბრძოლებიდან გამარჯვებული გამოსვლა, ემზადება ახალი ბრძოლებისთვის—კომუნიზმის დასამყარებლად—და ბრძოლის ენტუზიაზმით ანთებს ახალთაობას.

მიუხედავად დღესასწაულთა მიზნის სხვაობისა ამა თუ იმ ეპოქაში, ყველგან და ყოველთვის დღესასწაულების გაფორმება ხელოვნების საშუალებით ხდებოდა. ამას ვერც რევოლუციონური დღესასწაულები აცდება. სამწუხაროდ, ჩვენ სკოლაში ხელოვნებას ჯერ კიდევ ვერა აქვს სათანადო ადგილი მოპოებული. ხატვას, პლასტიკას, მუსიკას სიმღერას ზოგიერთი სკოლა უცქერის ზერელედ და მათი ჯეროვანად დაყენებისათვის, ჯერ გასაკეთებელი კიდევ-

ბევრია. ზოგჯერ ეს საგნები იწყება და თავდება ხალტურით, რაც ბავშვებს სამუდამოდ აძულებს ხელოვნებას. ნამდვილი ხელოვნება კი უნდა აყვარებდეს, ათვისებიებდეს მმართველი კლასის იდეოლოგიას. ჩვენი ხელოვნება პროლეტარულ იდეოლოგიის იარაღია, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ჯერ კიდევ სავსებით ვერ განთავისუფლებულა ბურჟუაზიულ თვალთახედვისაგან.

ჩვენი ფიქრით, შრომის სკოლამ ამ მხრივაც უნდა გადადგას დიდი ნაბიჯი და გაამდიდროს ხელოვნების სათავეები.

დღესასწაულის მოსაწყობად საჭიროა: კარგად მოფიქრებული მხატვრული გაფორმების გეგმა და მონაწილეთა შემოქმედებითი ფანტაზიის გამომჟღავნება. ყველაფერ ამას შესძლებს მაგარი, მტკიცე და კლასობრივ იდეოლოგიით გამსჭვალული ხელოვანი.

1 კატეგორიის დღეებისათვის მზადება ორი-სამი კვირით ადრე უნდა იწყებოდეს. მუშაობის მთავარი სიმძიმე (პროგრამული ნაწილის გარდა), საღამოს საათებში უნდა გადავიტანოთ. დილა-საღამოების მოწყობაზე არაფერს ვიტყვით, რადგან ამ მხრივ ჩვენ სკოლებს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ: პლაკატების და ლოზუნგების შედგენა, ჟურნალის და გაზეთის გამოშვება, სპეციალურად ახალი პიესის და სცენების დაწერა, ინსცენირობის მოწყობა და სხვა. სოციალისტურ მშენებლობის ახალ მიღწევათა აღრიცხვის სახეს უნდა ატარებდეს.

ა. **დღეზეიმის წინა საღამო.** აუცილებელია დღეზეიმი იწყებოდეს წინა საღამოთი. ყველა დამეთანხმება, რომ საღამოს, ხელოვნურ განათებაზე ქუჩებში დემონსტრაციების მოწყობა მეტად ლამაზი და ეფექტიანი იქნება. საღამოს ჟამს მასობრივი სვლა დოლით, სიმღერით, მუსიკით და დროშებით, ბავშებში შექმნის საზეიმო განწყობილებას, მით უმეტეს, როდესაც ქალაქის ან სოფლის გარემოცვა და განწყობილებაც საზეიმო იქნება. თვითეული ორგანიზაცია დამოუკიდებლად გამოდის წინასწარ დასახულ მარშრუტით, რომ სვლაში ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ და ზედმეტ შეჯგუფებას ადგილი არ ექნეს.

კარგი იქნება აგრეთვე სვლის დროს ჩირაღდანების და სანათურების გამოყენება. სვლა დამთავრდება სკოლაში მისვლით. იქ გაიმართება საზეიმო სხდომა სიტყვებით, მოხსენებით, მოგონებებით და სხვა. ამის შემდეგ დაიწყება თვითმოქმედების საღამო: ცეკვით, თამაშით სიმღერებით, სცენებით, ოხუნჯობით და ბოლოს საერთო ვახშმით: ვახშამი სრულიად არ მოითხოვს დიდ მზადებას, ყოველი ბავში შინიდან მოიტანს, თუნდაც მცირე ულუფას. ყველასათვის გაიშლება საერთო სუფრა და შეუდგნებიან დანაყრებას (ლაპარაკი მეტია იმაზე, რომ სუფრაზე არც ერთი ჭიქა მაგარი სასმელი არ უნდა იყოს) სკოლაში, სადაც არის მოწყობილი ცხელი საუზმე, შეიძლება ამ საღამოს გაიმართოს საერთო ვახშამი საუზმის ხარჯზე. სადაც ცხელი საუზმე არ არის, იქ შეიძლება ვახშამი თვითღირებულების ფასებში მოეწყოს.

ვახშმის შემდეგ ბავშები დაიშლებიან.

ბ. კარნავალი და დემონსტრაცია. სკოლა უნდა იყოს მორთული სანათურებით. დროშებით, სურათებით, ნიხებით, მწვანით, პლაკატებით და ლოზუნგებით. შენობის გარეგანი და შინაგანი მორთულობა დიდად უწყობს ხელს ადამიანის ზეიმურ განწყობილებას.

ბავშებს უნდა ეცვათ უბრალო, მაგრამ სუფთა, ლამაზი სამოსი. სასურველია, რომ პიონერები ფორმაში იყვნენ გამოწყობილი.

დარაზმული ბავშები გადიან სკოლიდან და მონაწილეობას ღებულობენ დემონსტრაციაში.

დემონსტრაციის დროს კარნავალი მეტად კარგი საშუალებაა ხალისის და აღფრთოვანების გამოსაწვევად. კარნავალის მოწყობა არ არის ადვილი საქმე, რადგან ცუდი შინაარსით მოწყობილი კარნავალი მიზანს სრულიად ვერ აღწევს.

კარნავალს მხატვრული სახე უნდა ექნეს. ხელოვნება, რომლის მიზანია დემონსტრაციის დროს მასებზე ემოციონალური ზეგავლენის მოხდენა, მოითხოვს სახეებს, კონკრეტ გამოსახულებას. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა თუ წარსული ცხოვრების ტიპების თუ ისტორიული მოქმედების ასახვა, არამედ ამწყოსიც თავისი მიღწევებით და წარმატებით. პოლიტიკურ მომენტებს გარდა, უნდა ავიღოთ სკოლის წასული ცხოვრება: ნაციონალური შუღლი, ცემა ტყეპა, „კლასის დამები“, ორდენებიან და ჩინ-ტელმაკიანი დირექტორ-ინსპექტორები და მასწავლე-

ბლები, „ზუბრიაკ“ —კრეტინი ,საღვთო სჯულით და დაბადებით თავგამოჭედილი მოწაფეები, მასწავლებელი — მღვდელი, სახაზავებით და წკეპლებით მოწაფეების გამასპინძლება, „კონდუიტი“ და მრავალი სხვა, რაც ჩვენი ახალი თაობისათვის სრულიად უცნობია. კარნავალის დროს რაც შეიძლება ნაკლებ უნდა იქნეს გამოყენებული ის სწრაფი გადასაზიდი საშუალებანი, რომელიც შთაბეჭდილების ჩიღებას ხელს უშლის. კარგია ქუჩებში მოეწყოს ღია სანახაობანი ინსცენირობით, წარმოდგენებით და სხვა.

გ. საღამოს გასართობები. დემონსტრაცია დაიშლება და ბავშები წავლენ თავიანთ სახლებში იმ გადაწყვეტილებით რომ საღამოს კვლავ თავს მოიყრიან. საღამოს, ბავშებისათვის უნდა ეწყობოდეს კინოები, სპექტაკლები ბალეტი, გუნდები, ორკესტრები, დეკლამაცია, მასიური სიმღერები, მხატვრული კითხვა, “პეტრუშკა« და სხვა.

მართალია, ქალაქში ასეთი სანახობანი ეწყობა დახურულ თეატრებში, მაგრამ, გარდა ამისა, საჭიროა ქალაქებში სამხატვრო კომისიებმა მოახერხონ სანახაობათა ცის ქვეშ გამართვა.

ჩვენი თეატრები, მათი ტევადობის სიმცირის გამო, ვერ აკმაყოფილებენ მსურველთა მეათასედსაც. ესეც რომ არ იყოს, განწყობილება ამ დღეს ისეთია, რომ ადამიანს დახურულ შენობაში ყოფნა არ სურს. მას უნდა ყველაფერი ნახოს, განიცადოს, შეიგრძნოს. თეატრში ის სხვა დროსაც წავა. მას ქუჩა იზიდავს. ყველანი ქუჩებში გამო-

დიან, ქუჩა კი ცარიელია, ილიუმინაციის მეტს ვერაფერს ვხედავთ. ცხადია, თუ ქუჩაში იქნებაა სანახაობანი, ყველა სიამოვნებით 'მეჩერდება. ამას გარდა, განაპირა უბნები მონაწილეობის გარეშე რჩებიან. ყველაფერი ცენტრში იყრის თავს. ცენტრალური ქუჩები მრავალი ათასეული ხალხით ისე იჭედება, რომ გავლა შეუძლებელია. გარე უბნებში—ოჯახზე მიმაგრებული ხალხი—ცენტრში ვერ მიდის და ზეიმის გარეშე რჩება. ზეიმი კი ყველამ უნდა შეიგრძნოს. საჭიროა ზეიმის გადატანა გარე უბნებშიაც ილუმინაციით, სანახაობით, ტრიბუნებით, მფრინავი მიტინგებით, ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო—აპარატებით, რომ ყველამ იგრძნოს არაჩვეულებრივი მდგომარეობა. ვინაიდან 1 კატეგორიის ზეიმები ორ დღეს გრძელდება, უნდა ვიფიქროთ მეორე დღეზედაც. ამ დღეს ზეიმი შეიძლება გადავიტანოთ ქალაქ გარეთ გაშლილ მოედნებზე, ბაღებში და გაიმართოს შეჯიბრი: სროლაში, სირბილში, ხტუნვაში, ბურთის თამაშში, ველოგადარბენაში, დოღში, ჯირითში, ჭიდაობაში და სხვა. შეჯიბრის დროს მონაწილეობას იღებენ ყველა სკოლები, მაგრამ ერთი უეჭველი პირობით: ყოველგვარი შეჯიბრი მოითხოვს მტკიცე ორგანიზაციულ ფორმებს. შეჯიბრის დროს უნდა იყოს შერჩეული ერთნაირი ძალები ასაკისა და ფიზიკურ ჯანმრთელობის მიხედვით. აუცილებელია აგრეთვე აყურებლებისა და მონაწილეების გამიჯვნა, რომ არეულობას და უსიამოვნო შეჯგუფებას ადგილი არ ექნეს. ამ დღისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი გუნდი, მასობრივი მხატვრული

კითხვა, მოგონების თხრობა და საერთო სადილი. საღამო დასვენებას უნდა დაეთმოს, რომ მეორე დღეს სკოლებში ნორმალურ მუშაობას ხელი არ შეეშალოს.

ეხლა ორიოდე სიტყვა „**დღესასწაულზე**". ჩვენი ღრმა რწმენით, სიტყვა „დღესასწაული", რომელიც წარმოიშვა სიტყვა »სასწაულისაგან« და აქვს უაღრესად რელიგიური შინაარსი, ჩვენთვის სრულიად გამოუდეგარია. პროლეტარული „დღესასწაულები« ბრძოლების შედეგია. ჩვენი „დღესასწაულის" დამახასიათებელი სწორედ ისაა, რომ მასში სრულიად წაშლილია რელიგიის ყოველგვარი ცრუმორწმუნოებრივი ფანტაზიის ჩანასახი. რევოლიუციონური დღესასწაულები შენდება რეალურ, ისტორიულ ბრძოლებზე და ამ ბრძოლებიდან გამარჯვებული პროლეტარიატის განწყობილებაზე. რა მოსატანია აქ სიტყვა: „დღესასწაული" თავისი გამოფიტული და წყალწყალა შინაარსით? ჩვენ სხვა სიტყვა უნდა ვეძიოთ. ახალი ყოფა, ახალი ცხოვრება, თავის აზრის გამოსახატავად, ახალ ლექსიკონს, ახალ სიტყვას თხოულობს. ჩვენ არ ვიცით, რა სიტყვით შეიცვლება „დღესასწაული", მაგრამ მისი დატოვება ყოვლად დაუშვებელია. უთუოდ სატერმინოლოგიო კომისია ამ სიტყვას ყურადღებას მიაქცევს და შეცვლის. ჩვენ შეგვიძლია საკითხის დასმისათვის შემოვიტანოთ შემდეგი წინადადება: 1 კატეგორიის დღეებს ვუწოდოთ „დღეზეიმი", მეორე კატეგორიის დღეებს — „ხსოვნის დღე" და მესამე კატეგორიისას კი — უბრალოდ

„დღე“, რომელსაც ემატება სიტყვა: „ქალთა“, „ახალგაზ დობის“, „წითელი არმიის“ და სხვა.

არც „დღესასწაული“ და არც „უქმე“ რომელიც წარმომდგარი იყო უქმად ყოფნიდან და რომელიც ჩვენ ყოფას სრულიად არ შეეფერება, არ შეიძლება ხმარებაში დავტოვოთ.

სკოლის ასაკამდე აღზრდისათვის

საბჭოთა კავშირი უდიდეს ყურადღებას ახალი თაობის აღზრდას აკუთვნებს. ეს სავსებით სწორი არის, რადგან კაცობრიობის სანეტარო სოციალიზმის და კომუნიზმის დამყარება, მხოლოდ ახალ ადამიანს შეუძლია. ეს უკანასკნელი კი შესაფერი აღზრდით უნდა შეიქმნეს. რევოლუცია პოლიტიკურ წყობილებას სწრაფად სცვლის. ეკონომიურ დოვლათის შექმნაც, შედარებით კულტურულ დონესთან, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ ყოფა, ახალი ფსიქიკა ნელ-ნელა ყალიბდება, თანდათან მტკიცდება და ახალ ფორმებში ისახება. რომ ახალი ადამიანის აღზრდა დაჩქარდეს, საჭიროა შესაფერი პირობების შექმნა. ჩვენი ქვეყანა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკურ მონობის და ეკონომიურ სიღატაკის სიმწვავეს განიცდიდა, ცხადია, კულტურულადაც ძალიან ჩამორჩენილი იყო. ტალახი, ჭუჭყი, უვიცობა. ცრუმორწმუნეობა, კერძო საკუთრების ნიადაგზე წარმოშობილი: შური, მტრობა, ვიწრო ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი, ტაცება, ყვლეფა და სხვა მეშჩანური დაწვრილმანება, ხალხის

თვისებად გადაიქცა. ეჭვს გარეშეა,— ასეული წლობით განმტკიცებული თვისებანი, რამდენიმე დღისა და თვის განმავლობაში ვერ შეიცვლება. ამისათვის საჭიროა დრო და დაუღალავი მუშაობა. პროფკავშირები, საბჭოები და სხვადასხვა საზოგადოებრივ და ნებაყოფლობით ორგანიზაციებში მუშაობა ხელს უწყობს ახალი ყოფის შექმნას, ახალი ადამიანის აღზრდას; მაგრამ სკოლას, რომლის უშუალო მოვალეობაა აღზარდოს ახალი ადამიანი მუშათა კლასის მზრუნველი თვალი არ შორდება.

შეუძლია თუ არა სკოლას შეასრულოს ის დიდი ამოცანა, რომელიც დაკისრებული აქვს, თუ მის კედლებში ბავშვი მხოლოდ 8 წლიდან მოხვდა? ამბ. ლუნაჩარსკი ამბობს: „სკოლას ჯერ კიდევ საალმზრდელო სუსტ საშუალებებით უხდება თავის მტვრევა, თითქმის უკვე **მზა ადამიანის ეკზემპლიარზე**“.

„რვა წლის შემდეგ, სამ წელში ვერ გააკეთებ იმას, რის გაკეთებაც შესაძლებელია ექვსი წლის ბავშთან ნახევარი წლის განმავლობაში“. (ხაზი ჩვენია—ნ. ძ.), და მართლაც, ბავშვი დაბადების დღიდანვე განიცდის ოჯახის გავლენას, რომელიც, როგორც ზევით ვთქვით, ჯერ კიდევ ვერ გასცილებია ძველი ტრადიციების და ჩვეულებათა ხლართს. აქედან იწყება ახალი თაობის დამახინჯება. იმავე ლუნაჩარსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცხოვრება იძლევა თავდაპირველად უფორმო ადამიანს რომლის ფსიქიური მხარე კოლოიდალურია, ე. ი. მზადაა მიიღოს ყოველგვარი ფორმა... მაგრამ შემდეგ წლე-

ბის განმავლობაში ეს კოლიდალური ფსიქო-ორგანიზმი, იფარება მაგარი ქერქით... რომ შეიცვალოს მისი ფორმა საჭიროა მისი მტკივნეული მტვრევა«... ეს უდავო ჭეშმარიტება ჩვენთვის-მასწავლებელთათვის კარგად გასაგებია. სკოლას დიდი მუშაობის ჩატარება უხდება, რომ აღმოფხვრას წვრილ ბურჟუაზიულ ოჯახის გავლენა.

წრე უდიდესი სკოლაა ადამიანისათვის დამით უმეტეს ბავშვისათვის, რომელიც წრის თარგით იჭრება და იკერება. დღევა-დელ პირობებში ახალი სკოლა ებრძვის ძველი ოჯახის ტრადიციებს და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრით თვალსაჩინო ნიღწევებსაც ვხედავთ, თუმცა არა სავსებით საკმარისს.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ახალი ადამიანი შეიქმნეს. ბავში 2-3 წლიდან ოჯახს უნდა მოშორდეს და სახელმწიფოს მიერ მოწყობილ ბავშთა კერებში, ბაგებშე და ბაღებში იზრდებოდეს. ეს დებულება ჩვენი ხელისუფლებისათვის უდავოა. მაგრამ სავალალო ის არის, რომ საბჭოთა კავშირი მეტად ნორჩია. ჩვენივე თვალით ვხედავთ საბჭოთა რესპუბლიკის „სასწაულებრივ“ ზრდას, სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას და ჯერ არ ნახული ენტუზიაზმით და აღფრთოვანებით ახალი ქვეყნის შენებას, მაგრამ სოციალიზმის უდიდესი მოთხოვნა — ბავშების 2-3 წლიდან დავაჟკაცებამდე სავსებით სახელმწიფო ხარჯზე აღზრდა, ჩვენთვის ჯერ კიდევ იდეალია. **სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ შეუძლია სასკოლო ასაკამდე დაწესებულებებში ბავშთა მთელი მოსახლეობის**

ჩაბმა. საამისოდ მას ჯერ არ გააჩნია საჭირო ქონებრივი შესაძლებლობა.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება, სკოლების პოლიტეხნიზაცია, მოზარდ მოსახლეობაში უწიგნურობის სრული მოსპობა სახელმწიფოდან აუარებელი თანხების გაღებას მოითხოვს. ყველა ის კულტურული ღონისძიებანი, რომელთაც საბჭოთა კავშირი სულ მოკლე დროის განმავლობაში ატარებს, ბურჟუაზიულ ქვეყნებში შეუძლებელია გატარდეს ასეულ ან ათასეულ წლებში. ჩვენში მუშათა კლასის ენტუზიაზმმა უამრავი დაბრკოლება გადალახა და უდიდესი მიღწევები გვაქვს. ამ ჟამად ჩვენი საზრუნავი საგანია სასკოლო ასაკამდე ბავშთა მოსახლეობაში საყ. სავალდებულო სწავლების შემოღება.

ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ბავშების 100%-მა მიიღოს სასკოლო ასაკამდე აღზრდა. ამ საქმეში სახელმწიფოს უნდა დაეხმარონ, როგორც დაწესებულებანი, ისე ნებაყოფლობითი ორგანიზაციები.

ამ მხრივ ნაბიჯი უკვე გადადგმულია. კოოპერატივები და სხვადასხვა საზოგადოებანი ხსნიან ბაგებს, კერებს, ბაღებს, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა, ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს. საჭიროა ამ ხაზით მუშაობის კიდევ უფრო გაცხოველება, გაშლა და სხვა ზომების გამონახვა. ჩვენში ერთი სწორი აზრი ძალიან ფეხმოკიდებულია: — წარმოებაში ჩამბულ დაზგასთან მომუშავე მშობლების შვილები საბავშო დაწესებულებებში პირველ რიგში უნდა ეწყობოდენ. პროლეტარულ სახელმწიფო-

სათვის ეს უდავოა და მას მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ არ უნდა ყივიწყებდეთ სხვა ბავშებსაც. საბჭოთა და თავისუფალ პროფესიის მქონე მოსამსახურეების, ზოგი პარტიული მუშაკების და სპეციალისტების შვილები ხშირ შემთხვევაში ოჯახის ქალის, დედის მზრუნველობის ქვეშ იზრდებიან. ნიშნავს ეს რომ, ბავში კარგი აღმზრდელის ხელშია? არა! აღზრდის იდეოლოგიური მხარე მრავალ დაბრკოლებათა წინაშე დგას. უმრავლეს შემთხვევაში ოჯახში დარჩენილი დედა ძალზე დაშორებულია სახელმწიფოს მიერ გადასაჭრელად დასახულ ამოცანებს. ტრადიციულ-მეშჩანური რუტინა, რომელიც ჩვენთვის ასე საშიშია, სწორედ მყუდრო და უზრუნველყოფილი ოჯახის ფანჯრებიდან გამოიყურება. ჩვენ ვიცით, ოჯახის ქალის ყოფა ჯერ რამდენად ჩამორჩენილია და როგორ შალაშინს მოითხოვს. ეს თანდათან მოხდება. რევოლუციის ქურას არც ერთი კუნჭული გაუჭედავი არ გადაურჩება, მაგრამ მანამ ჩვენი ახალი თაობა ხომ არ იცდის, ის იზრდება და ცხოვრებაში გამოდის.

სახელმწიფოს ჯერ არ აქვს სკოლის ასაკამდე დაწესებულებათა საკმაო რიცხვი, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ის ბავშები, რომლებიც საბავშო ბაღებშა და კერებში ჯერ არიან ჩაბმულნი, „აღუზრდელი“ რჩებოდენ. თუ ოჯახი ოდნავ უზრუნველყოფილია, მათი „აღზრდა“ ძველ „მადამ“-ებს და „ბონებს“ ეკისრებათ, რომლებიც დიდის ერთგულებით გადასცემენ აღსაზრდელებს თავიანთ საკუთარ მორალს, მანერებს და მსოფლმხედველობას, რაც

„რევერანსებისა“ და ხელზე კოცნის ჩვევებით ამოიწურება. იხარჯება დიდი თანხები სახელმწიფოსათვის მავნე იდეების გასავრცელებლად. ამ უკონტროლობას ბოლო უნდა მოეღოს. არც ერთი ბავში არ უნდა იზრდებოდეს პროლეტარული სახელმწიფო კონტროლის გარეშე. ამისათვის საჭიროა **შემოღებული იქნეს საყოველთაო, სავალდებულო სასკოლო ასაკამდე აღზრდა.** რესპუბლიკაში გავრცელდეს სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები. ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს დაევალოს იზრუნოს თავის მუშა-მოსამსახურეთა შვილების სასკოლო ასაკამდე აღზრდისათვის. მეორე ხუთწლედის შესრულების ერთერთ პუნქტად დასმულია სასკოლო ასაკამდე სავალდებულო სწავლების შემოღება. მშრომელთა ფართო დახმარებით ამ საჭირო ღონისძიების გატარება წარმატებით დამთავრდება. ამისათვის სხვათა შორის საჭირო იქნება ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი მშობლების, რომლებიც ამ ჟამად შვილების აღზრდაზე აუარებელ თანხებს ხარჯავენ და ანტიკომუნისტურ იდეებით კვებავენ ახალ თაობას საეკვო „აღმზრდელების“ მეოხებით, გეგმურად დაბეგვრა, რომ მათი შვილების აღზრდა სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოიქცეს. ეს ღონისძიება მშობლებს უფრო იაფიც დაუჯდება და აღზრდაც საღი იქნება.

აღზრდის დარგში ჩვენი უკანასკნელი ამოცანაა: არც ერთი ბავში სასკოლო ასაკამდე დაწესებულების გარეშე! მისი განხორციელებისათვის მობილიზებულ უნდა იქნეს ყოველგვარი შესაძლებლობა.

საჭიროა თუ არა ზღაპარი?

რუსეთის პრესაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა საკითხს: საჭიროა თუ არა ზღაპარი. რევოლიუციის შემდეგ წლეებში, ზოგ პედაგოგიურ ჟურნალში ზღაპრების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა. ამხანაგები ზღაპრებს ეწინააღმდეგებიან, როგორც თანამედროვე აღზრდისათვის მავნებლობის მომტანს.

ჩვენს ადგილობრივ პრესაში ეს საკითხი თითქმის ხელუხლებელია. საჭირო კი იყო მისი დასმა და ასე თუ ისე გადაჭრა, რადგან, თუ ის მავნეა, უნდა მოისპოს, თუ სასარგებლოა, მის ჯეროვან ჩამოყალიბებას ყურადღება უნდა მიექცეს.

თქმა იმისა, რომ ზღაპარი უნდა მოისპოს, რადგან მასში არის ფანტასტური ელემენტები, უსათუოდ მიუღებელია. არავის მიერ დამტკიცებული არ არის, რომ ზღაპარი არის და უნდა იყოს მაინც და მაინც დევების, როკაპების და ღმერთების სარბიელი.

დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბავშს ზღაპარი ძლიერ უყვარს. რამდენი შემთხვევაა, რომ როდესაც ბავში დროზე არ იძინებს ან წამალს არ სვამს, საჭმელს არ სჭამს მავნე ცელქობას ეწევა, საკმარისია ზღაპრის დაპირებით დაუძახოთ და თქვენთვის სასურველი საქმე გააკეთებინოთ. ზღაპრის მოლოდინში წყნარად, ყურადღებით გვერდზე მოგისკუპდებათ და სმენად გადაიქცევა. მრავალი შემთხვევა გვქონია გვენახა, როდესაც 2 წლის

ბავშიც კი ძილის წინ—„ზღაპალი“ მინდა, მითხალი, „ზღაპალი“,—გაიძახის. ზღაპარი უყვართ არა თუ ბავშებს, მოზრდილებსაც, დიდებსაც.

გამოჩენილი მწერლები: პუშკინი, გორკი, აკაკი და სხვები დიდი სიყვარულით მოიგონებდენ თავის ბავშობის მეგობრებს, რომლებიც ზღაპრებით უმასპინძლდებოდენ. ზოგი მათგანი თავის შემოქმედებით მუშაობაში ზღაპრებს დიდი მნიშვნელობას აძლევდა. ზღაპარი ხალხური შემოქმედობის საუკეთესო სახეა; ზღაპარს ჰქმნის არა პიროვნება, არამედ ხალხი და შიგ აქსოვს თავის საკუთარ ფილოსოფიას, ჭირვარამს, სიბრძნეს, სიმახვილეს და მხატვრულ გემოვნებას. მაშინ, როდესაც ხალხი მონობის ქვეშ გმინავდა, ცხადია, მისი ზღაპარი ვერ ჩამოყალიბდებოდა მისტიკისა და მავნე ფანტაზიის გარეშე, რადგან ხალხს განთავისუფლების ქომაგად „ღმერთი“ ევლინებოდა და კეთილისა (ხალხის) და ავის (მეფეები, ბატონები და საზოგადო მყვლეფელები) ბრძოლას ალეგორიულად ეშმაკებით დევებით, რქიანი ტურა-ქალებით, ქაჯებით და როკაპებით გამოხატავდა. ახლა ზღაპარს უნდა მივსცეთ ჩვენთვის მისაღები შინაარსი, მაგრამ ამავე დროს ვისარგებლოთ ზღაპრის უკვე მიღებული ფორმით.

ზღაპარი აყალიბებს ბავშის ფსიქიურ ორგანიზაციას: ეხრობის დროს მსმენელი (ბავში) ლოღიკურად აკავშირებს ერთ ეპიზოდს მეორესთან, მეორეს მესამესთან და ასე ბოლომდე; გმირების მოქმედებას აფასებს, ყურადღებით აკვირდება შინაარსის გაშლას და ხშირად მთხრობე-

ლის მიერ უყურადღებოთ გამოშვებულ დეტალებსაც კი ამჩნევს და მიუთითებს. ამ მხრივ ზღაპარი არ შეიძლება არ ვაღიაროთ ბავშის უადრეს პერიოდში აზროვნების საუკეთესო ორგანიზატორად. ამას გარდა, ზღაპარი ანვითარებს ბავშში მხატვრულ გემოვნებას, ფერების, ხმების, სურათების, შედარებების შეგრძნობას, სახეებით აზროვნებას.

ჩვენ ვიცით, რამდენად მოსაწყენია, არა თუ ბავშებისათვის, ჩვენთვისაც კი მშრალი, მხატვრულ ფორმებს მოკლებული ფაქტები, შიშველი სინამდვილე. ორატორი, რომელიც თავისი ლაპარაკის დროს არ ხმარობს მხატვრულ ხერხებს, მახვილ ფრაზებს, ლამაზ შედარებებს და სახეობით გამოთქმებს, ძნელი მოსასმენია. რა უნდა იყოს ბავშები, რომლებიც ჯერ კიდევ ასოციაციათა სისუსტის გამო, მშრალ ფაქტებს ერთი მეორეს ვერ უკავშირებს. იმის თქმა, რომ ფანტაზია სრულიად უნდა განიდევნოს ჩვენი სინამდვილიდან, არ შეიძლება. ასე რომ არიყოს, მაშინ საზიგადოდ უარი უნდა ვთქვათ ყოველგვარ პოეტურ ნაწარმოებზე, რადგან არც ერთ ზუსტ რეალისტურ ნაწარმოებშიაც კი შეიძლება არ იყოს თხზვა და ფანტაზია. საღი ფანტაზია ამდიდრებს ბავშის მხატვრულ აზროვნებას. ჩვენი ბავშები, რომლებიც ჯერ კიდევ ძალიან ახლო დგანან მშობლების ყოველდღიურობასან, მათი ცხოვრების სირთულესან და მეშჩანურ განწყობილებასან, უსათუოდ ხშირად უნდა ისმენდენ ლამაზ და გმირობით სავსე ამბებს, რომ მშობ-

ლების წვრილმანმა და იდეოლოგიურად გაუმართავმა განწყობილებამ სიმახინჯის დაღი არ დაასვას ბავშის ფაქიზ აზორვნებას...

ბავშებს არ უყვართ ყოველ დღიური ერთ ფეროვნება, ისინი ხშირად ეძებენ რაღაც რომანტიულს. ზღაპარს მის ბუნებრივ მოთხოვნილებას – ზღაპრით გატაცებას, ხელი არ უნდა შევუშალოთ. დავადასტურებთ თუ არა ჩვენ ზღაპარს იურიდიულად, ის მაინც იარსებებს' რადგან ის ხალხური შემოქმედებაა და იმდენად, რამდენადაც ხალხი აზროვნობს, მოძრაობს, ცოცხლობს, აქვს თავისი სიხარული და გაჭირვება, თავის მორალი და სიბრძნე,—ამ სიმდიდრის გამოსამჟღავნებლად შესაფერი ფორმებიც ექნება ზღაპრებისა და გადმოცემათა სახით. ჩვენ კატეგორიულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არავითარი წესდებით, ბრძანებით და ხერხებით არ შეიძლება ზღაპრების აკრძალვა. ის იარსებებს, რადგან არსებობს ხალხის წიაღში წარმოშობილი ბავშვი, რომელსაც ენის ადგმასთან ერთად ესმის და აინტერესებს ზეპირი თხრობა და ამბები, რომლებიც იტაცებენ მის გონებას. გატაცების ხანგრძლივობითაც ზღაპარი უბადლოა. ბავშვი მზადაა საათობით იჯდეს და ზღაპარს ისმენდეს, მაშინ როდესაც სხვა საქმიანობა სწრაფად წყინდება. ამგვარი ინტერესი ბავშში ამტკიცებს გულდასმულობას (Усидчивость), ნებისყოფას და ერთ საგანზე ხანგრძლივად ყურადღების ფიქსაციას. ზღაპრის ყველა დადებითი მხარე უნდა გამოვიყენოთ და ჩვე-

ნთვის შესაფერი შინაარსის ზღაპრების შექმნით დავიხმაროთ ბავშვის აღზრდაში.

სხვადასხვა ასაკში ბავშვებს სხვადასხვა შინაარსის ზღაპრები აინტერესებთ. 5-6 წლამდე ბავშვებს უფრო ცხოველების სამეფო აინტერესებთ. აინტერესებთ აგრეთვე პაწია ამბები ბავშვების ცხოვრებიდან. საკმარისია 2-3 წლის ბავშს უამბო კატის, ძაღლის, ბაჭიას, გოჭის მოკლე ამბავი, რომ მან ყური დაგვიგდოს და ხშირად იხარხაროს კიდეც. „მერე, მერე“—ისმის პაწია მსმენელიდან და მანამ, სანამ არ ჩაეძინება, მთხრობელის ფანტაზიაც დაუღალავად მუშაობს. 3-5 წლამდე ბავშებს აინტერესებთ უფრო გრძელი და ლოღიკურად გადაწნული ამბები, მაგრამ ზღაპრულ ფორმებში. 7-10 წლამდე კი შეიძლება ზღაპრებში შევიტანოთ რეალობასთან დაკავშირებული ფანტასტიური ელემენტები, რომელიც დააინტერესებს ბავშს, მაგრამ **ერთი წუთითაც რეალურ ნიადაგს არ გამოაცლის.** ფანტასტიურ ზღაპრების მიცემა მაშინ შეიძლება, როდესაც ბავში მიხვდება, რომ ეს ამბავი მოგონილია, შეთხზულია. ამის მიუხედავად, კარგად შედგენილი ზღაპარი მას ესთეტიკურად დიდად დააკმაყოფილებს და ფანტაზიის გაქანებით დაატკბობს. იქნებ ვინმემ იფიქროს: თუ ბავში მიხვდება, რომ ეს ამბები შეთხზულია, მას ინტერესიც აღარ ექნება, ეს არ არის სწორი. ჯერ ერთი, დიდებსაც უყვართ მახვილი ენით დაწერილი, მხატვრულად ჩამოსხმული შეთხზული ნაწარმოები, თუმცა იციან, რომ ის შეთხზულია და არა სინამდვილე და მეორეც, როგორც ერთი მწერალი ამბობს:

„ბავშვი რეალისტია, მან იცის, რომ აგურაკები მისი დის სათამაშო სუფრაზე შოკოლადი კი არაა, არამედ „ვითომ შოკოლადია“. ერთმა საბავშო მწერალმა სწორედ სთქვა, სწერს იგივე ამხანაგი, რომ ბავშვი არასოდეს არ შეჭამს სილიდან გაკეთებულ ხაჭაპურებს, მაგრამ მაინც გატაცებით თამაშობს და აცხობს“. მართლაც ბავში აშენებს სახლებს, აკეთებს დედოფალებს, ელაპარაკება მათ, თითქოს თავისივე ენით პასუხებსაც იღებს, ჯოხის „ცხენზე“ ჯდება და თავისივე ფეხებით გარბის, აწყობს სუფრას კენჭებით, თეფშების ნანტვრევებით, ტალახის „პურებით“, მაგრამ არასოდეს კი არ სჭამს და სხვა ეს ყველაფერი იმას ამჟღავნებს, რომ თუმცა ბავშმა იცის, რომ ეს ყველაფერი შეეხზულია, და არა ნამდვილი, თამაშობით მაინც გატაცებულია. ასეა ზღაპრებიც. ის ისმენს გატაცებით, აზროვნობს სახეებით, მაგრამ არ ტყუვდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ თუნდაც ერთი წუთით დავუშვათ ეშმაკები, ქაჯები, ალები, ტყის კაცები და სხვა. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ საღი ფანტასტიური ელემენტი ზღაპარს ალამაზებს, მსმენელს ასიამოვნებს და სარგებლობა დიდი მოაქვს. ზღაპარი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონეა. ის უნდა გამოვიყენოთ ჩვენთვის მისაღებ იდეოლოგიით და შევმქნათ ზღაპრის ახალი სიუჟეტები სამოქალაქო ომზე, წითელი არმიის გმირობაზე, ელექტროფიკაციაქმნილ სოფლებზე, კოლექტიურ მეურნეობაზე, რევოლიუციონერთა დღეებზე, ტრაქტორზე აეროპლანზე, არალეგალურ მუშაობაზე, რევოლიუციონურ

გამოსვლებზე და სხვა. ზღაპრებში უნდა შეეიტანოთ ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებაც, მაგრამ ისე კი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ცხოველები და მცენარეები ადამიანის ენით ლაპარაკობენ, ისინი მაინც ბავშის აზრდ-ენებაში ნამდვილ ცხოველებათ რჩებიან და არა განკაცებულ და შიშის მომგვრელ ზეცხოველებათ. შეიძლება სხვა შინაარსის შეტანაც, მაგრამ ყველგან უნდა იყოს რეალობასთან შეგუებული ფანტასტიკა და ბავშვისთვის ადვილად მოსანელებელი ამბები, ზღაპარს თავისი ჟანრი აქვს, თავისი. ტეხნიკა. შეიძლება ახალი ყოფა, ახალი ცხოვრება, ახალი მეცნიერება; ბავშებს ისე გადავცეთ, რომ ზღაპრულიფორმა არ დაიკარგოს და მათი გონება ჩვენთვის მისაღები იდეოლოგიით გამდიდრდეს... ზღაპარი სხვა ნაწარმოებიდან თავისი ფორმით განირჩევა. „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“... იყო ზღაპრის დასაწყისი. რასაკვირველია სიტყვა „ღვთის«, რომელიც მაჩვენებელი იყო ხალხის რელიგიური განწყობილებისა, ჩვენთვის სრულიად მიუღებელია, მაგრამ კარგათ გვახსოვს, თუ ეს დასაწყისი რა რიგ კმაყოფილების ჟრუანტელს გვგვრიდა. შეიძლება ამ დასაწყისის გადაკეთება ან სრულიათ შეცვლა. ბოლოში მთხრობელი ყოველთვის დასძენდა: „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“, ან სხვა ამგვარ სიმახვილეს. რასაკვირველია, ამის შეცვლა ჩვენთვის უდავოა, რადგან ეს აშენებულია მაშინდელ სოციალურ და ეკონომიურ შემეცნებაზე. ჩვენთვის მისაღები შინაარსის დაბოლოება, უსათუოდ მნიშვნელოვანი დაზღაპრის კოლო-

რიტის მიმცემი იქნება. ამას გარდა, ზღაპარში ერთი და იგივე სიტყვა ან წინადადება რამდენჯერმე მეორდება, მაგალითად: „იარა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა“..... ანდა: „დევი დევიძისაო, სტუმარ-მასპინძლისაო“, რაც ზღაპარში მრავალ ადგილას მეორდება. ანდა: „მიდის, მიდის, იქვეა“... ანდა „კეცი კეცზე, კეცი კეცზე, დავკარ ფეხი და ავარდი ზევით“... და მრავალი სხვა. თხრობის დროს განმეორება ბავშვის წარმოდგენას ამდიდრებს, ახალისებს და აღრმავებს. როგორღა ვითარდებოდა მოქმედება? გმირს ჯერ ხვდება ერთთავიანი დევი, შემდეგ ათთავიანი, შემდეგ ასთავიანი, თანდათან რთულდება ზღაპრის სიუჟეტი უფრო მეტი და მეტი სიძნელეების გადალახვა უხდება გმირს და ისე კოხტად და მოხდენილად შენდება ზღაპარი, რომ მსმენელი თვალს ვერ აშორებს მთხრობელს და ყურს ზღაპარის შინაარსს. შიგ ჩართული ლექსები, შაირები და გამოცანები ზღაპარს მშვენიერი იერს და სილამაზეს აძლევს. ზღაპრის შემდგენელნი ენერგიას არ უნდა ზოგავდენ, რომ მათმა შემოქმედებამ ფორმით ყოველდღიურ სალაპარაკო ენას დასცილდეს და ზღაპრისათვის აუცილებელი იერი და სახე მიიღოს. ამგვარი ხერხებით ბავშს პატარაობიდანვე შევათვისებინებთ ჩვენი ცხოვრებისათვის აუცილებელ ცნობებს, გავუფართოვებთ გონებრივ არეს და დავუკმაყოფილებთ საინტერესო ამბების მოსმენის წყურვილს.

საბავშო მწერლები ზოაპრულ ფორმას დიდი ყურადღებით უნდა მივეკარონ და ~~ბავ~~შისათვის გასაგები და დასაძლევი ენით ~~ჩ~~ამოასხან ჩვენი სინამდვილიდან აღებული და შემდეგ გადაკეთებული შინაარსის ზღაპრები.